



ევროკავშირი  
საქართველოსთვის

EU4Justice: მართლმსაჯულების რეფორმის  
მხარდაჭერა



Empowered lives.  
Resilient nations.

# ანბიჭრაჟის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა საქართველოში

თებერვალი 2018



კავკასიის  
კვლევითი  
რესურსების  
ცენტრი

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) დახმარებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი და მისი შინაარსის ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პოზიციად აღქმა დაუშვებელია.

**კვლევაზე მუშაობდნენ:**

სოფიო ტყემალაძე	სამართლებრივი ექსპერტი
მარიამ კობალაძე	პროექტის მენეჯერი, CRRC-საქართველო
მარიამ მალიძე	სამართლებრივი კვლევის ასისტენტი
ნინო მჟავანაძე	მკვლევრები, CRRC-საქართველო
ეთერ გაგუნაშვილი	
თამარ გველესიანი	

# სარიჟი

შემოკლებები .....	4
კვლევის შეჯამება .....	5
I. შესავალი .....	7
II. არბიტრაჟის განვითარება საქართველოში: მოკლე ისტორია .....	9
1. 1997-2009 წლები: „არ დავმარცხდი. მე მხოლოდ ვიპოვე 10 000 გზა, რომელიც არ მუშაობს“ .....	9
2. 2009-2015 წლები: „მარცხი წარმატებაა, თუკი მისგან ვისწავლით“ .....	10
3. 2015-დღემდე: „ის, ვინც ნაპირი გადალახა, ყველაზე კარგად იცნობს წყალს“ .....	11
III. არბიტრაჟის მოქმედება პრაქტიკაში: საარბიტრაჟო ინსტიტუტები საქართველოში .....	12
1. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა .....	12
2. მართვის ორგანოები/სტრუქტურა .....	13
3. არბიტრები .....	14
4. საარბიტრაჟო წარმოების წესების ზოგადი და განსაკუთრებული მახასიათებლები .....	15
5. მოსაკრებელი და არბიტრთა ანაზღაურება .....	16
6. ეთიკის ნორმები .....	18
7. საქმეთა რაოდენობა და დავის კატეგორიები .....	18
8. მომხმარებლის უკუგება და სტატისტიკის წარმოება .....	19
IV. სასამართლო პრაქტიკა: სტატისტიკა, შეცვლილი მიდგომები და არსებული გამოწვევები კანონის განმარტებასა და გამოყენებაში .....	20
1. ზოგადი დასკვნები .....	20
2. სტატისტიკა .....	21
2.1. საქართველოს უზენაესი სასამართლო .....	20
2.2. თბილისის სააპელაციო სასამართლო .....	21
2.3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლო .....	21
3. კონკრეტული მაგალითები სასამართლო პრაქტიკიდან .....	23
3.1. სასამართლო პრაქტიკა იმ საკითხებთან მიმართებით, რომლებსაც 2015 წლის ცვლილებები შეეხო .....	23
3.2. სასამართლო პრაქტიკაში არსებული გამოწვევები .....	29
V. რა აფერხებს არბიტრაჟს საქართველოში? ძირითადი დაინტერესებული მხარეების შეხედულებები .....	38
1. საარბიტრაჟო ინსტიტუტები .....	38
2. ადვოკატები/იურისტები .....	42
3. ბიზნეს სექტორი (გარდა საბანკო-მიკროსაფინანსო სექტორისა) .....	43
4. საბანკო-მიკროსაფინანსო სექტორი .....	45
5. მოსამართლეები .....	47
6. სამთავრობო სტრუქტურის წარმომადგენლები .....	49
7. საერთაშორისო ორგანიზაციები .....	50
8. ფიზიკური პირები .....	51
VI. დასკვნა და რეკომენდაციები .....	54
1. ფაქტორები, რომელთაც დადებითი გავლენა იქონიეს არბიტრაჟის გარემოზე საქართველოში .....	54
2. ფაქტორები, რომლებიც აფერხებენ არბიტრაჟის განვითარებას საქართველოში .....	54
3. რეკომენდაციები არსებული გამოწვევების გადასაღებად და არბიტრაჟის მეტად გამოყენების წასახალისებლად საქართველოში .....	57
დანართი 1 - საკანონმდებლო ხარვეზები .....	62
დანართი 2 - კვლევის მეთოდოლოგია .....	67



## შემოკლებები

<b>ADR</b>	დავის ალტერნატიული გადაწყვეტა (Alternative Dispute Resolution)
<b>CRRC</b>	კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (Caucasus Research Resource Center)
<b>GAA</b>	საქართველოს არბიტრთა ასოციაცია (Georgian Association of Arbitrators)
<b>G4G</b>	პროექტი „მმართველობა განვითარებისთვის“ (Project Governing for Growth in Georgia)
<b>ICC</b>	საერთაშორისო სავაჭრო პალატა (International Chamber of Commerce)
<b>ICC ICA</b>	საერთაშორისო სავაჭრო პალატის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლო (International Chamber of Commerce International Court of Arbitration)
<b>PROLoG</b>	პროექტი „კანონის უზენაესობის გაძლიერება საქართველოში“ (Project Promoting Rule of Law in Georgia)
<b>UNCITRAL</b>	გაერთიანებული ერების კომისია საერთაშორისო სავაჭრო სამართლის შესახებ (United Nations Commission on International Trade Law)
<b>USAID</b>	ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტო (United States Agency for International Development)
<b>აშშ</b>	ამერიკის შეერთებული შტატები
<b>შპს</b>	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
<b>ა(ა)იპ</b>	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

## კვლევის შეჯამება

საქართველოში არბიტრაჟის არსებული მდგომარეობისა და მისი განვითარების პერსპექტივების შესასწავლად, 2017 წლის აგვისტო-ნოემბრის პერიოდში ჩატარდა კვლევა, რომელიც მოიცავდა არსებული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვას, ასევე ათი მოქმედი საარბიტრაჟო ინსტიტუტის სიღრმისეულ შესწავლას და რაოდენობრივ და თვისებრივ ინტერვიუებს დაინტერესებულ ჯგუფებთან: საარბიტრაჟო ინსტიტუტების წარმომადგენლებთან, ადვოკატებთან/იურისტებთან, ბიზნეს სექტორის, მათ შორის საბანკო-საფინანსო სექტორის წარმომადგენლებთან, მოსამართლეებთან, სამთავრობო სტრუქტურისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და ფიზიკურ პირებთან.

კვლევის ძირითადი დასკვნები ასე დაჯგუფდა: საქართველოში არბიტრაჟის წინაშე მდგარი გამოწვევები; მდგომარეობის გაუმჯობესებისა და არბიტრაჟის განვითარებისათვის შემუშავებული რეკომენდაციები.

საქართველოში არბიტრაჟის წინაშე ამჟამად შემდეგი გამოწვევებია:

### ▲ საზოგადოების ნდობა არბიტრაჟისადმი დაბალია, რადგან:

- წარსულიდან გამომდინარე, მისი შერყეული რეპუტაცია;
- საარბიტრაჟო ინსტიტუტები მჭიდროდ „თანამშრომლობენ“ საბანკო/მიკროსაფინანსო დაწესებულებებთან და მათ ე.წ. „ბანკების არბიტრაჟებად“ ან „ჯიბის არბიტრაჟებად“ აღიქვამენ;
- ფიზიკურ პირებს არბიტრაჟში „რთავენ“ მათ მიერ ამის გაცნობიერებისა და ნების გამოხატვის გარეშე;
- საარბიტრაჟო დაწესებულებებს არ აქვთ ეთიკის წესები, ასევე მათი საარბიტრაჟო წარმოების წესების, სტატისტიკის და სხვა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის/გამჭვირვალობის ნაკლებობა;
- საარბიტრაჟო დაწესებულებები, უმეტესად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებად რეგისტრირდებიან.

### ▲ მოსახლეობაში, განსაკუთრებით კი ბიზნეს წრეებში, არბიტრაჟის შესახებ ინფორმაციის სიმწირე, მათ შორის, ქართულ ენაზე სამეცნიერო ლიტერატურის არარსებობა;

### ▲ არბიტრთა დაბალი კვალიფიკაცია;

### ▲ სასამართლოს პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემები:

- არათანმიმდევრული სასამართლო პრაქტიკა;
- ცნობა-აღსრულებისთვის კანონით გათვალისწინებული ვადების დარღვევა.

ამ გამოწვევების გადალახვისა და საქართველოში არბიტრაჟის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, მომზადდა შემდეგი რეკომენდაციები:

- ▲ სამომხმარებლო არბიტრაჟის გარკვეული რეგულირება მისი სამართლიანობისა და გამჭვირვალობის მინიმალური სტანდარტის უზრუნველსაყოფად;
- ▲ არბიტრაჟის შესახებ ცნობადობის გაზრდა საზოგადოებაში, განსაკუთრებით, ბიზნეს წრეებსა და ადვოკატებში. კერძოდ, მიზნობრივი შეხვედრების ჩატარება ბიზნეს კომპანიებთან, განსაკუთრებით კი საინფორმაციო-პროფესიული სესიები კორპორატიულ (ე.წ. in-house) იურისტებთან; თანამშრომლობის განვითარება ბიზნეს ასოციაციასთან, საქართველოს და ამერიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატებთან, საერთაშორისო სავაჭრო პალატის წარმომადგენლობასთან და ა.შ.; საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვა ტელევიზიასა თუ გაზეთებში პროფესიონალი, ნდობით აღჭურვილი არბიტრების გამოსაჩენად; მუშაობის გააქტიურება ადვოკატებთან და ამ მიზნით საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასა და საქართველოს იურიდიულ ფირმათა ასოციაციასთან თანამშრომლობა;
- ▲ საქართველოს არბიტრთა ასოციაციის ინსტიტუციური გაძლიერება, მათ შორის, არბიტრთა კვალიფიკაციის ამაღლებისა თუ ეთიკურობის უზრუნველყოფის მიზნით; ასევე მის შესახებ ცნობადობის გაზრდა.
- ▲ სასამართლო პრაქტიკის თანმიმდევრულობისა და არბიტრაჟისადმი მეგობრული განწყობის ჩამოყალიბება სასამართლოში. ამ მიზნით თანამშრომლობის გაგრძელება მოსამართლეებთან, იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელებსა და მოსამართლეების თანაშემწეებთან (ტრენინგები/სამუშაო შეხვედრები და ა.შ.);
- ▲ ქართულენოვანი ლიტერატურის შექმნა არბიტრაჟის შესახებ;
- ▲ საკანონმდებლო ცვლილების ინიცირება ad hoc არბიტრაჟის დაშვების უზრუნველყოფის მიზნით; ასევე სხვა ტექნიკური/სტილისტური საკანონმდებლო ხარვეზების გამოსწორება.

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს საქართველოში არბიტრაჟის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების შესახებ ჩატარებული კვლევის შედეგებს. ანგარიში დაყოფილია შემდეგ ძირითად თავებად:

- საქართველოში არბიტრაჟის განვითარების მოკლე ისტორია;
- საარბიტრაჟო ინსტიტუტების შესწავლა ორგანიზაციული და პრაქტიკული თვალსაზრისით;
- სასამართლო სტატისტიკისა და პრაქტიკის მიმოხილვა;
- ძირითადი დაინტერესებული მხარეების შეხედულებები არბიტრაჟში არსებული გამოწვევების შესახებ;
- კვლევის ავტორთა დასკვნები და რეკომენდაციები არბიტრაჟის განვითარებასთან დაკავშირებით;
- დანართის სახით მოცემულია კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების ჩამონათვალი;
- დანართში მიმოხილულია კვლევის მეთოდოლოგიაც.

# I. შესავალი

დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმები (ADR) პანაცეა არ არის, თუმცა, ფორმალური მართლმსაჯულების სისტემის მნიშვნელოვანი შემავსებელი ელემენტია. ADR-ის ისეთი მექანიზმების გამოყენებამ, როგორცაა არბიტრაჟი და მედიაცია, შესაძლოა, შეამციროს სასამართლოში საქმეთა ნაკადი და ხელი შეუწყოს ხელშეკრულებათა უფრო სწრაფ და ნაკლებხარჯიან აღსრულებას. ჯამში, ADR-ის განვითარებამ, შესაძლოა, მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს ქვეყანაში მართლმსაჯულებაზე წვდომა. სწორედ ამ მიზნით, მსოფლიო ბანკის *Doing Business*-ის ინდიკატორებში, ხელშეკრულების აღსრულების ნაწილში, 2016 წლიდან ცალკე პუნქტად გამოიყო ADR-ის, მათ შორის, არბიტრაჟისა და ნებაყოფლობითი მედიაციის, გამოყენება.

არბიტრაჟი საქართველოში 1997 წლიდან მოქმედებს და ამ ოცი წლის განმავლობაში დიდი გზა განვლო. ამჟამად საჭიროა, შეფასდეს არბიტრაჟის არსებული მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები. წინამდებარე კვლევა სწორედ ამ მიზნით შესრულდა. იგი საშუალებას მისცემს ხელისუფლების ორგანოებს, დონორებს და სხვა დაინტერესებულ პირებს, უკეთ აღიქვან არბიტრაჟში არსებული მიღწევები, გამოწვევები და, შესაბამისად, გამოკვეთონ მისი განვითარების პერსპექტივები.

მნიშვნელოვანია, რომ ამ კვლევით დაინტერესებულ პირებს (დონორებს, სახელმწიფო უწყებებს, არბიტრებს), რეალისტური მოლოდინები ჰქონდეთ არბიტრაჟის განვითარების პერსპექტივის მიმართ წმინდა კომერციულ (business 2 business) დავებში. არბიტრაჟის დასამკვიდრებლად საჭიროა მომხმარებლისათვის ისეთი უპირატესობის შეთავაზება, რის გამოც ის არბიტრაჟს სასამართლოს ამჯობინებს. საერთაშორისო კონტექსტში (საერთაშორისო დავებში) არბიტრაჟის უნიკალურობასა და უპირატესობას მისი ნეიტრალობა განაპირობებს (სწორედ ამიტომ საერთაშორისო დავაში არბიტრაჟი უალტერნატივოა და რეალურად მას სასამართლო კონკურენციას ვერ უწევს). ადგილობრივ კონტექსტში ნეიტრალობის კრიტერიუმს ეროვნული სასამართლოები აკმაყოფილებენ, განსაკუთრებით თუ მათ საზოგადოება ენდობა.<sup>1</sup> მაშასადამე, საჭიროა, არბიტრაჟმა გამონახოს სხვა უპირატესობა, ნიშა, რითაც იგი სასამართლოზე მომხიბვლელი იქნება. ამგვარი ელემენტი შეიძლება იყოს არბიტრაჟის სისწრაფე, არბიტრების კვალიფიკაცია კონკრეტულ სფეროში, შესაძლებლობა, მხარეებმა

<sup>1</sup> თუკი, თუ ნდობა არ არსებობს ან სასამართლო კორუმპირებულია, შესაძლოა, მხარემ მაინც სასამართლოს გარანტირებული შედეგი ამჯობინოს არბიტრაჟს... ამდენად, რთული სათქმელია, არის თუ არა გამართული და მიუკერძოებელი სასამართლო სისტემა წინაპირობა იმისათვის, რომ სასამართლომ არბიტრაჟს გაუწიოს კონკურენცია; თეორიულად, კონკურენციის განევა კორუმპირებულ სასამართლოსაც შეუძლია.

თავად აირჩიონ ვინ გადაწყვეტს დავას და და პროცესი მათ საჭიროებებზე მორგებული გახადონ. ამ უპირატესობათა წარმოსაჩენად, საჭიროა არსებული ხარვეზების აღმოფხვრა (უნდობლობა, მიუკერძოებლობა, ცნობა-აღსრულების ეტაპზე გახანგრძლივებული ვადები). რა თქმა უნდა, ასევე აუცილებელია სათანადო ინფორმაციის მიწოდება არბიტრაჟის პოტენციურ მომხმარებელთათვის. მოსალოდნელია, რომ ამის მიღწევა ერთბაშად და ფართო მასშტაბით მარტივად ვერ მოხერხდება და ყველა შემთხვევაში დრო დასჭირდება.



## II. ანბიტრაჟის განვითარება საქართველოში: მოკლე ისტორია

### 1. 1997-2009 წლები: „არ დავმარცხდი. მე მხოლოდ ვიპოვე 10 000 გზა, რომელიც არ მუშაობს“<sup>2</sup>

საქართველომ პირველი კანონი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ (შემდგომში „1997 წლის კანონი“) 1997 წელს მიიღო. ეს იყო საბჭოთა კანონმდებლობისგან განსხვავებული, დამოუკიდებელი საარბიტრაჟო კანონმდებლობის მიღების პირველი მცდელობა. 1997 წლის კანონს, სხვა ხარვეზებთან ერთად, შემდეგი ხარვეზები ჰქონდა, რომლებმაც დიდწილად განაპირობა არბიტრაჟის დღევანდელი სახით დამკვიდრება:

- კანონის თანახმად, მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულებები საქართველოს მენარმეთა შესახებ კანონით დადგენილი წესით უნდა ჩამოყალიბებულიყო.<sup>3</sup> ამის გამო საარბიტრაჟო დაწესებულებათა უმრავლესობას დღესაც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფორმითაა რეგისტრირებული, ნაცვლად არაკომერციული (არასამენარმეთო) იურიდიული პირისა (ააიპ), როგორც ეს იმ ქვეყნებშია, სადაც არბიტრაჟი განვითარებულია;
- კანონის 42-ე მუხლის თანახმად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება თავად არბიტრაჟის თავმჯდომარის მიერ გაცემული სააღსრულებლო წარწერის საფუძველზე ხდებოდა. ამდენად, არბიტრაჟის გადაწყვეტილება სასამართლოს მიერ რაიმე კონტროლს არ ექვემდებარებოდა. ამან არბიტრაჟის ბოროტად გამოყენებას გაუხსნა გზა და იგი „უკანონო მართლმსაჯულების“ განხორციელების იოლ მექანიზმად იქცა. იყო შემთხვევები, როდესაც არბიტრაჟის გზით საკუთრების უკანონოდ მიკუთვნება/მისაკუთრება, გაშვილება და სხვაგვარი უკანონო ქმედებები „გაუმართლებიან“;<sup>4</sup>
- გარდა ამისა, 1997 წლის კანონი სასამართლოებს უფლებას აძლევდა, გარკვეულ შემთხვევებში „შეეცვალათ“ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები მხარის მოთხოვნის საფუძველზე.<sup>5</sup> ამან განაპირობა 12 წლის განმავლობაში სასამართლოებში საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების არსებითად გადასინჯვისა და „შეცვლის“ პრაქტიკის ჩამოყალიბება.

ამ ყველაფრის შედეგად, სისტემის შემადგენელ მხარეებს: არბიტრებს, არბიტრაჟის სასურველ მომხმარებლებს (ბიზნეს/კომერციულ სუბიექტებს) და მოსამართლეებს ჩამოუყალიბდათ არბიტრაჟის მცდარი და/ან ნეგატიური აღქმა; ასევე მცდარად და/ან არასწორად აღიქვეს საკუთარი როლი სისტემის მოქმედებაში.

<sup>2</sup> თომას ა. ედისონი – „ლევენდარული მუქთახორა“, ტომი 73; XLVI, გამოცემა მე-3 (1967), გვ. 52, ხელმისაწვდომია: [http://www.arimi.it/wp-content/73/03\\_March\\_1967.pdf](http://www.arimi.it/wp-content/73/03_March_1967.pdf), ნანახია: 21.11.2017 წ.

<sup>3</sup> საქართველოს კანონი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ (1997 წ.), მუხლი 7.1.

<sup>4</sup> მაიკლ დ. ბენზანი, ADR-ის შეფასება საქართველოში, გვ. 10, ხელმისაწვდომია: <http://ewmi--prolog.org/images/files/6743assessment-of-adr-in-georgia.pdf>, ნანახია: 21.11.2017 წ.

<sup>5</sup> საქართველოს კანონი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ (1997 წ.), მუხლი 43.

## 2. 2009-2015 წლები: „მარცხი წარმატებაა, თუკი მისგან ვისწავლით“<sup>6</sup>

2000-იანი წლების ბოლოს, როდესაც საქართველომ მიზნად დაისახა ინვესტორებისთვის მიმზიდველი გარემო შექმნა, დღის წესრიგში დადგა არბიტრაჟის შესახებ ახალი კანონის მიღება. ახალი კანონის საფუძვლად აიღეს გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის (UNCITRAL) მიერ შემუშავებული მოდელური კანონი საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ (შემდგომში „მოდელური“), რომელსაც საერთაშორისო საზოგადოება კარგად იცნობს და საარბიტრაჟო კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტადაა მიჩნეული. შედეგად, 2009 წელს მიიღეს საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, რომელიც დიდწილად UNCITRAL-ის მოდელურ კანონს ეფუძნებოდა. 2009 წლის კანონი აწესრიგებს საქართველოში არბიტრაჟის შექმნისა და წარმოების საკითხებს, ასევე საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების წესებს. ამგვარად, კანონი, გარკვეულწილად შეიცავს ნიუ იორკის 1958 წლის კონვენციის „უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ“ (შემდგომში „ნიუ იორკის კონვენცია“) დებულებებს.

სხვა უპირატესობებთან ერთად, ახალი კანონით რამდენიმე ძირითადი გარდატეხა მოხდა: 1. საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობა-აღსრულება დაექვემდებარა სასამართლოს მიერ ცნობასა და აღსრულებას; 2. კანონით ამომწურავად განისაზღვრა საფუძვლები, რომელთა გამოც შეიძლება მოხდეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების გაუქმება, ან მათ ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმა; 3. საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმის მიმართ მოქნილი მოთხოვნები დამკვიდრდა; 4. არბიტრაჟთან დაკავშირებულ საკითხებში სასამართლოს ჩარევა შეიზღუდა კანონით დადგენილი მოცულობით; 5. კანონმა ბევრი დისპოზიციური ნორმა გაითვალისწინა იმ შემთხვევებისთვის, როდესაც მხარეებს შორის კონკრეტულ საკითხებზე (მაგალითად, არბიტრების რაოდენობა, დანიშვნის წესი, არბიტრაჟის ადგილი, ა.შ.) შეთანხმება არ არსებობს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ასპექტია ე.წ. *ad hoc* არბიტრაჟის დამკვიდრების თვალსაზრისით.

თუმცა, კანონმდებლობასა და პრაქტიკაში კვლავ გამოვლინდა ბარიერები, რაზეც გრძელდებოდა დისკუსია და მუშაობა არასამთავრობო, სამთავრობო და იურისტთა წრეებში:<sup>7</sup>

- საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობა-აღსრულებისთვის კანონით განისაზღვრა იმავე ოდენობის სახელმწიფო ბაჟი, რამდენიც სასამართლოში სარჩელის შეტანისთვის.<sup>8</sup> ამას არბიტრაჟის ადმინისტრირების და არბიტრთა ჰონორარის ხარჯები ემატებოდა, რითაც არბიტრაჟი დავის გადაწყვეტის სასამართლოზე ძვირადღირებული მექანიზმი გამოდიოდა;

<sup>6</sup> მალკოლმ ფორბსი, ხელმისაწვდომია: [https://www.brainyquote.com/quotes/malcolm\\_forbes\\_121340](https://www.brainyquote.com/quotes/malcolm_forbes_121340). ნანახია: 21.11.2017 წ.

<sup>7</sup> აღნიშნული ხარვეზები აღწერილია კვლევაში Michael D. Belchman, ADR Assessment in Georgia, ხელმისაწვდომია <http://ewmi-prolog.org/images/files/6743assessment-of-adr-in-georgia.pdf>, ნანახია: 21.11.2017 წ.

<sup>8</sup> სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 39, 2014 წ. დეკემბრის რედაქცია.

- არ არსებობდა არბიტრთა თვითრეგულირების მექანიზმი, მათი კვალიფიკაციის განმსაზღვრელი და/ან ეთიკური ქცევის წესების დამდგენი და აღმასრულებელი ორგანო;
- 2009 წლის კანონი თავადვე შეიცავდა ხარვეზებს და გარკვეულწილად სცდებოდა მოდელურ კანონს: 1) ბლუდავდა მხარეთა მიერ მხოლოდ ინსტიტუციური არბიტრაჟის არჩევის უფლებას; 2) ბუნდოვანი იყო ცნობა-აღსრულების პროცედურა; 3) არ არსებობდა საარბიტრაჟო წარმოების დაწყებამდე სასამართლოს მიერ გამოცემული უზრუნველყოფის ღონისძიებების მოთხოვნის უფლება და ა.შ.

ჩამოთვლილი ხარვეზების უმრავლესობა იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით 2015 წელს, 2009 წლის კანონში შეტანილი ცვლილებების შედეგად გამოსწორდა. ბაჟის ოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა<sup>9</sup> და საკანონმდებლო ხარვეზების უმრავლესობა აღმოიფხვრა. გარდა ამისა, 2013 წელს დაფუძნდა არბიტრთა პროფესიული გაერთიანება – საქართველოს არბიტრთა ასოციაცია (GAA).<sup>10</sup> 2013-2014 წლებში ასოციაციამ საერთაშორისო ექსპერტების მხარდაჭერით შეიმუშავა და მიიღო არბიტრთა ეთიკის კოდექსი.<sup>11</sup>

### **3. 2015 წლიდან დღემდე: „ის, ვინც ნაპირი გადალახა, ყველაზე კარგად იცნობს წყალს“<sup>12</sup>**

საქართველოში არბიტრაჟს მძიმე წარსული ჰქონდა. მისი „ცხოვრების“ საწყისი ეტაპი გაუგებრობისა და ბოროტად გამოყენების ბურუსით იყო მოცული. არსებობის მეორე ეტაპზე არსებითი პირობები შეიცვალა, რამაც მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია როგორც პრაქტიკაში, ისე არბიტრაჟისადმი საზოგადოების დამოკიდებულებაში. არბიტრაჟი არა მხოლოდ გადარჩა, არამედ გარკვეული (შესაძლოა მცირედი, მაგრამ მაინც საკუთარი) ადგილი დაიმკვიდრა საქართველოს სამართლებრივ სივრცეში. დღესდღეობით გვაქვს შემდეგი მოცემულობა: პრინციპულად კარგი კანონი არბიტრაჟის შესახებ (მცირე ტექნიკური/სტილისტური/მთარგმნელობითი ხარვეზებით, რომლებიც ასახულია დანართში 1); სახელმწიფოს ნება, რომ არბიტრაჟი, როგორც დავის გადაწყვეტის სასამართლოსაგან ალტერნატიული მექანიზმი, განვითარდეს და მეტად პოპულარული გახდეს.

იმის გასაგებად, თუ რა პოტენციალი აქვს არბიტრაჟს, რომ საქართველოში დავის გადაწყვეტის უფრო მისაღები და მიმზიდველი მექანიზმი გახდეს, საჭიროა, სისტემაში ჩართული თუ დაინტერესებული ყველა მხარის შეხედულების გარკვევა, ასევე, არსებული სასამართლო პრაქტიკის შეფასება. რეალობის საფუძვლიანად შესწავლის შემდგომ შესაძლოა, უკეთ შევძლოთ მსჯელობა არბიტრაჟის პერსპექტივასა და იმ ზომებზე, რაც მისი განვითარებისთვისაა საჭირო.

<sup>9</sup> სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 39.1. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების და გაუქმების მოთხოვნისთვის ბაჟის ფიქსირებული ოდენობაა 150 ლარი.

<sup>10</sup> მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ: [www.gaa.ge](http://www.gaa.ge); ნანახია: 21.11.2017 წ.

<sup>11</sup> არბიტრთა ეთიკის კოდექსის ტექსტი ხელმისაწვდომია: <http://www.gaa.ge/gaa-saxelmdzgvanelo/resursebi-da-masalebi/> ნანახია: 21.11.2017 წ.

<sup>12</sup> დანიური ხალხური ანდაზა.

## III. ანტიტრაქტორული მოქმედება პრაქტიკაში: საანტიტრაქტორული ინსტიტუტები საქართველოში

კვლევის ფარგლებში განისაზღვრა 35-მდე საარბიტრაჟო ინსტიტუტი, რომელთაგან მხოლოდ 19-ზე მოხერხდა რაიმე სახის საკონტაქტო ინფორმაციის მოძიება ინტერნეტისა და საინფორმაციო ცენტრების (08 და 09) მეშვეობით. შესაბამისად, კვლევითი ჯგუფი შემოხსენებულ 19 ინსტიტუტს დაუკავშირდა. მათგან 11 დათანხმდა ინტერვიუს.

გამოკითხულ დაწესებულებათაგან ერთი 2004 წელს დაფუძნდა, ცხრა – 2008-2010 წლებში, ხოლო ერთი – 2013 წელს. აღნიშნული ინსტიტუტებიდან 10 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფორმითაა ჩამოყალიბებული, „მენარმეტა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მხოლოდ ერთია არასამენარმეტო (არაკომერციული) იურიდიული პირი. საინტერესოა, რომ ზოგიერთი საარბიტრაჟო ინსტიტუტი დამოუკიდებლად კი არ არსებობს, არამედ ამა თუ იმ იურიდიული/საკონსულტაციო ფირმის ფარგლებში მოქმედებს და, შესაბამისად, ერთსა და იმავე პირების მიერ იმართება (ასეთი ჩვენს შემთხვევაში გამოკითხულთაგან 1 ინსტიტუტი აღმოჩნდა). ასევე, ზოგ შემთხვევაში, მართალია, ინსტიტუტი დამოუკიდებელი იურიდიული პირია, თუმცა, მისი მენილე პარტნიორები უშუალოდ იურიდიული/საკონსულტაციო ფირმები ან ასეთ ფირმებში წილის მფლობელი ფიზიკური პირები არიან (ასეთი გამოკითხულთაგან 3 ინსტიტუტი აღმოჩნდა). არის შემთხვევები, როდესაც ერთი პირი რამდენიმე საარბიტრაჟო ინსტიტუტთანაა დაკავშირებული მმართველი დირექტორის და/ან მენილე პარტნიორის როლში (2 შემთხვევა). ასევე, ერთ შემთხვევაში რესპონდენტს ერთპიროვნულად ჰქონდა დაარსებული ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ორი საარბიტრაჟო ინსტიტუტი და თავადვე იყო ორივე ინსტიტუტის ერთადერთი პარტნიორი, დირექტორი და არბიტრი.

11-დან 10 ინსტიტუტი თბილისში, ხოლო ერთი ბათუმში საქმიანობს. ყველა მათგანს აქვს საკუთარი ოფისი, სადაც სხდომები იმართება. რესპონდენტებთან ინტერვიუებიც მათ ოფისებში ჩატარდა. დღევანდელი მონაცემებით, გამოკითხულთაგან 6 ინსტიტუტი ამ სფეროში აქტიურად საქმიანობს და საქმეებს სისტემატურად განიხილავს, ხოლო ოთხმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ დღეს საქმეები აღარ აქვთ და დავებს არ განიხილავენ (2 ინსტიტუტი), ან მხოლოდ რამდენიმე საქმე ჰქონიათ ბოლო წლების განმავლობაში (2 ინსტიტუტი). ერთ რესპონდენტს შემოსულ საქმეთა რაოდენობა არ დაუსახელებია, თუმცა, აღნიშნა, რომ მოთხოვნა მის არბიტრაჟზე შემცირებულია.

### 1. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

ინსტიტუტთა უმრავლესობას აქვს როგორც საარბიტრაჟო წარმოების წესები/დებულება,

ასევე თავად დაწესებულების წესდება. ხშირ შემთხვევაში ეს ინფორმაცია მარტივად ხელმისაწვდომი არ არის. ინსტიტუტთა უმრავლესობას არ აქვს გამართულად მომუშავე ვებგვერდი, სადაც მომხმარებელი აღნიშნულ ინფორმაციას სრულად მოიპოვებს. გამოკვლეული დაწესებულებებიდან სამს ვებგვერდი ან სოციალური ქსელის გვერდი საერთოდ არ გააჩნია, ერთს კი მხოლოდ ფეისბუქის გვერდი აქვს, თუმცა, ეს გვერდი არ არის აქტიური (ბოლო აქტივობა 2014 წელს ფიქსირდება). 4 საარბიტრაჟო ინსტიტუტს აქვს ვებგვერდი, რომლებზეც მინიმალური ინფორმაცია მოიპოვება: საარბიტრაჟო წარმოების წესები/დებულება და საკონტაქტო ინფორმაცია (ამ ოთხი ინსტიტუტიდან ერთს დამატებით ასევე გამოქვეყნებული აქვს მოქმედი არბიტრების სია). დანარჩენი სამი ინსტიტუტის შემთხვევაში, შედარებით მეტი და სრულყოფილი ინფორმაციაა ხელმისაწვდომი. კერძოდ, მათ ვებგვერდებზე მოცემულია საარბიტრაჟო წარმოების წესები/დებულება, არბიტრთა სია, საარბიტრაჟო ხარჯების დაანგარიშების მექანიზმი (კალკულატორი), სიახლეები და საკონტაქტო ინფორმაცია. გარდა ამისა, ისინი ინფორმაციას სოციალური ქსელის, „ფეისბუქის“, გვერდის მეშვეობითაც ავრცელებენ. უკანასკნელი სამი ინსტიტუტიდან შესაძლებელია ორი ინსტიტუტის განსაკუთრებულად გამოყოფა – მათ ვებგვერდზე დამატებით განთავსებულია ინფორმაცია შიდაორგანიზაციული სტრუქტურის შესახებ, საარბიტრაჟო დათქმების ნიმუშები ხელშეკრულებაში გასათვალისწინებლად და გარკვეული საინფორმაციო ბროშურები თუ გზამკვლევები არბიტრაჟის შესახებ.

ზოგი დაწესებულების საარბიტრაჟო წესების ნახვა საქართველოს ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოს – საკანონმდებლო მაცნის ვებგვერდზე იყო შესაძლებელი. ეს განპირობებულია 1997 წლის კანონის მოთხოვნით,<sup>13</sup> რაც მიზნად ისახავდა საარბიტრაჟო ინსტიტუტის დებულების მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გავრცელებას.

თერთმეტიდან სამ შემთხვევაში დებულებების ონლაინ ვერ მოიძიბნა (ვერც ინსტიტუტის ვებგვერდისა და ვერც საკანონმდებლო მაცნეს მეშვეობით) და ისინი უშუალოდ საარბიტრაჟო დაწესებულებებისგან გამოვითხოვეთ. მხოლოდ ერთი ინსტიტუტის წესების მოძიება ვერ მოხერხდა ვერანაირი საშუალებით.

## **2. მართვის ორგანოები/სტრუქტურა**

შესწავლილ ინსტიტუტთა უმრავლესობას (11-დან 9-ს) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვის დამახასიათებელი შაბლონური სტრუქტურა და მართვის ორგანოები აქვს: პარტნიორთა კრება, რომელიც უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს და ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი დირექტორი, რაც სტანდარტული წესდებით განისაზღვრება. გამოკითხულთაგან სამი ინსტიტუტის შემთხვევაში, დამფუძნებელიც, დირექტორიც და საქმეთა განმხილველი არბიტრიც ერთი პიროვნებაა.

ორი ინსტიტუტის შემთხვევაში გამონაკლისსაც ვხვდებით, სადაც საარბიტრაჟო ინსტიტუტებს

<sup>13</sup> საქართველოს კანონი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ (1997 წელი), მუხლი 7.2.

სპეციფიკური ორგანოები აქვთ. მათგან ერთ-ერთში, რომელიც ასევე შპს-ა, დირექტორატის და პარტნიორთა კრების გარდა, ფუნქციონირებს საარბიტრაჟო სასამართლო და სამდივნო (გენერალური მდივნის ხელმძღვანელობით). საარბიტრაჟო სასამართლო დავას უშუალოდ არ განიხილავს. იგი ადმინისტრირებას უწევს ტრიბუნალის მიერ დავის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესს, რაც გულისხმობს დახმარებას ტრიბუნალის ფორმირებაში, გადაწყვეტილების მიღებას არბიტრის შეცვლის შესახებ, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ფორმალურ შემოწმებას, ტრიბუნალის გადაწყვეტილების დადასტურებას და დოკუმენტების შენახვას. საარბიტრაჟო სასამართლოს ამ საქმიანობაში ეხმარება სამდივნო გენერალური მდივნის ხელმძღვანელობით.

მეორე ინსტიტუტი, რომელიც გამონაკლისთა რიცხვში მოხვდა, ა(ა)იპ-ის ფორმითაა დაარსებული და მისი სტრუქტურა გამგეობის, სამდივნოსა და საარბიტრაჟო საბჭოსგან შედგება. გამგეობა საარბიტრაჟო ცენტრის კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტას უზრუნველყოფს და არ ერევა საარბიტრაჟო განხილვაში. საარბიტრაჟო ცენტრში წარმოდგენილი საარბიტრაჟო საქმეების უშუალო ადმინისტრირებასა და საარბიტრაჟო პროცესების ორგანიზებას სამდივნო ახორციელებს. იგი ინსტიტუტის ყოველდღიურ საქმიანობაშია ჩართული და ხელს უწყობს როგორც საარბიტრაჟო საბჭოს, ასევე საარბიტრაჟო ტრიბუნალს მათი ფუნქციების განხორციელებაში. რაც შეეხება საარბიტრაჟო საბჭოს, მისი ფუნქციაა საარბიტრაჟო განხილვის ეფექტიანი წარმოებისა და ცენტრის საარბიტრაჟო წესებთან მისი შესაბამისობის უზრუნველყოფა.

საარბიტრაჟო საბჭო იღებს ისეთ გადაწყვეტილებებს, როგორცაა, მაგალითად, არბიტრების დანიშვნა-აცილება და საქმეების გაერთიანება, ასევე საარბიტრაჟო ცენტრის საარბიტრაჟო წესებით მინიჭებულ სხვა საკითხებზე.

### **3. არბიტრები**

გამოკითხულ ინსტიტუტთაგან, ვებგვერდზე ხელმისაწვდომი არბიტრთა სია 4 საარბიტრაჟო დაწესებულებას აქვს. არბიტრთა რაოდენობა ოთხივე შემთხვევაში განსხვავებულია: ერთ-ერთ სიაში 56 არბიტრია, მეორეში – 30, მესამეში – 7, ხოლო მეოთხეში – 1 არბიტრი. ამ უკანასკნელის შემთხვევაში, არბიტრაჟის თავმჯდომარემ ინტერვიუში აღნიშნა, რომ სია არ აქვს და, როგორც წესი, თავად განიხილავს ყველა დავას, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, როგორც თავმჯდომარეს, არბიტრად სხვა პირის დანიშვნაც შეუძლია. დანარჩენი ინსტიტუტებიდან ინტერვიუებში ოთხის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სხვა არბიტრებიც ჰყავთ („ჩვენი არბიტრები“) ან საჭიროების შემთხვევაში ინვევენ მათ. მაგალითად, ერთი ინსტიტუტის მოწოდებული ინფორმაციით, სიაში 14 არბიტრია, თუმცა, საქმეებს უმეტესწილად ოთხი არბიტრი განიხილავს. კიდევ ერთმა რესპონდენტმა მიუთითა, რომ ძირითადად მარტო განიხილავს საქმეებს და საჭიროების შემთხვევაში სხვა არბიტრებსაც იმატებს. დანარჩენ 2 ინსტიტუტში მხოლოდ ერთი არბიტრი განიხილავს საქმეებს. ამ უკანასკნელი ორიდან კი

გამოსაყოფია ერთი, რომელმაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, დაარსა ორი საარბიტრაჟო ინსტიტუტი, სადაც ერთპიროვნული არბიტრი, დირექტორი და დამფუძნებელია.

გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა არბიტრთა არჩევის ერთგვაროვანი კრიტერიუმები: კვალიფიკაცია, კომპეტენცია, ცნობადობა, ავტორიტეტი და ნდობა. ერთმა რესპონდენტმა ახსენა, რომ „არბიტრი საზოგადოებაში [უნდა] სარგებლობდეს პატიოსანი და ობიექტური პირის რეპუტაციით“. აღსანიშნავია ისიც, რომ ძირითადად უპირატესობას იურისტებს და ადვოკატებს ანიჭებენ. მაგალითად, ერთმა აღნიშნა კიდევ, რომ არბიტრი „იურისტი უნდა იყოს აუცილებლად და, შესაბამისად, მე უნდა ვენდობოდე მას, როგორც კვალიფიციურს“. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ინსტიტუტი ცდილობს, მოიწვიოს არაიურიდიული განათლების მქონე არბიტრებიც, რომლებსაც კონკრეტული დავის შინაარსიდან გამომდინარე რომელიმე სფეროში შესაბამისი კვალიფიკაცია/კომპეტენცია აქვს.

#### **4. საარბიტრაჟო წარმოების წესების ზოგადი და განსაკუთრებული მახასიათებლები**


საარბიტრაჟო წარმოების წესების/დებულებების უმეტესობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სტრუქტურის მიხედვითაა აგებული. ისინი, სხვა ასპექტებთან ერთად, მოიცავენ ტერმინთა განმარტებებს, ზოგად დებულებებს, საარბიტრაჟო უწყების მხარეთათვის ჩაბარების წესებს, საარბიტრაჟო წარმოების პროცედურებს, განხილვის ვადებს, არბიტრაჟის კომპეტენციას, არბიტრის დანიშვნისა და აცილების მარეგულირებელ ნორმებს, საარბიტრაჟო ხარჯებს. განხილული 10 დებულებიდან კონფიდენციალობის შესახებ დათქმას მხოლოდ ოთხი ინსტიტუტი ითვალისწინებს. ოთხი ინსტიტუტის საარბიტრაჟო წარმოების წესები შეიცავს დათქმებს საარბიტრაჟო უწყების მხარისთვის საჯარო პუბლიკაციის გზით ჩაბარების თაობაზე – ინსტიტუტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების, ადგილობრივი თვითმმართველობის/მმართველობის ორგანოსთვის გადაცემის ან გაზეთის მეშვეობით.

შესწავლილთაგან ერთი ინსტიტუტის წესები ხელმისაწვდომია ქართულ და ინგლისურ ენებზე, ერთის კი – დამატებით ასევე რუსულ ენაზეც. დანარჩენი ინსტიტუტების წესები მხოლოდ ქართულ ენაზეა წარმოდგენილი.

განხილულთაგან სამი შეიცავს დებულებას, რომ მხარეებს შეუძლიათ განსაზღვრონ საარბიტრაჟო წარმოების ენა, ხოლო ამგვარი შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, გადაწყვეტილებას იღებს ტრიბუნალი შესაბამისი გარემოებების გათვალისწინებით. ოთხი ინსტიტუტი უშვებს მხარეთა შეთანხმებას წარმოების ენის თაობაზე, თუმცა, აღნიშნულზე შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში საარბიტრაჟო განხილვის ენად დისპოზიციურად განსაზღვრავს ქართულ ენას. ერთი ინსტიტუტის წესები პროცედურის ჩატარებას მხოლოდ ქართულ ენაზე ითვალისწინებს.

განსხვავებულია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღების ვადებიც. მეტი თვალსაჩინოებისთვის წარმოგიდგინებ ამ მონაცემებს ცხრილის სახით:

ცხრილი 1: განხილვის ვადები



ვადები (დღეები)	საარბიტრაჟო ინსტიტუტების რაოდენობა
180 დღე	3
90 დღე	2
60 დღე	1
30 დღე	3
15 დღე	1

საინტერესოა, რომ ინსტიტუტი, რომლის გადაწყვეტილების მისაღებად ერთ თვეს აწესებს, ადგენს, რომ თუ დადგენილ ვადაში გადაწყვეტილება არ მიიღება, „არბიტრაჟი“ უნდა გადადგეს და მხარეებმა 10 დღის ვადაში უნდა დანიშნონ „არბიტრაჟის“ ახალი წევრები.

ოთხი ინსტიტუტის საარბიტრაჟო წესები/დებულება შეიცავს სანიმუშო/მოდელურ საარბიტრაჟო დათქმას, რომლის გამოყენებაც შეუძლიათ იმ პირებს, ვისაც სურთ, რომ შესაძლო დავები შესაბამისი ინსტიტუტის წესების თანახმად განიხილებოდეს.

გამოიკვეთა ორი დანესებულება, რომლებსაც უფრო თანამედროვე რეგულაციები აქვთ. სხვა დანესებულებებისგან განსხვავებით, მათი წესები არეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორცაა: საქმეთა გაერთიანება საარბიტრაჟო პროცესში, არბიტრის პასუხისმგებლობის გამორიცხვა; ითვალისწინებს დაჩქარებულ საარბიტრაჟო პროცედურებს მცირე ოდენობის დავებზე, ასევე, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ფორმალურ გადახედვას ინსტიტუტის რომელიმე ორგანოს მიერ. დანარჩენ ინსტიტუტთაგან, ერთის წესები მოიცავს დათქმას „მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თანამშრომლების“ პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი ინსტიტუტის წესები მოიცავს ჩანაწერს, რომ მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში, „არბიტრაჟი“ უზრუნველყოფს საქმის განხილვას და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანას, „UNSI TRAL [sic.] 1976“-ის ტიპური რეგლამენტით.

**5. მოსაკრებელი და არბიტრთა ანაზღაურება**

გამოკითხულ ინსტიტუტებს საარბიტრაჟო მოსაკრებელსა და არბიტრთა ანაზღაურებასთან



დაკავშირებით განსხვავებული მიდგომები აქვთ.

უმეტეს შემთხვევაში, საარბიტრაჟო ხარჯების რეგულაცია სასამართლო ბაჟის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის რეგულაციის მოდელზეა მორგებული და მოიცავს არბიტრაჟის ხარჯებსა და არბიტრაჟის გარეშე ხარჯებს; ხოლო საარბიტრაჟო მოსაკრებელი არბიტრაჟის ხარჯებში შედის. თვალსაჩინოებისთვის, ცხრილის სახით წარმოგიდგინებთ საარბიტრაჟო ხარჯების რეგულაციის მონესრიგებას დაწესებულებების მიხედვით:

ცხრილი 2: საარბიტრაჟო მოსაკრებლები

საარბიტრაჟო მოსაკრებლის გამოანგარიშების მეთოდი	საარბიტრაჟო ინსტიტუტთა რაოდენობა	თანხის ოდენობა
ფიქსირებული პროცენტი დავის საგნის ღირებულებიდან	3	დავის საგნის ღირებულების 1.5%-დან 2%-ის ჩათვლით; თითოეული ინსტიტუტის მიერ დადგენილი მინიმალური ზღვარია - 100, 400 და 500 ლარი
ფიქსირებული გადასახადი არამატერიალურ დავებზე	1	500 ლარი
ცალკე სარეგისტრაციო მოსაკრებელი აქვს	3 (ფიქსირებული)	150 ლარი, 1 000 ლარი, 1 000 ევრო
	1 (დავის საგნის ღირებულების მიხედვით)	20,000 აშშ დოლარამდე - 500 აშშ დოლარი; 20,000 აშშ დოლარის ზევით - 1,000 აშშ დოლარი; დაჩქარებული წესით განხილვისას - 150 აშშ დოლარი
გრადაციის მექანიზმი	5	დავის საგნის ღირებულების მატებასთან ერთად მცირდება მოსაკრებელი

არბიტრთა ანაზღაურებასთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი მიდგომაა. შესწავლილ-თაგან მხოლოდ ორი საარბიტრაჟო ინსტიტუტი სთავაზობს მომხმარებელს არბიტრთა ჰონორარების წინასწარ განსაზღვრულ ცხრილს, რომელიც საარბიტრაჟო წარმოების წესებში/დებულებაშია განწესებული, დავის ერთი ან სამი არბიტრის მიერ განხილვის შემთხვევაში. აქ ინსტიტუტი და არბიტრები სწორედ დებულების ფარგლებში თანამშრომლობენ - არბიტრი საქმის ამ კონკრეტული წესების მიხედვით განხილვას თანხმდება და წინასწარვე ინფორმირებულია, თუ როგორ გამოითვლება მისი ჰონორარი. აქედან გამომდინარე, არ იდება რაიმე ცალკე ხელშეკრულება ინსტიტუტსა და არბიტრს შორის. კიდევ ერთმა ინსტიტუტმა აღნიშნა, რომ ადრე, როდესაც საქმეები ჰქონდათ, არანაირ ხელშეკრულებას არ დებდნენ არბიტრ-თან, არამედ სთავაზობდნენ მას არბიტრთა სიის წევრობას. თანხმობის შემთხვევაში იგი დებულებით განწესებულ ანაზღაურებას იღებდა. დანარჩენ შემთხვევებში არბიტრთა ანაზღაურება მათთან გაფორმებული შრომითი (2 შემთხვევაში) ან მომსახურების (1 შემთხვევაში) ხელშეკრულების საფუძველზე ხდება, გადახდილი საარბიტრაჟო მოსაკრებელიდან გარკვეული პროცენტის ოდენობით. ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ არბიტრებთან მემორანდუმს აფორმებდნენ. ის რესპონდენტები, რომლებიც თავისთავად დაარსებულ არბიტრაჟში ერთადერთი და ერთპიროვნული არბიტრები არიან, ჰონორარს შემოსული მოსაკრებელიდან ხელფასის სახით იღებენ.

ანალოგიურად, ერთ-ერთი ინსტიტუტის საქმიანობაში/მართვაში ჩართული პირები არბიტრობის შემთხვევაში ანაზღაურებას შიდა ბრძანების საფუძველზე იღებენ, ხოლო სხვა არბიტრების მოწვევის შემთხვევაში, მათთან ერთჯერადი ხელშეკრულება ფორმდება. ამავე ინსტიტუტში არბიტრთა ანაზღაურების შემდეგი მექანიზმი მოქმედებს: საარბიტრაჟო მოსაკრებლის 40% – თუ საქმეს ერთი არბიტრისგან შემდგარი ტრიბუნალი განიხილავს, ხოლო სამი არბიტრის შემთხვევაში - თითოეული 30%-ს იღებს (ან თავმჯდომარე 30%-ს და დანარჩენი არბიტრები 20%-ს).

ერთ შემთხვევაში, ჰონორარის ოდენობას ინსტიტუტის თავმჯდომარე ყოველ ჯერზე ადგენს, საქმის სირთულიდან გამომდინარე. კიდევ ერთმა აღნიშნა, რომ საქმეების მოზიდვის მიზნით, ხშირად არბიტრები დაბალ პროცენტზეც თანხმდებიან (1.5-3%) და მემორანდუმის/ ხელშეკრულების მეშვეობით ითვალისწინებენ დავის საგნის ღირებულების 3%, 2% ან 5%-საც კი. ორ სხვა საარბიტრაჟო ინსტიტუტში არბიტრის ჰონორარი განისაზღვრება ასე: საარბიტრაჟო მომსახურების საფასურს აკლდება სარეგისტრაციო მოსაკრებელი და დარჩენილი თანხა ნაწილდება ორ თანაბარ ნაწილად საარბიტრაჟო დაწესებულებასა და ტრიბუნალს შორის.

## **6. ეთიკის ნორმები**

განხილულ საარბიტრაჟო ინსტიტუტებს არბიტრთა ეთიკის საკუთარი კოდექსი არ აქვთ. გამოკითხულიდან მხოლოდ ორი ინსტიტუტი განიხილავს საკუთარი საარბიტრაჟო წესების ნაწილად საქართველოს არბიტრთა ასოციაციის მიერ შემუშავებულ ეთიკის კოდექსს და, აქედან გამომდინარე, სავალდებულო ძალას ანიჭებს მას. შესაბამისად, ამ ორ ინსტიტუტში მოქმედი არბიტრები ეთიკის კოდექსში ასახული ნორმებით არიან შებოჭილნი. ერთმა ინსტიტუტმა ახსენა, რომ ისინი ცდილობენ, ხელი შეუწყონ არბიტრთა ეთიკის კოდექსის გავრცელებას და პოპულარიზაციას, თუმცა, იგი სავალდებულო მხოლოდ მხარეთა მიერ მისი არჩევის შემთხვევაში ხდება. კიდევ ერთმა ინსტიტუტმა აღნიშნა, რომ მის არბიტრთა გარკვეული ნაწილი არბიტრთა ასოციაციის წევრი გახდა და, შესაბამისად, ეთიკის კოდექსის ნორმები მათთვისაც შემოტყვევლია. ინსტიტუტების 80%-ს არ სმენია არბიტრთა ეთიკის არსებული კოდექსისა თუ, ზოგადად, საქართველოში არსებული არბიტრთა პროფესიული გაერთიანების შესახებ, ან ძალიან მცირე და ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს მასზე.

## **7. საქმეთა რაოდენობა და დავის კატეგორიები**

კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა არბიტრაჟში ფინანსური – სამომხმარებლო სესხის დავების უპირობო დომინანტობა. შესწავლილი ინსტიტუტების საქმიანობის სფეროსაც უმეტესად მსგავსი ტიპის დავები წარმოადგენს. რესპონდენტების უმრავლესობამ თავის ე.წ. „მუდმივ კლიენტებად“ სწორედ საფინანსო ინსტიტუტები – ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები დაასახელა, რომლებიც მათთან თანამშრომლობენ და სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულებებში საარბიტრაჟო დათქმას ითვალისწინებენ. ასეთი საარბიტრაჟო ინსტიტუტები რაოდენობრივად გაცილებით მეტ დავას განიხილავენ. ასე მაგალითად, ერთი საარბიტრაჟო დაწესებულება, მათ მიერ მოწოდებული დაახლოებითი სტატისტიკის თანახმად, წელიწადში 2000-მდე დავას განიხილავს. ხოლო

კიდევ ერთი, დაახლოებით 700-1000 საქმეს. ამასთან შედარებით, იმ საარბიტრაჟო დაწესებულების მიერ განხილული საქმეების რაოდენობა, რომლის ფოკუსსაც მხოლოდ წმინდა კომერციული სახის (business to business) დავები წარმოადგენს, გაცილებით ნაკლებია. შედარებისთვის, ერთ ამგვარ დაწესებულებას ბოლო სამ წელიწადში 5-მდე საქმე ჰქონდა, ორს - 100-მდე საქმე აქვს განხილული, ხოლო სამი, მათივე წარმომადგენლების განცხადებით, ადრე ბევრ საქმეს განიხილავდა, დღესდღეობით კი საქმეები „აღარ შემოსდის“.

საარბიტრაჟო ინსტიტუტები სხვა ტიპის დავებსაც განიხილვენ. ერთ დაწესებულებას, მაგალითად, სამომხმარებლო სასესხო დავების გარდა, განუხილავს იჯარის, მომსახურების, ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე და შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული დავებიც; ერთ-ერთმა დაწესებულებამ კი აღნიშნა, რომ 2010-2011 წლებიდან მოყოლებული უფრო მეტად აქვთ კომერციული სახის და რამდენიმე შრომითი დავაც. თუმცა, მსგავსი დავების მაჩვენებელი პროცენტულად ძალიან მცირეა და ტენდენცია შენარჩუნებულია – გამოკითხულ დაწესებულებათა 80% აღნიშნავს, რომ მათი საქმეების 90%-ს სწორედ საფინანსო ინსტიტუტსა და ფიზიკურ პირებს შორის დავები შეადგენს. ის საარბიტრაჟო დაწესებულებებიც, რომლებსაც ბოლო წლებში „ფაქტობრივად საქმე აღარ ჰქონიათ“, წარსულში სასესხო დავების განხილვით შემოიფარგლებოდნენ. როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, *„ჩვენ ვემსახურებით მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ძირითადად... იმიტომ, რომ ძირითადი მაინც დღესდღეობით საქართველოში არის სესხი და სესხიდან გამომდინარე ყველა დავა, გინდა არბიტრაჟში, გინდა სასამართლოში არის ვალდებულების შეუსრულებლობის გამო.“*

## **8. მომხმარებლის უკუგება და სტატისტიკის წარმოება**

გამოკითხულთაგან არცერთი საარბიტრაჟო ინსტიტუტი არ ზომას მომხმარებელთა სერვისით კმაყოფილებას რაიმე ობიექტური მეთოდით, მაგალითად, შეფასების კითხვარის მეშვეობით. თუმცა, კითხვაზე, თუ რატომ ირჩევს მომხმარებელი კონკრეტულად რომელიმე საარბიტრაჟო ინსტიტუტს, რესპონდენტთა უმრავლესობა სხვადასხვა მიზეზთან ერთად (საქმის მაქსიმალურად მოკლე დროში განხილვა, დაბალი ბაჟი, სამართლიანობა, მიუკერძოებლობა) რესპონდენტთა უმრავლესობამ უპასუხა, რომ ეს განპირობებულია კლიენტთა კმაყოფილებას ასახელებს, რომლებიც შემდგომში რეკომენდაციას უწევენ ამა თუ იმ კონკრეტულ საარბიტრაჟო დაწესებულებას.

საარბიტრაჟო ინსტიტუტებთან საუბრისას, უმრავლეს შემთხვევაში, რესპონდენტებს მხოლოდ დაახლოებითი სტატისტიკური მონაცემები ჰქონდათ მათ მიერ განხილულ საქმეებზე. შეძლებისდაგვარად ზუსტი სტატისტიკის მონოდება მხოლოდ სამმა ინსტიტუტმა შეძლო. მათგან ორს სტატისტიკური მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომი აქვს ვებგვერდზე; ერთი აღრიცხავს საარბიტრაჟო სარჩელების რაოდენობრივ სტატისტიკას წლების მიხედვით, ხოლო მეორე დამატებით აწარმოებს გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულების სტატისტიკას.

# IV. სასამართლო პრაქტიკა: სტატისტიკა, უზენაესი მიჯნობები და ანსაზული გამოწვევები კანონის განმარტებასა და გამოყენებაში

## 1. ზოგადი დასკვნები

კვლევისას გამოვითხოვეთ საქმეები თბილისის, ბათუმის და ქუთაისის საქალაქო სასამართლოებიდან, ასევე თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს საძიებო სისტემისა<sup>14</sup> და უზენაესი სასამართლოს საძიებო სისტემის მეშვეობით<sup>15</sup> შეძლებისდაგვარად მოვიძიეთ სასამართლო პრაქტიკა. ზოგადი დასკვნები:

- ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების გაუქმების ყველაზე ხშირი საფუძველი საჯარო წესრიგია ან ის, რომ მხარეს საარბიტრაჟო პროცესის შესახებ სათანადო შეტყობინება არ მიეცა;<sup>16</sup>
- იკვეთება სასამართლო პრაქტიკის გაუმჯობესების ტენდენცია;
- სასამართლოების პრაქტიკა რიგ საკითხებზე კვლავ არ არის თანმიმდევრული;
- მოსამართლეები მეტად იყენებენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსს და ნაკლებად იშვებენ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონს;
- სასამართლოებს უჭირთ არბიტრაჟის (ტრიბუნალის) და იმ დაწესებულების გამიჯვნა, რომელიც დავას ადმინისტრირებას უწევს;
- სასამართლოები ხშირად ითხოვენ დოკუმენტებს, რომელთა გამოთხოვა არ არის გათვალისწინებული კანონით;
- არსებითი ცვლილება საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულებისა თუ გაუქმების შესახებ განცხადებების დაკმაყოფილების დინამიკაში არ შეინიშნება.

## 2. სტატისტიკა

სტატისტიკური ინფორმაცია გამოვითხოვეთ საქართველოს უზენაესი სასამართლოდან (2011-2016 წლების მონაცემები), თბილისის სააპელაციო სასამართლოდან და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან (2013-2016 წლების მონაცემები). ქვემოთ მოყვანილია სასამართლოების მონოდებული ინფორმაცია.

### 2.1. საქართველოს უზენაესი სასამართლო<sup>17</sup>

2013-2017 წლებში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ

<sup>14</sup> <http://www.tbappeal.court.ge/?category=g>

<sup>15</sup> [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

<sup>16</sup> ეს დაკვირვება ეფუძნება როგორც მოსამართლეთა ინტერვიუებს, ასევე შესწავლილ საქმეებზე მკვლევრების დაკვირვებას.

<sup>17</sup> სტატისტიკური ინფორმაციის წყარო: საქართველოს უზენაესი სასამართლოს წერილი #პ-258-17, თარიღი 19.10.2017 წ.

სულ განიხილა 37 შუამდგომლობა უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულების შესახებ, ამთგან: დაკმაყოფილდა **22**; არ დაკმაყოფილდა **4**; განუხილველი დარჩა **11**.

**2.2. თბილისის სააპელაციო სასამართლო<sup>18</sup>**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ საარბიტრაჟო საქმეების შესახებ განხილული შუამდგომლობები:

წელი	შუამდგომლობის რაოდენობა
2013	3 523
2014	3 669
2015	2 532
2016	3 268

უფრო დეტალურ სტატისტიკას თბილისის სააპელაციო სასამართლოს კანცელარია და სტატისტიკის სექტორი არ ამუშავებს. შესაბამისად, მოკლებული ვართ შესაძლებლობას, დავადგინოთ ამ განცხადებებიდან რამდენი ეხებოდა ცნობა-აღსრულებას, რამდენი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებას და რამდენი არბიტრაჟის კომპეტენციის საკითხს. აგრეთვე, არ გვაქვს ინფორმაცია შუამდგომლობების დაკმაყოფილების და უარყოფის სტატისტიკის შესახებ.

ერთადერთი, რითიც შეგვიძლია ინფორმაციის დანაკლისის შესვება, ერთ-ერთ მოსამართლესთან ინტერვიუში გაჟღერებული ინფორმაციაა, რომლის თანახმადაც უმეტესწილად განიხილება განცხადებები ცნობა-აღსრულების შესახებ და გაცილებით იშვიათად – განცხადებები საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების გასაჩივრების შესახებ. ამ დინამიკას ადასტურებს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაციაც.

**2.3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლო<sup>19</sup>**

**2013-2014 წლებში**, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განიხილა არბიტრაჟთან დაკავშირებული შემდეგი შუამდგომლობები/საჩივრები:

<sup>18</sup> სტატისტიკური ინფორმაციის წყარო: თბილისის სააპელაციო სასამართლოს წერილი #01/332(ა), თარიღი: 9/11/2017 წ.  
<sup>19</sup> სტატისტიკური ინფორმაციის წყარო: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს წერილები: # 551-2/10 და 552-2/10, თარიღი: 26.10.2017 წ.

**ცხრილი 3:** ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ 2013-2014 წლებში არბიტრაჟთან დაკავშირებით განხილული შუამდგომლობები/საჩივრები

საკითხი	შუამდგომლობების რაოდენობა	დაკმაყოფილდა	არ დაკმაყოფილდა
ცნობა-აღსრულების მოთხოვნა	69	49	10
გაუქმების მოთხოვნა	12	6	2
საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მოთხოვნის შესახებ	11	4	6

\* აღნიშნულ ცხრილში მოცემული ინფორმაციიდან არ ჩანს, რა ბედი ეწია დარჩენილ 10 (ცნობა-აღსრულების შესახებ), 4 (გაუქმების შესახებ) და 1 (საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ) მოთხოვნას. სავარაუდოდ, ეს არის განუხილველად დატოვებული საქმეები.

**2015-2016 წლებში,** ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განიხილა არბიტრაჟთან დაკავშირებული შემდეგი შუამდგომლობები/საჩივრები:

**ცხრილი 4:** ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ 2015-2016 წლებში არბიტრაჟთან დაკავშირებით განხილული შუამდგომლობები/საჩივრები

საკითხი	შუამდგომლობების რაოდენობა	დაკმაყოფილდა	არ დაკმაყოფილდა
ცნობა-აღსრულების მოთხოვნა	53	44	3
გაუქმების მოთხოვნა	5	2	3
საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ	6	3	3
არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ	0	0	0

\* აღნიშნულ ცხრილში მოცემული ინფორმაციიდან არ ჩანს, რა ბედი ეწია დარჩენილ 6 (ცნობა-აღსრულების შესახებ) და 1 (საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ) მოთხოვნას. სავარაუდოდ, ეს არის განუხილველად დატოვებული საქმეები.

### 3. კონკრეტული მაგალითები სასამართლო პრაქტიკიდან

სასამართლო პრაქტიკის ანალიზის ერთ-ერთი მიზანი გახლდათ იმის გამოვლენა, თუ რამდენად შეცვალა 2009 წლის კანონში 2015 წელს შესულმა ცვლილებებმა პრაქტიკა, ასევე, არსებული პრობლემური საკითხების გამოკვეთა. შესაბამისად, სასამართლო პრაქტიკის ანალიზიც შემდეგი მიმართულებით მოხდება: ა. განიხილება სასამართლო პრაქტიკა იმ საკითხებთან მიმართებით, რომელთაც 2015 წლის ცვლილებები შეეხო; ბ. განიხილება სასამართლო პრაქტიკაში არსებული (სხვა) გამოწვევები.

#### 3.1. სასამართლო პრაქტიკა იმ საკითხებთან მიმართებით, რომლებსაც 2015 წლის ცვლილებები შეეხო

##### **არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 2.2. მუხლი - ad hoc არბიტრაჟი**

არბიტრაჟი ორი ფორმით შეიძლება წარმართოს: ა) ინსტიტუციური არბიტრაჟი, როდესაც დავას საარბიტრაჟო ტრიბუნალი განიხილავს საარბიტრაჟო ინსტიტუტის წესებითა და მისი ადმინისტრირებით; ბ) *ad hoc* არბიტრაჟი, როდესაც მხარეები თანხმდებიან, რომ თავად (და მათ მიერ არჩეულმა არბიტრებმა) წარმართონ საარბიტრაჟო პროცესი მათ მიერ, ან კანონით დადგენილი წესების შესაბამისად, საარბიტრაჟო ინსტიტუტის ადმინისტრირების გარეშე.<sup>20</sup>

2009 წელს მიღებული ახალი კანონი არბიტრაჟის შესახებ მოდელურ კანონს ეფუძნება და *ad hoc* პროცესსაა მორგებული. ამისდა მიუხედავად, არ შეცვლილა სასამართლო პრაქტიკა *ad hoc* არბიტრაჟთან მიმართებით და სასამართლო არ აღასრულებდა *ad hoc* საარბიტრაჟო დათქმებს. დამკვიდრებული პრაქტიკის გამოსასწორებლად, 2015 წელს 2009 წლის კანონის 2.2. მუხლში შევიდა ცვლილება, რომლის შედეგად მუხლი შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

*„2. მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ საარბიტრაჟო წარმოების წესებზე. ამ შემთხვევაში მხარეთა შეთანხმება მოიცავს საარბიტრაჟო წარმოების იმ წესებს, რომლებზედაც მხარეები საარბიტრაჟო შეთანხმებაში მიუთითებენ. ამასთანავე, მხარეთა შეთანხმება კონკრეტულ საარბიტრაჟო დაწესებულებაზე მოიცავს შეთანხმებას ამავე საარბიტრაჟო დაწესებულების წესებზე.“*

თავად მუხლის ტექსტი საკმარისად ნათელი არ არის იმის თაობაზე, რომ მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ არბიტრაჟზე რომელიც რომელიმე საარბიტრაჟო დაწესებულების ადმინისტრირების გარეშე წარმართება (*ad hoc*-ის არსი). თუმცა, მუხლის ფართო განმარტება მოგვცემდა იმის საშუალებას, რომ გვევარაუდა, რომ ვინაიდან მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ საარბიტრაჟო წარმოების წესებზე - რაც მხოლოდ ერთ-ერთი (და არა ერთადერთი) შესაძლებლობაა მათთვის - მაშასადამე, შესაძლებელია, რომ ისინი არც შეთანხმდნენ საარბიტრაჟო წარმოების წესებზე ან კონკრეტულ დაწესებულებაზე. კანონმდებლის ნება უფრო ნათლად იკითხება კანონის ცვლილებებზე მომზადებულ

<sup>20</sup> გარი ბორნი, საერთაშორისო არბიტრაჟი: კანონი და პრაქტიკა, მე-2 გამოცემა (Kluwer Law International, 2015), გვ.17.

განმარტებით ბარათში. განმარტებითი ბარათის თანახმად, აღნიშნულ მუხლში ცვლილების შეტანის შედეგად, „UNCITRAL-ის მოდელური კანონის მსგავსად, მხარეებს ეწებათ შესაძლებლობა მიმართონ კონკრეტული დავის გადასაწყვეტად შექმნილ (ad hoc) არბიტრაჟსაც.“<sup>21</sup>

კვლევის პროცესში კონკრეტულად ad hoc დათქმის ნამდვილობაზე სასამართლო გადაწყვეტილება ვერ მოვიძიეთ. თუმცა, მოვიძიეთ პრაქტიკა საარბიტრაჟო დათქმების ნამდვილობის სხვა ასპექტებზე. სასამართლო პრაქტიკა საარბიტრაჟო შეთანხმების განმარტებაზე იმგვარად ჩამოყალიბდა, რომ რჩება რისკი, ad hoc საარბიტრაჟო დათქმის ნამდვილობა სასამართლომ არ ცნოს.

მაგალითად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებებში ხშირად გვხვდება შემდეგი განმარტება: „სამოქალაქო საქმეთა პალატა განმარტავს, რომ დავის არბიტრაჟის გზით გადაწყვეტის თაობაზე მხარეთა შეთანხმება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის მიხედვით – გარიგებაა, რომელიც ამომწურავად უნდა განსაზღვრავდეს პირობებს, რათა ზუსტად დადგინდეს გარიგების შინაარსი. შესაბამისად, **მხარეები ვალდებული არიან შეთანხმებაში კონკრეტული საარბიტრაჟო დანესებულება, არბიტრი მიუთითონ.**“<sup>22</sup> ან შემდეგი სახის ანალიზი: „საარბიტრაჟო შეთანხმებიდან ზუსტად უნდა დგინდებოდეს, თუ რომელ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებული დავა უნდა განიხილოს არბიტრაჟმა და **შესაძლებელი უნდა იყოს იმ არბიტრაჟის ზუსტად იდენტიფიცირება, რომელმაც უნდა განიხილოს დავა.**“<sup>23</sup>

ad hoc არბიტრაჟი თავისი არსით მოიაზრებს იმას, რომ ხელშეკრულების დადების მომენტისთვის მხარეებმა არ იციან, ვინ იქნება მათი დავის განმხილველი არბიტრი/არბიტრაჟი. ამასთან, ისინი არ ირჩევენ რომელიმე საარბიტრაჟო დანესებულებას, რომელიც ადმინისტრირებას გაუწევდა მათ შორის დავას; არამედ მხარეები თავად, ან სასამართლოს (ან სხვა ორგანოს) დახმარებით ნიშნავენ არბიტრებს და ამგვარად შემდგარი არბიტრაჟი თავად წარმართავს პროცესს, მხარეთა შეთანხმებული ან არბიტრაჟის დადგენილი პროცედურის შესაბამისად. ამდენად, ad hoc საარბიტრაჟო დათქმა ვერ გაითვალისწინებს „კონკრეტულ საარბიტრაჟო დანესებულებას“ და ვერც „არბიტრაჟის ზუსტად იდენტიფიცირებას“ მოახდენს. სწორედ ამიტომ, შესაძლოა მივიჩნიოთ, რომ ზემოხსენებული განმარტებები რისკის ქვეშ აყენებს ad hoc არბიტრაჟის არსებობას საქართველოში.

თუმცა, ეს გადაწყვეტილებები უშუალოდ ad hoc საარბიტრაჟო დათქმას არ შეეხებოდა და, შესაძლოა, სასამართლომ იმავე არგუმენტებით არ იხელმძღვანელოს ad hoc საარბიტრაჟო დათქმის ნამდვილობის დადგენისას.

<sup>21</sup> განმარტებითი ბარათი „არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე, რეგისტრაციის ნომერი 07-2/280/8, თარიღი: 10-12-2015 წ., გვ.1.

<sup>22</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება, საქმე №2ბ/3594-15 და საქმე №2ბ/3306-15.

<sup>23</sup> აღნიშნული ფორმულირება მეორდება როგორც 2015 წლამდე არსებულ, ისე მის შემდგომ გადაწყვეტილებებში. მაგალითად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე №2ბ/3117-11, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე N2ბ/4905-16.



**კანონის მე-9 მუხლი - სასამართლოს მიერ მხარეთა არბიტრაჟზე მითითება, როდესაც სასამართლოში შესულია სარჩელი საარბიტრაჟო დათქმით გათალისწინებულ საკითხზე**

2015 წლამდე არსებული ფორმულირებით, როდესაც სასამართლოში შევიდოდა სარჩელი იმ დავაზე, რომელიც საარბიტრაჟო შეთანხმების საგანი იყო, სასამართლოს შეეძლო, უარი ეთქვა სარჩელის მიღებაზე და საქმის წარმოება შეეწყვიტა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარე სასამართლოს საარბიტრაჟო განხილვის დაწყების შესახებ შეტყობინებას წარუდგენდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მხარეთა შეთანხმება, თავისთავად, საკმარისი არ იყო სასამართლოსთვის არბიტრაჟზე მისათითებლად - დამატებით, საარბიტრაჟო დათქმის ერთ-ერთ მხარეს აუცილებლად უნდა შეეტანა საარბიტრაჟო სარჩელი. ეს ფორმულირება ეწინააღმდეგებოდა ნიუ იორკის კონვენციის მე-2 მუხლს და გაუგებარ მდგომარეობაში აყენებდა საარბიტრაჟო მოპასუხეს, რომელსაც საარბიტრაჟო სარჩელის შეტანა მოუწევდა საარბიტრაჟო შეთანხმების აღსასრულებლად. 2015 წლის ცვლილებით, ეს ხარვეზი გამოსწორდა და დადგინდა, რომ მხარეთა შორის საარბიტრაჟო შეთანხმება საკმარისია. ასევე, დაბუსტდა, რომ სასამართლომ, საქმის წარმოების შეწყვეტისას, მხარეებს არბიტრაჟზე უნდა მიუთითოს.

ჩვენს მიერ მოძიებული 2015 წლის შემდგომი სასამართლო პრაქტიკა აღნიშნულ საკითხზე სრულად შეესაბამება კანონის მოთხოვნებს. მაგალითად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 30 ნოემბრისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 2 აგვისტოს განჩინებებით,<sup>24</sup> საქმეების წარმოება შეწყდა და მხარეებს მიეთითათ, რომ მათ შორის დავა ექვემდებარებოდა არბიტრაჟის წესით განხილვას, როგორც ამას შესაბამისი ხელშეკრულებები ითვალისწინებდა: 2016 წლის 30 ნოემბრის განჩინების შემთხვევაში, საარბიტრაჟო შეთანხმება უთითებდა უცხოეთში არსებულ არბიტრაჟზე (საერთაშორისო სავაჭრო პალატის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლო - ICC ICA), ხოლო 2016 წლის 2 აგვისტოს განჩინების შემთხვევაში - საქართველოში არსებულ არბიტრაჟზე.

**არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი - ფიზიკურ პირებთან დადებული საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმა**

2015 წლის ცვლილებების შედეგად შეიცვალა ფორმის მიმართ მოთხოვნა ფიზიკურ პირებთან დადებული საარბიტრაჟო შეთანხმებების კუთხით. 2015 წლამდე არსებული რეგულაციით, თუ საარბიტრაჟო შეთანხმების ორივე მხარე ფიზიკური პირი იყო, ამგვარი ხელშეკრულება სანოტარო წესით უნდა დაემოწმებინათ. ხოლო თუ ერთ-ერთი მხარე ფიზიკური პირი ან ადმინისტრაციული ორგანო იყო, მაშინ მარტივი წერილობითი ფორმა საკმარისი იქნებოდა (რაშიც არ მოიაზრებოდა ამავე მუხლის სხვა დებულებები, რომლებიც აფართოებდნენ წერილობითი ფორმის არსს და, მაგალითად, ასეთად მიიჩნევენ ასევე ელექტრონულ შეტყობინებას).<sup>25</sup> 2015 წლის ცვლილებებით მოიხსნა სანოტარო ფორმის

<sup>24</sup> ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 30 ნოემბრის განჩინება საქმეზე #2/ბ-872. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 2 აგვისტოს განჩინება, საქმეზე N2ბ/4905-16, მითითებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 24 ნოემბრის განჩინებაში.

<sup>25</sup> საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, მუხლი 8.5.

მოთხოვნა, რაც მართებულია. ამავე დროს, დადგინდა, რომ თუ საარბიტრაჟო შეთანხმების ერთ-ერთი მხარეა ფიზიკური პირი ან ადმინისტრაციული ორგანო, მაშინ ასეთი შეთანხმება „უნდა დაიდოს წერილობით, ისეთი დოკუმენტის მეშვეობით, რომელიც ხელმოწერილია მხარეების მიერ.“<sup>26</sup>

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 30 მარტის განჩინებით<sup>27</sup> განხილულ საქმეში მხარეთა შორის გაფორმდა სესხის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც მსესხებელი - ფიზიკური პირი - ელექტრონული განაცხადის შევსებით ეთანხმებოდა ხელშეკრულების სხვა პირობებს. ერთ-ერთი ასეთი პირობა იყო დათქმა არბიტრაჟის შესახებ. თბილისის სააპელაციო სასამართლომ უარი თქვა აღნიშნული დათქმის საფუძველზე არბიტრაჟის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე იმ საფუძველზე, რომ კანონის მე-8 მუხლის თანახმად, ფიზიკურ პირთან დადებულ საარბიტრაჟო შეთანხმებას მხარე უნდა აწერდეს ხელს. სასამართლომ აღნიშნა: „როდესაც მოპასუხე [...] ფიზიკური პირია, მხოლოდ ხელშეკრულების გაცნობა და ელექტრონულად აღნიშნულის დადასტურება, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ვერ ჩაითვლება საარბიტრაჟო შეთანხმების დადებად. ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ საქმეში წარმოდგენილი არ არის „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით შედგენილი შეთანხმება არბიტრაჟზე.“

### **არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 23-ე მუხლი - სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრამდე გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები**

2009 წლის კანონის 23-ე მუხლის 2015 წლამდე მოქმედ რედაქციაში არსებობდა მითითება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 192-ე მუხლზე, რაც გამორიცხავდა მხარის შესაძლებლობას საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრამდე მიემართა სასამართლოსთვის საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე. 2015 წლის ცვლილებებით ეს მითითება ამოიღეს. შესაბამისად, შეიცვალა სასამართლო პრაქტიკაც.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 11 ნოემბრის განჩინებით,<sup>28</sup> მხარეს აეკრძალა უძრავი ქონების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა, იმისდა მიუხედავად, რომ მხარეთა შორის არსებული საარბიტრაჟო შეთანხმების საფუძველზე მოსარჩელეს საარბიტრაჟო სარჩელი ჯერ არ ჰქონდა აღძრული. მოსამართლემ მიუთითა, რომ საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად, უზრუნველყოფის ღონისძიების დაკმაყოფილების შემთხვევაში, მხარე ვალდებულია, სასამართლოში სარჩელი შეიტანოს განჩინების მიღებიდან არაუგვიანეს 10 დღისა. სასამართლომ აღნიშნა, რომ „რადგან მოცემულ შემთხვევაში საკითხი შეეხება საარბიტრაჟო სარჩელის წარდგენას, საარბიტრაჟო მოსარჩელემ მისი წარდგენისთანავე უნდა აცნობოს სასამართლოს აღნიშნულის თაობაზე.“

<sup>26</sup> საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, მუხლი 8.8.

<sup>27</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 30 მარტის განჩინება საქმეზე №2ბ/3594-15.

<sup>28</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 11 ნოემბრის განჩინება საქმეზე 2ბ/5926-16.

## **არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 27-ე მუხლი - მოპასუხე მხარის შეტყობინების წესი**

2015 წელს შესული ცვლილებით განისაზღვრა, რომ მხარეთა შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, წერილობითი შეტყობინება მხარეებს ჩაბარდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით სასამართლო შეტყობინებისა და დაბარებისთვის დადგენილი წესით. 2015 წლამდე არსებული რედაქციით, ადრესატის იურიდიული მისამართის, საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის დადგენის შეუძლებლობის შემთხვევაში, წერილობითი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლებოდა, თუ ის გაგზავნილი იყო ადრესატის უკანასკნელ ცნობილ იურიდიულ მისამართზე, საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის მისამართზე დაზღვეული წერილით ან სხვა საშუალებით; არ არსებობდა მითითება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით სასამართლო შეტყობინებისა და დაბარებისთვის დადგენილ წესზე, რომელიც საჯარო შეტყობინებას მოიაზრებს. ჩვენ ვერ მოვიძიეთ სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც საჯარო შეტყობინებას მოითხოვს.

თუმცა, თავად საარბიტრაჟო დაწესებულებები ხშირად მიმართავენ საჯარო შეტყობინების გზას. ჩვენთვის უცნობია, 2015 წლის ცვლილებებამდე არსებობდა თუ არა ქვემოთ მოყვანილი პრაქტიკა. მხოლოდ იმ დაკვირვებას გავაკეთებთ, რომ დღესდღეობით საკმაოდ გავრცელებულია საარბიტრაჟო ინსტიტუტების მიერ საჯარო შეტყობინების გზით მოპასუხეთა ინფორმირება.

მაგალითისთვის, შპს „საარბიტრაჟო სასამართლოს“ საჯარო შეტყობინებებს იხილავთ ვებგვერდზე - <http://arbitraji.gweb.ge/sajaro-shetyobineba>; შპს „საარბიტრაჟო სასამართლო ლეგია“-ს საჯარო შეტყობინებებს - ვებგვერდზე <http://legia.ge/?p=15840>, ხოლო შპს „ბარისტერი XXI“-ის საჯარო შეტყობინებებს - <http://www.baristerixxi.com/?cat=4>. ამ შეტყობინებებთან ერთად ხშირად საარბიტრაჟო დაწესებულებებს ატვირთული აქვთ საქმის სრული მასალები, რაც მოიცავს არა მხოლოდ მხარეთა პირად მონაცემებს, არამედ ასევე საქმის ყველა დეტალს, მათ შორის, მხარეთა შორის არსებულ ხელშეკრულებას და ა.შ.

კომენტარის სახით აღვნიშნავთ, რომ ამგვარი სახით საჯარო შეტყობინება პრობლემურია წარმოადგენს ორი მიზეზის გამო: 1. ერთი მხრივ, ეწინააღმდეგება არბიტრაჟის კონფიდენციალობას, რაც 2009 წლის კანონის 32-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებითაა დადგენილი. აღნიშნული ნორმის თანახმად, არბიტრი და საარბიტრაჟო წარმოების მონაწილე ნებისმიერი პირი (რომელშიც ასევე მოიაზრება დაწესებულება), ვალდებული არიან, დაიცვან საარბიტრაჟო განხილვის დროს მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობა. ამასთან, კანონი პირდაპირ ამბობს, რომ თუკი მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდნენ, არბიტრაჟში „წარმოდგენილი საბუთი, მტკიცებულება, წერილობითი თუ გეპირი განცხადება არ უნდა იქნეს საჯაროდ გამოქვეყნებული.“ 2. ამ დეტალების გამჟღავნება კითხვებს ბადებს პერსონალური მონაცემების დაცვის კუთხითაც. ჩვენს მიერ ინტერნეტ სივრციდან ჩამოტვირთულ მასალებში მითითებულია მხარეების ისეთი მონაცემები, როგორებიცაა: პირადი ნომერი, სახლის

მისამართი, მობილური ტელეფონი, სესხის ოდენობა, ხელშეკრულება სესხისა და იპოთეკის შესახებ და ა.შ.

**არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 42-ე და 45-ე მუხლები - საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების და ცნობა-აღსრულების პროცესი**

მხარეს, რომლის წინააღმდეგაცაა გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, ორი მექანიზმი აქვს, რომ წინ აღუდგეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას: 1. მოითხოვოს მისი გაუქმება; 2. მოითხოვოს მის ცნობა-აღსრულებაზე უარი. ამ ორივე მექანიზმს ერთი და იგივე საფუძვლები აქვს, ანუ მიზეზები რატომაც შესაძლებელია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება ან მის ცნობასა და აღსრულებაზე უარი, არის არსებითად იგივე.

იმისათვის, რომ მხარეებს ეს მექანიზმი ბოროტად არ გამოეყენებინათ, ხოლო სასამართლოებს განსხვავებული სტანდარტით არ ეხელმძღვანელათ (მაგალითად, როდესაც ერთმა სასამართლომ მხარეს უარი უთხრა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებაზე, ხოლო მეორე სასამართლომ იგივე საფუძველი დაკმაყოფილებულად ჩათვალა ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის პროცესში), 2015 წელს ცვლილება შევიდა არბიტრაჟის შესახებ კანონის 42-ე<sup>29</sup> და 45-ე<sup>30</sup> მუხლებსა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამის მუხლებში (356<sup>2121</sup> და 356<sup>2411</sup> მუხლები). ცვლილებების შედეგად დადგინდა, რომ სასამართლო არ მიიღებს მხარის განცხადებას საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის შესახებ, თუ ერთხელ უკვე განიხილა მისი საჩივარი ამავე გადაწყვეტილების გაუქმებაზე იდენტური საფუძველით და არ დააკმაყოფილა ეს მოთხოვნა. ასევე არ მიიღებს განცხადებას, თუ მხარემ არ გაასაჩივრა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება კანონით დადგენილ 90 დღეში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 3 აპრილის განჩინებიდან<sup>31</sup> იკვეთება, რომ აღნიშნული მუხლი სასამართლომ არასწორად გაიგო. აღნიშნულ საქმეში სასამართლომ უარი თქვა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების შესახებ მხარის განცხადების წარმობაში მიღებაზე (და არა ცნობა-აღსრულებაზე უარის შესახებ მეორე მხარის განცხადების წარმობაში მიღებაზე, რასაც ითვალისწინებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>2121</sup> მუხლი). სასამართლომ განმარტა, რომ „საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების მიზნებისათვის გასული უნდა იყოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრების 90 დღიანი ვადა, რომლის განმავლობაშიც, მხარეს მითითებული გადაწყვეტილება სადავოდ არ გაუხდია

<sup>29</sup> საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, მუხლი 42: „5. თუ სასამართლოს მიერ გამოტანილია გადაწყვეტილება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე, დაუშვებელია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება იმ საფუძველით, რომლითაც მხარემ მოითხოვა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმა და რომელიც სასამართლომ არსებითი განხილვის შედეგად უარყო. ამ შემთხვევაში საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ საჩივარი არ დაიშვება, ხოლო თუ საჩივარი მიღებულია, მასზე საქმის წარმობა შეწყდება.“

<sup>30</sup> საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, მუხლი 45: „2. დაუშვებელია საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის შესახებ განცხადებით სასამართლოსთვის მიმართვა იმავე საფუძველით, რომლითაც მხარე ითხოვდა აღნიშნული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებას, ან იმ შემთხვევაში, თუ მხარემ არ გაასაჩივრა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ამ კანონის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში.“

<sup>31</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმეზე №2ბ/1101-15, 03.04.2015.

და არ გაუსაჩივრებია. წინააღმდეგ შემთხვევაში, კრედიტორი ვალდებულია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების მიზნით სასამართლოსათვის მომართვის შემთხვევაში, წარმოადგინოს საარბიტრაჟო საქმეში მონაწილე მხარეების ფაქტობრივი მისამართები და ასევე განცხადება თანდართული მასალითურთ იმდენი ასლის სახით, რამდენი მოპასუხეცაა საქმეში.” აღსანიშნავია, რომ ცნობა-აღსრულების მოთხოვნისთვის კანონი არ აწესებს გაუქმების მოთხოვნის 90-დღიანი ვადის უშუდგოდ გასვლას, ან რაიმე სხვა წინაპირობას. ერთადერთი, რასაც კანონი და საპროცესო კოდექსი უზრუნველყოფენ, არის ის, რომ ერთი სასამართლოს უარი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნაზე (ან ამ მოთხოვნის ვადის გასვლა) იყოს საბოლოო და გამოირიცხოს იმის შესაძლებლობა, რომ (იმავე ინსტანციის) სხვა კოლეგიამ ზუსტად იგივე საფუძველი საკმარისად ჩათვალოს ცნობა-აღსრულების მოთხოვნაზე უარის თქმისთვის; ე.ი. გამოირიცხოს ერთი და იმავე გარემოების ურთიერთსაწინააღმდეგოდ შეფასების შესაძლებლობა.

### 3.2. სასამართლო პრაქტიკაში არსებული გამოწვევები

#### **საარბიტრაჟო შეთანხმებები განიმარტება ვინროდ**

ზოგადად, საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში შეიმჩნევა საარბიტრაჟო შეთანხმებების ვინრო განმარტების ტენდენცია. ერთი მხრივ, ჩვენ ვხვდებით დეფინიციებს, როგორც არის: „შეთანხმებაში პირდაპირ უნდა იყოს მითითებული კონკრეტული არბიტრაჟი, რომელიც უფლებამოსილი იქნება განიხილოს და გადაწყვიტოს დავა. ბათილია საარბიტრაჟო შეთანხმება, თუ მასში მითითებული არბიტრაჟი არც ერთმნიშვნელოვნად არის განსაზღვრული და არც იმგვარად არის ჩამოყალიბებული, რომ მისი შინაარსის მიხედვით შესაძლებელი იყოს განსაზღვრა, თუ რომელ კონკრეტულ არბიტრაჟს გულისხმობდნენ მხარეები.“<sup>32</sup> როგორც ზემოთ აღინიშნა, „კონკრეტული არბიტრაჟის“ საარბიტრაჟო შეთანხმებაში იდენტიფიცირების მოთხოვნა რისკის ქვეშ აყენებს *ad hoc* არბიტრაჟის ფუნქციონირებას საქართველოში.

მეორე მხრივ, დამკვიდრებული პრაქტიკით ბათილად ცხადდება ალტერნატიული დებულებები, სადაც მითითებულია, რომ დავის შემთხვევაში იგი გადაწყდება (კონკრეტულ) არბიტრაჟში ან სასამართლოში მიმართვის გზით.<sup>33</sup> ეს არ არის თავისთავად ხარვეზი. საერთაშორისო პრაქტიკაშიც არ არის ერთგვაროვნება ამ საკითხის მიმართ. თუმცა, ის, რომ ქართულმა სასამართლო პრაქტიკამ ეს მიდგომა დაამკვიდრა, მიგვაკუთვნებს იმ ქვეყანათა რიცხვს, რომლებიც უფრო მკაცრად განმარტავენ საარბიტრაჟო შეთანხმებას და მხარეთა ნების დასადგენად უფრო მაღალ სტანდარტს აწესებენ.

<sup>32</sup> სუსგ №ას-416-389-2010, 28.06.2010 წ.

<sup>33</sup> მაგალითისთვის: „მხარეები შეთანხმებული არ ყოფილან საარბიტრაჟო შეთანხმების (ხელშეკრულების) არსებით პირობაზე-დავის არბიტრაჟისათვის განსახილველად გადაცემის შესახებ, ვინაიდან ხელშეკრულებაში მითითებულია დავის განხილვის ორი საშუალება: არბიტრაჟი ან სასამართლო.“ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ას-804-858-2011, 27.06.2011 წ.

ვინრო განმარტების კიდევ ერთ მაგალითს წარმოადგენს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილება.<sup>34</sup> აღნიშნულ საქმეში სახეზე იყო შემდეგი დათქმა, სათაურით „არბიტრაჟი“: „5.1. ყველა სადავო საკითხს ამ ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით, მხარეები გადაწყვეტენ, ურთიერთმოლაპარაკების გზით. 5.2. შედეგის მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება ინგლისის სამართლის გამოყენებით, იურისდიქციის ადგილი: ლონდონი.“<sup>35</sup> სასამართლომ უარი თქვა ლონდონში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე, რომლის ერთ-ერთ საფუძვლად მიუთითა ის გარემოება, რომ „[...] ერთპიროვნულმა არბიტრმა დავა განიხილა და გადაწყვეტილება მიიღო მოსარჩელის მეორადი მოთხოვნიდან გამომდინარე, რითაც იგი გასცდა საარბიტრაჟო დათქმის ფარგლებს.“

შედარებისთვის, თუ როგორი შეიძლება იყოს სასამართლოს ფართო განმარტება და არბიტრაჟისადმი მეგობრული განწყობა, მოვიყვანთ შვეიცარიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას, სადაც სასამართლომ იმსჯელა საარბიტრაჟო დათქმის ფარგლებზე, რომელიც შემდეგნაირად იყო ჩამოყალიბებული: „თუკი წარმოიძობა უთანხმოება წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი დებულების განმარტებასთან დაკავშირებით, მხარეები თანხმდებიან, რომ დავას გადასცემენ სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოს ლობანაში, შვეიცარია, რომლის გადაწყვეტილება იქნება საბოლოო და მბოჭავი ორივე მხარისათვის.“<sup>36</sup> დავა მხარეებს შორის წარმოიშვა ხელშეკრულების შეწყვეტისა და ფულადი ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებით (მეორადი მოთხოვნები, როგორც ეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ განხილულ შემთხვევაში იყო). მოპასუხემ ეჭვქვეშ დააყენა ტრიბუნალის იურისდიქცია იმ საფუძვლით, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება მხოლოდ ხელშეკრულების განმარტებასთან დაკავშირებულ დავებს უქვემდებარებდა არბიტრაჟს. შვეიცარიის სასამართლომ ჩათვალა, რომ დათქმა, ერთი შეხედვით, შეზღუდული ჩანდა, თუმცა, ხელშეკრულების განმარტებასთან ერთად ასევე მოიცავდა ხელშეკრულების შესრულებიდან გამომდინარე დავებს. სასამართლოს აზრით, როდესაც მხარეთა ნება დავის არბიტრაჟით განხილვის თაობაზე აშკარაა, რაც ამ შემთხვევაში სახეზე იყო, მაშინ საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლები სასამართლომ ფართოდ უნდა განმარტოს. ფართო განმარტება შესაბამისობაშია პროცედურული ეფექტიანობის მიზანთან და უზრუნველყოფს პროცედურის ეკონომიურობას. როგორც ინგლისის უმაღლესმა სასამართლომ განმარტა საქმეში – *Fiona Trust & Holding Corporation v Yuri Privalov*:<sup>37</sup> „საარბიტრაჟო შეთანხმების კონსტრუქცია უნდა შეფასდეს პრეზუმფციით, რომ მხარეები, როგორც რაციონალური ბიზნესმენები, ისურვებდნენ, რომ ის ურთიერთობა, რომელშიც შედიან, ან კისრულობენ ვალდებულებას რომ შევიდნენ, გადაწყვეტილი იქნება ერთი და იმავე ტრიბუნალის მიერ, გარდა იმ შემთხვევისა, თუ შეთანხმების ფორმულირება ნათელყოფს, რომ გარკვეული საკითხები გამორიცხულია არბიტრთა იურისდიქციიდან.“

<sup>34</sup> საქმე №ა-887-შ-21-2016, 26.08.2016 წ.

<sup>35</sup> აღსანიშნავია, რომ აღნიშნული დათქმის რუსულენოვანი ტექსტი შემდეგნაირად იყო ჩამოყალიბებული: „5. Арбитраж. 5.1. Все споры связанные с выполнением условий данного Договора Стороны будут решать путем проведения переговоров. 5.2. В случае невозможности решить спор путем проведения переговоров, условия этого Договора регулируются и разъясняются в соответствии с Английским правом, местом юрисдикции является Лондон“.

<sup>36</sup> შვეიცარიის ფედერალური უზენაესი სასამართლო, საქმე №4A\_103/201120, სექტემბერი, 2011 წ.

<sup>37</sup> *Fiona Trust & Holding Corporation v Yuri Privalov* [2007] APP.L.R. 24 იანვარი 2007 წ.

არსებობს პოზიტიური ტენდენციებიც საარბიტრაჟო დათქმების ეფექტიანი განმარტების მხრივ, მხარეთა ნებიდან და მიზნიდან გამომდინარე.

მაგალითად, 2015 წლის ერთ საქმეზე, რომელსაც განიხილავდა ბათუმის საქალაქო სასამართლოში, მეორე მხარემ წარადგინა განცხადება საქმის არბიტრაჟისთვის გადაცემის მოთხოვნით. ბათუმის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა, მიიჩნია რა, რომ საარბიტრაჟო დათქმა, რომელიც ICC-ს მოდელური საარბიტრაჟო დათქმის სახით იყო ჩამოყალიბებული, არ იყო ნამდვილი.<sup>38</sup> ბათუმის საქალაქო სასამართლომ საარბიტრაჟო შეთანხმება, რომელიც მიუთითებდა საარბიტრაჟო დაწესებულების წესებზე (და არა დაწესებულებაზე, როგორც ასეთი), მიიჩნია არასაკმარისად ნათლად იმისათვის, რომ დადგენილიყო რომელი კონკრეტული საარბიტრაჟო დაწესებულება ჰქონდათ მხარეებს არჩეული. ეს პრაქტიკა „გამოსწორდა“ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 30 ნოემბრისა<sup>39</sup> და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 24 ნოემბრის განჩინებებით.<sup>40</sup> როგორც თბილისის სააპელაციო სასამართლომ განმარტა, „მხარეები შეთანხმდნენ რა საარბიტრაჟო განხილვის წესებსა და რეგულაციებზე ისინი შეთანხმდნენ დავის არბიტრაჟის განხილვაზეც და გაცნობიერებული ჰქონდათ სასამართლო სამართალწარმოებაზე უარის შედეგები.“ დათქმა, რომელიც მიუთითებდა შესაბამისი საარბიტრაჟო დაწესებულების წესებზე, ორივე სააპელაციო სასამართლომ მხარეთა ნებად მიიჩნია და მათი დავის გადაწყვეტა შესაბამისი ინსტიტუტის ადმინისტრირებას დაექვემდებარა.

### **სასამართლოები სათანადოდ ვერ მიჯნავენ დავის განმხილველ არბიტრაჟს (ტრიბუნალს) და საარბიტრაჟო დაწესებულებას**

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილებაში, მხარემ სასამართლოში გაასაჩივრა ერთ-ერთი საარბიტრაჟო დაწესებულების საარბიტრაჟო საბჭოს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ საარბიტრაჟო წარმოება უნდა გაგრძელებულიყო და შემდგარიყო შესაბამისი დავის განმხილველი არბიტრაჟი (ტრიბუნალი), ვინაიდან ამ საარბიტრაჟო დაწესებულების აშკარა იურისდიქციის არქონა არ დასტურდებოდა. აღსანიშნავია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება იყო არა არბიტრაჟის (ტრიბუნალის) გადაწყვეტილება მისი კომპეტენციის თაობაზე (კანონის მე-16 მუხლის საგანი), არამედ საარბიტრაჟო დაწესებულების შიდა სტრუქტურული ორგანოს ადმინისტრაციული გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ საქმის წარმოება, ადმინისტრირების თვალსაზრისით, ამ დაწესებულებაში უნდა გაგრძელებულიყო. წესით, ამ გადაწყვეტილების შემდგომ შედგებოდა დავის განმხილველი არბიტრაჟი, ე.ი. ტრიბუნალი, რომლის წინაშეც მხარეს ექნებოდა საშუალება დაეყენებინა საკითხი ამ ტრიბუნალის კომპეტენციის თაობაზე, ხოლო ტრიბუნალი იმსჯელებდა საკუთარ კომპეტენციაზე. ამის შემდგომ კი, თუ ტრიბუნალი დაადგენდა საკუთარ კომპეტენციას, მხარეს ექნებოდა საშუალება ეს გადაწყვეტილება გაესაჩივრებინა სასამართლოში არბიტრაჟის შესახებ კანონის მე-16 მუხლისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>16</sup>-ე მუხლის შესაბამისად.

<sup>38</sup> ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება 2-1043/15.

<sup>39</sup> ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 30 ნოემბრის განჩინება საქმეზე #2/ბ-872.

<sup>40</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილება #2ბ-49

სასამართლომ დავის განმხილველი დაწესებულების ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება, რომ დავის ადმინისტრირების მიზნებისთვის წარმოება გაგრძელებულიყო და დანიშნულიყო ტრიბუნალი, მიიღო როგორც თავად ტრიბუნალის გადაწყვეტილება და იმსჯელა მისი კომპეტენციის შესახებ, მაშინ როდესაც თავად ტრიბუნალს (დავის განმხილველ არბიტრაჟს) საერთოდ არ ჰქონდა შესაძლებლობა განეხილა საკუთარი კომპეტენცია. ეს მიდგომა წინააღმდეგობაში მოდის არბიტრაჟის შესახებ კანონის მე-16 მუხლით დამკვიდრებულ „კომპეტენცია-კომპეტენციისთვის“ პრინციპთან.<sup>41</sup>

იგივე პრობლემა იკვეთება გადაწყვეტილებებში, სადაც განსახილველი საკითხი იყო ინტერესთა კონფლიქტი საარბიტრაჟო დაწესებულებასა და ერთ-ერთ მხარეს (ან მის წარმომადგენელს) შორის. ამ მხრივ ყურადსაღებია 3 განჩინება: თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 20 ივლისის,<sup>42</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 6 ოქტომბრისა<sup>43</sup> და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 10 აპრილის<sup>44</sup> განჩინებები. პირველ შემთხვევაში საკითხი დადგა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების ეტაპზე. ბოლო ორ შემთხვევაში კი გასაჩივრდა არბიტრაჟის გადაწყვეტილება საკუთარი კომპეტენციის დადგენის შესახებ. სამივე შემთხვევაში იკვეთებოდა ინტერესთა კონფლიქტი საარბიტრაჟო დაწესებულებას (და არა არბიტრაჟის რომელიმე წევრს) და მხარეს შორის. საკითხის შეფასებისას სასამართლომ არ განიხილა, თუ რა სახის კავშირი არსებობდა საარბიტრაჟო დაწესებულების დამფუძნებელს/დირექტორს ან სხვა ორგანოს (სასამართლოს/საბჭოს) წევრსა და დავის განმხილველ არბიტრს შორის. შესაძლოა კავშირის არსებობა/არარსებობას არც ჰქონოდა გადამწყვეტი მნიშვნელობა სასამართლოსათვის, ან ინტერესთა კონფლიქტის არსებობა მართლაც საკმარისი პირობა აღმოჩენილიყო გადაწყვეტილებათა გაუქმებისთვის. თუმცა, არბიტრაჟის (დავის განმხილველი ტრიბუნალის) საარბიტრაჟო დაწესებულებისგან გამიჯვნა და ამ საკითხზე მსჯელობა ნათელს მოჰფენდა ბევრ კითხვას, რაც დღეს არსებობს იურიდიულ საზოგადოებაში და უფრო განჭვრეტადს გახდიდა საარბიტრაჟო და სასამართლო პრაქტიკას.

### **სასამართლოებს არაერთგვაროვანი მიდგომა აქვთ სასამართლოს ჩარევის ფარგლებსა და „კომპეტენცია-კომპეტენციისთვის“ პრინციპზე**

2009 წლის კანონის მე-6 მუხლი, რომლის სათაურია „არბიტრაჟის დამოუკიდებლობა და სასამართლოს ჩარევის შემთხვევები“ ადგენს: „2. დაუშვებელია ამ კანონით გათვალისწინებულ სამართლებრივ ურთიერთობებში სასამართლოს რაიმე სახით ჩარევა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ამ კანონით პირდაპირ არის გათვალისწინებული.“

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 14 მარტის განჩინებიდან<sup>45</sup> იკვეთება, რომ მოსარჩელემ სარჩელით მიმართა სამოქალაქო დავათა ბათუმის მუდმივმოქმედ არბიტრაჟს

<sup>41</sup> უნდა აღინიშნოს, რომ 2009 წლის კანონის რედაქცია, რომელიც მოქმედებდა ამ გადაწყვეტილების გამოტანისას, ითვალისწინებდა საქალაქო სასამართლოების კომპეტენციას კანონის მე-16 მუხლით გათვალისწინებულ საკითხზე. 2015 წლის ცვლილებების შემდგომ ამ საკითხის განხილვა დაექვემდებარა სააპელაციო სასამართლოების კომპეტენციას.

<sup>42</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმეზე # 2ბ/2130-11, 20.07.2011 წ.

<sup>43</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება საქმეზე #2/16444-14,06.10.2014 წ.

<sup>44</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმეზე #2ბ/79-16, 10.04.2017 წ.

<sup>45</sup> ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმეზე #2ბ/1176-2016, 14.03.2017 წ.



და მოითხოვა მოპასუხისთვის თანხის დაკისრება. მოპასუხემ კი მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა არბიტრაჟის არაკომპეტენტურად ცნობა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ საჩივარი მიიღო წარმოებაში, მისი განხილვის პროცესში სრულად გამოითხოვა საარბიტრაჟო წარმოების საქმე და დაადგინა, რომ არბიტრაჟს არ ჰქონდა კომპეტენცია.

შესაძლოა, მხარეთა შორის მართლაც არ არსებობდა საარბიტრაჟო შეთანხმება და არბიტრაჟს არ ჰქონდა კომპეტენცია, თუმცა ამ ეტაპზე და ამ ფორმით სასამართლოს ჩარევის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით, სასამართლოს ჩარევა ამ კონტექსტში მხოლოდ 9(1) და 16(5) მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებშია შესაძლებელი. ამ შემთხვევაში კი სასამართლოში არ იყო სარჩელი შეტანილი დავის არსზე და არც არბიტრაჟს ჰქონდა ჯერ მიღებული გადაწყვეტილება საკუთარი კომპეტენციის შესახებ. 2009 წლის კანონით დაწესებული შებლუდული კონტროლის ფარგლებში მხარეს განცხადება არბიტრაჟის კომპეტენციის არქონის შესახებ ჯერ არბიტრაჟშივე უნდა გაეკეთებინა. შესაბამისად, სასამართლო უნდა დალოდებოდა არბიტრაჟის გადაწყვეტილებას კომპეტენციის შესახებ და თუ ის დადებითი იქნებოდა, შემდგომ გადაესინჯა ეს საკითხი არსებითად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოსგან განსხვავებით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2017 წლის 7 მარტის განჩინებაში სწორედ ზემოაღნიშნული პრინციპით იხელმძღვანელა, როდესაც უარი თქვა არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ განცხადების მიღებაზე.<sup>46</sup> სასამართლოში შეტანილი იყო განცხადება, რომლითაც პირი ითხოვდა არბიტრაჟის კომპეტენციის წინასწარ ცნობას. სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>12</sup>-ე მუხლსა და არბიტრაჟის შესახებ კანონის მე-16 მუხლზე და აღნიშნა, რომ „სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილი არ არის დასაშვებად ცნოს მხარის განცხადება არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ მანამ, სანამ ამ სახის განცხადებაზე შესაბამის გადაწყვეტილებას არ მიიღებს ის არბიტრაჟი, რომლის კომპეტენციასაც საარბიტრაჟო სამართალწარმოების ერთ-ერთი მხარე არ ეთანხმება. შესაბამისად, მხარე უფლებამოსილი არ არის, აღნიშნულ საკითხზე პირდაპირ სასამართლოს მიმართოს. თავის მხრივ, სასამართლოს არ გააჩნია უფლებამოსილება, ასეთი პროცედურების დაცვის გარეშე დასაშვებად ცნოს მხარის განცხადება არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ.“

ეს განჩინებები ნათელყოფს, რომ ერთსა და იმავე ინსტანციის სასამართლოებში იდენტურ სამართლებრივ საკითხზე ერთგვაროვანი პრაქტიკის არსებობა ჯერ კიდევ გამოწვევაა.

**სასამართლოებს არაერთგვაროვანი მიდგომა აქვთ „საჯარო წესრიგის“ სტანდარტის განსაზღვრის და ამ საფუძველით საარბიტრაჟო გადაწყვეტილების არსებითად გადასინჯვის (ცნობა-აღსრულებაზე უარის, თუ გაუქმების) მიმართ**

<sup>46</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმეზე #2ბ/1382-17, 07.03.2017 წ.

როგორც საერთაშორისო, ისე საქართველოს პრაქტიკაში საჯარო წესრიგი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების შედავების ყველაზე ხშირად გამოყენებული საფუძველია. თუმცა, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისგან განსხვავებით, საქართველოში საჯარო წესრიგი გაცილებით ხშირად ხდება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის საფუძველი; ამასთან, მისი დღევანდელი განმარტება რისკის ქვეშ აყენებს არბიტრაჟის დამოუკიდებლობას და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საბოლოობას.

ნიუ იორკის კონვენციისა და მოდელური კანონის მოსამზადებელი მასალებიდან, ისევე, როგორც საერთაშორისო სამეცნიერო წყაროებიდან, ნათელია, რომ „საჯარო წესრიგის“ ცნება მოიაზრებს გაცილებით მეტს და უფრო მნიშვნელოვანს, ვიდრე ეს კანონის არასწორი განმარტებაა. ამდენად, მხოლოდ ის, რომ სასამართლო არ ეთანხმება არბიტრაჟის გადაწყვეტილებას, და/ან მიიჩნევს, რომ იგი კანონის არასწორი გამოყენების შედეგია – არ არის საკმარისი ამ საფუძვლით საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებისთვის. ასე რომ იყოს, საჯარო წესრიგის ნაცვლად ჩაინერებოდა სიტყვები „ენინააღმდეგება კანონის ნორმებს“, ან რაიმე მსგავსი და ეს გახდებოდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აპელაციის/გადასინჯვის მექანიზმი. ეროვნული კანონის მოდელურ კანონზე დაფუძნებით, კანონმდებელი მიზნად ისახავდა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებას, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა შედავების ამომწურავი და შეზღუდული საფუძვლების დაწესებას. სამწუხაროდ, დღეს არსებული პრაქტიკა არ არის ერთგვაროვანი ამ სტანდარტის მიმართ.

მაგალითისთვის, 2011 წლის 28 ნოემბრის განჩინებით,<sup>47</sup> სასამართლომ საჯარო წესრიგის საწინააღმდეგოდ მიიჩნია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომელშიც მოპასუხისთვის დაკისრებული 14,095 აშშ დოლარიდან პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენდა 2 546 აშშ დოლარს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, მიუთითა რა სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლზე, რომლის მიხედვით სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო, „მიზანშეწონილად მიიჩნია“ პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირება 300 აშშ დოლარამდე. შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს საჯარო წესრიგის საფუძვლით შემცირება (გადაწვეტილების ნაწილობრივ ცნობა-აღსრულება) დამკვიდრებული პრაქტიკაა სააპელაციო სასამართლოში.<sup>48</sup> ასევე, სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 2 ნოემბრის განჩინებით,<sup>49</sup> არ მოხდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება იმ საფუძვლით, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით დაგირავებული ნივთი კრედიტორის საკუთრებაში გადავიდა სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული წესის საწინააღმდეგოდ. ყველა ამ

<sup>47</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლო საქმეზე №2ბ, 28.11.2011 წ. საქმე განხილულია სტატიის „საჯარო წესრიგი, როგორც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების, თუ მის ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი (ქართული პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა)“, რომელიც ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: [http://nccl.ge/m/u/ck/files/Geo\\_Comm\\_Law\\_Review\\_2013.pdf](http://nccl.ge/m/u/ck/files/Geo_Comm_Law_Review_2013.pdf), ნანახია: 04.12.2017 წ.

<sup>48</sup> მაგალითისთვის, იხილეთ აგრეთვე თბილისის სააპელაციო სასამართლოს შემდეგი გადაწყვეტილებები: საქმე №2ბ/2220-11, 30.06.2011 წ, საქმე №2ბ/2747-11, 12.09.2011 წ.

<sup>49</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმეზე №2ბ/3283-11, 02.11.2011 წ.

გადაწყვეტილებაში შესაძლოა სახეზე იყო საჯარო წესრიგის დარღვევა. თუმცა, პრობლემა-რია გადაწყვეტილებებთანაა მჭიდროდ დაკავშირებული, არასაკმარისი დასაბუთება, რაც სამოქალაქო კოდექსის რომელიმე ნორმის არგამოყენებას ან არასწორად განმარტებას ფაქტობრივად აიგივებს საჯარო წესრიგთან. სწორედ დასაბუთების სიმწირის გამო რჩება ბუნდოვანი, თუ რა ჩაითვლება საჯარო წესრიგის დარღვევად.

ამის პარალელურად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 25 მარტის განჩინებით,<sup>50</sup> მხარეს უარი ეთქვა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნაზე. გაუქმების მოთხოვნის საფუძვლად მხარე აპელირებდა მეორე მხარისა და არბიტრაჟის მიერ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის დარღვევაზე, რაც, მისი აზრით, ეწინააღმდეგებოდა საჯარო წესრიგს. სასამართლომ უარი ეთქვა გაუქმების მოთხოვნაზე და განმარტა შემდეგი: „რაც შეეხება საჯარო წესრიგს, თეორიაში და პრაქტიკაში დამკვიდრებული მიდგომაა, რომ ის არ გულისხმობს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შინაარსის გადასინჯვას და ამ თვალსაზრისით, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დასაბუთების მართებულობის შეფასებას სასამართლოს მხრიდან; მოცემული საკითხისადმი ამ პოზიციის შეუსაბამო მიდგომა, პირდაპირ წინააღმდეგობაში მოვიდოდა ზემოაღნიშნული კანონის მიზანთან; ამ მსჯელობიდან გამომდინარე, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრებისას საჯარო წესრიგზე მითითებით არ შეიძლება გადასინჯოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში ასახული სახელშეკრულებო დებულებების განმარტება, მტკიცებულებათა შეფასება, სამართლებრივი ურთიერთობის კვალიფიკაცია, რადგან საჯარო წესრიგი მოიცავს არა ნებისმიერი სახის დარღვევას, არამედ სამართლის ფუნდამენტური პრინციპების უგულვებელყოფას; ე.ი. სხვაგვარად რომ ითქვას, იმისათვის, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საჯარო წესრიგთან წინააღმდეგობის საფუძვლით იქნას გაუქმებული, იგი წინააღმდეგობაში უნდა მოდიოდეს უფრო მაღალ დონეზე დადგენილ ნორმებთან; წინააღმდეგ შემთხვევაში, საჯარო წესრიგი გადაიქცევა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აპელაციის მექანიზმად. ასეთი მიდგომა კი წინააღმდეგობაშია „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანთან — უზრუნველყოფილი იქნას საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების საბოლოობა.“ დასაბუთების ამ ხარისხის გამოყენება იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც სასამართლო მიიჩნევს, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება „საჯარო წესრიგს“, მეტად სრულყოფილი და განჭვრეტადს გახდიდა სასამართლო პრაქტიკას, ასევე გააქარწყლებდა პრაქტიკოსების ეჭვებს, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მის ცნობა-აღსრულებამდე ფართო და გაუთვალისწინებელი რისკის ქვეშ არის.

**სასამართლოები ნაკლებად იყენებენ კანონს „არბიტრაჟის შესახებ“ და მეტწილად ხელმძღვანელობენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით**

შესწავლილ საქმეებში გამოიკვეთა ტენდენცია, რომ სასამართლოები უმეტესწილად ეყრდნობიან სამოქალაქო საპროცესო კოდექსს და უფრო ნაკლებად „არბიტრაჟის შესახებ“

<sup>50</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმეზე №2ბ/5858-13, 25.03.2014 წ.

კანონს. უდავოა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მოსამართლეთა მთავარი სახელმძღვანელო წყაროა საპროცესო საკითხებზე. საპროცესო კოდექსის მეშვიდე კარი ეხება სასამართლოს მონაწილეობას საარბიტრაჟო განხილვასა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებაში. ამ თავში ინკორპორირებულია „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის გარკვეული ნაწილები და რიგ შემთხვევებში დამატებით მოცემულია საპროცესო დეტალები, რაც უშუალოდ სასამართლოს მიერ საპროცესო ქმედებების განხორციელებას ეხება (მაგალითად, სასამართლოს მიერ განხილვის ვადები). თუმცა, საპროცესო კოდექსი მხოლოდ ნაწილობრივ და ამონარიდების სახით შეიცავს კანონით მოწესრიგებულ საკითხებს. მხოლოდ საპროცესო კოდექსით ხელმძღვანელობა გამოიწვევს არბიტრაჟის თავისებურებების გაუთვალისწინებლობას და არბიტრაჟის კონტექსტის მიღმა საკითხების განხილვას.

ასე მოხდა, მაგალითად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 14 მარტის ბემოხსენებული განჩინების შემთხვევაში. აქ სასამართლომ იხელმძღვანელა არა არბიტრაჟის შესახებ კანონით (რომლის მხოლოდ მე-8 მუხლი მოიხსენია, თუმცა არ გაუთვალისწინებია მე-6, მე-9 და მე-16 მუხლები), არამედ დაეყრდნო საპროცესო კოდექსის 356<sup>16</sup> მუხლს, სადაც საუბარია, მხოლოდ სასამართლოს მიერ არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის პროცესუალურ ასპექტებზე, თუმცა არაფერია ნათქვამი იმ თურა შემთხვევაში შეუძლია სასამართლოს იმსჯელოს არბიტრაჟის კომპეტენციაზე.

**საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების ან გაუქმების შესახებ განცხადებების განხილვისას, ისევე როგორც არბიტრაჟის კომპეტენციის დადგენისას, სასამართლოები ითხოვენ ისეთ დოკუმენტებს, რაც არ არის კანონით გათვალისწინებული** ბემოთ ვახსენეთ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 14 მარტის განჩინება,<sup>51</sup> სადაც სასამართლომ კომპეტენციის საკითხის დასადგენად სრულად გამოითხოვა საარბიტრაჟო საქმე. მსგავსი მიდგომა იკვეთება აგრეთვე საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულების ან გაუქმების შესახებ განცხადებათა განხილვისასაც. მაგალითად, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, რიგ საქმეებში, მხარეს, რომელიც ითხოვდა უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას, ხარვეზი დაუდგინა და დაავალა მას დამოწმებული ცნობის წარდგენა იმის შესახებ, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება არ მომხდარა ამ გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.<sup>52</sup> ამასთან, სააპელაციო სასამართლოები, როგორც წესი, მხარისგან ან თავად საარბიტრაჟო ინსტიტუტისგან, ითხოვენ საარბიტრაჟო წარმოების მთლიანი საქმის მასალებს, მათ შორის, საარბიტრაჟო სხდომის ოქმს. საარბიტრაჟო ინსტიტუტების გამოკითხვისას, ორმა მათგანმა ახსენა, რომ სასამართლოსთან კომუნიკაციის გაადვილების მიზნით, ისინი

<sup>51</sup> ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმეზე #2ბ/1176-2016, 14.03.2017 წ.

<sup>52</sup> მაგალითისთვის, იხილეთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები: საქმეზე №ა-3568-შ-93-2013, 13.03.2014 წ., საქმეზე: №ა-3573-შ-73-2012, 26.11.2012 წ.

სასამართლოს უზიარებენ შესაბამისი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების კოდს, რომლის მეშვეობითაც სასამართლოს უჩნდება წვდომა შესაბამისი საარბიტრაჟო ინსტიტუტის ელექტრონული წარმოების სისტემაში საქმესთან დაკავშირებულ სრულ დოკუმენტაციაზე.

აღნიშნული პრაქტიკა ეწინააღმდეგება ნიუ იორკის კონვენციის,<sup>53</sup> ასევე 2009 წლის კანონისა<sup>54</sup> და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის<sup>55</sup> ნორმას, რომლის თანახმადაც მხარემ, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების მოთხოვნისას, სასამართლოს უნდა წარუდგინოს მხოლოდ ორი დოკუმენტი: საარბიტრაჟო შეთანხმება და საარბიტრაჟო გადაწყვეტილება. დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვა სასამართლოს უბიძგებს იმისკენ, რომ მეტად შეიჭრას საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში, ვიდრე ეს დადგენილია კანონით, და/ან სხვაგვარად გაანაწილოს კანონით დადგენილი მტკიცების ტვირთი.

<sup>53</sup> ნიუ იორკის კონვენცია, მუხლი IV.

<sup>54</sup> საქართველოს კანონი არბიტრაჟის შესახებ, მუხლი 44.2.

<sup>55</sup> სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 356<sup>21</sup>.1.

## V. რა აუზიხებს არბიტრაჟს საქართველოში? ძირითადი დაინტერესებული მხარეების შეხედულება

კვლევის ფარგლებში გამოიკითხა არბიტრაჟის სფეროსა და პროცესში ჩართული ძირითადი დაინტერესებული მხარეები, მათ შორის: საარბიტრაჟო ინსტიტუტები, მოქმედი ადვოკატები/ იურისტები, ბიზნეს კომპანიების წარმომადგენლები, მოსამართლეები, ფიზიკური პირები და სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. გამოკითხვის მიზანი იყო, გაგვეგო, თუ რა იციან ამ ჯგუფებმა არბიტრაჟის შესახებ და როგორი დამოკიდებულება აქვთ მის მიმართ; რას ხედავენ არბიტრაჟის წინაშე მდგარ გამოწვევად და რა არის მისი გაუმჯობესების სავარაუდო გზები.

ცხრილში მოცემულია სამიზნე ჯგუფების ჩამონათვალი, გამოკითხვის მეთოდი და გამოკითხულთა რაოდენობა:

ცხრილი 5: სამიზნე ჯგუფები, კვლევის მეთოდი და ჩატარებული ინტერვიუების რაოდენობა

#	სამიზნე ჯგუფი / რესპონდენტის ტიპი	კვლევის მეთოდი	გამოკითხულთა რაოდენობა
1	საარბიტრაჟო დაწესებულების ხელმძღვანელი პირები/არბიტრები	თვისებრივი ინტერვიუ	11
2	იურისტები/ადვოკატები	ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ	20
3	ბიზნეს კომპანიები (მიკროსაფინანსო ინსტიტუტების/ბანკების ჩათვლით)	ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ	20
4	მოსამართლეები	თვისებრივი ინტერვიუ	5
5	საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები	თვისებრივი ინტერვიუ	5
6	სამთავრობო სტრუქტურის წარმომადგენლები	ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ	5
7	კერძო პირები	ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ	5

ქვემოთ შეჯამებული და გაანალიზებულია რესპონდენტთა პასუხები ჯგუფების მიხედვით.

### 1. საარბიტრაჟო ინსტიტუტები

არბიტრაჟის წინაშე მდგარ პრობლემებსა და გამოწვევებთან დაკავშირებით, მათ შორის, თუ რა აფერხებს ბიზნეს/სამეწარმეო კომპანიებს, რომ მიმართონ არბიტრაჟს წმინდა კომერციუ-

ლი (business 2 business) დავების გადასაწყვეტად, განმეორებით სახელდებოდა არბიტრაჟის შესახებ ცოდნისა და მის მიმართ ნდობის ნაკლებობა.

განსაკუთრებით გამოიკვეთა ადვოკატის მნიშვნელოვანი როლი, რომელსაც ერთნაირი წარმატებით შეუძლია იყოს როგორც ხელისშემშლელი (არ ურჩიოს კლიენტს არბიტრაჟი), ისე ხელშემწყობი (ხელშეკრულებებში გაითვალისწინოს საარბიტრაჟო დათქმა) ფაქტორიც. რესპონდენტებმა ახსენეს, რომ მომხმარებელსა (ბიზნესს) და არბიტრაჟს შორის დამაკავშირებელ რგოლს, სწორედ, ადვოკატი/იურისტი წარმოადგენს, რომელსაც შესაძლებლობა აქვს, იურიდიული კონსულტაცია გასწიოს და აუხსნას კლიენტს არბიტრაჟის უპირატესობების შესახებ. როგორც წესი, კლიენტი ენდობა ადვოკატს/იურისტს. ერთ-ერთი რესპონდენტის მიხედვით, აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას რეგიონებში, სადაც ნაკლებადაა იურიდიული კომპანიები და კლიენტები დამოკიდებულნი არიან „გათითოკაცებული“ ადვოკატის რჩევებზე. როგორც მან აღნიშნა, ადვოკატებს არათუ პასიური, არამედ, უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ არბიტრაჟის მიმართ, რაც გამომწვეულია, პირველ რიგში, მათი კომპეტენციისა და ცნობადობის ნაკლებობით; ასევე, იმ მცდარი წარმოდგენით, რომ არბიტრაჟი, მათ, როგორც იურისტებს, საფრთხეს უქმნის. რესპონდენტის თქმით, იურისტები არბიტრაჟს კონკურენტად აღიქვამენ და თვლიან, რომ არბიტრაჟი ადვოკატს უფლებებს უკვეცავს, ამიტომაც სასამართლო ინსტანციებში თვეობით სიარულს ამჯობინებენ ხოლმე. შესაბამისად, ისინი არწმუნებენ კლიენტს, რომ სასამართლო უკეთესი არჩევანია.

ოთხმა ინსტიტუტმა არბიტრაჟის არაპოპულარობისა და მიმართვიანობის შემცირების მიზნად დაასახელა საკანონმდებლო ცვლილებები, რომელთა თანახმადაც ნოტარიუსებს მიეცათ სააღსრულებო ფურცლის გაცემის შესაძლებლობა. ამის პარალელურად დასახელდა საარბიტრაჟო ინსტიტუტისთვის სააღსრულებო ფურცლის გაცემის უფლების ჩამორთმევა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების კომპეტენციის სააპელაციო სასამართლოსთვის გადაცემა.

სასამართლოებისთვის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულების დაქვემდებარება, რესპონდენტების ნაწილმა უარყოფითად აღიქვა. როგორც ერთმა საარბიტრაჟო ინსტიტუტმა აღნიშნა, სააპელაციო სასამართლო ერევა მათ გადაწყვეტილებებში. რესპონდენტების მეორე ნაწილი ცნობა-აღსრულების სასამართლოსთვის დაქვემდებარებას დადებით ფაქტორად მიიჩნევს. ერთ-ერთი საარბიტრაჟო დანესებულების წარმომადგენლის აზრით, ვიდრე სააპელაციო სასამართლოს ერთგვარი კონტროლის ფუნქცია მიენიჭებოდა, ბევრი საარბიტრაჟო ინსტიტუტი მანკიერ პრაქტიკას ეწეოდა და კანონთან შეუსაბამო და მიკერძოებულ გადაწყვეტილებებს იღებდა.

დამაბრკოლებელ მიზეზად დასახელდა ქვეყანაში არბიტრაჟის შელახული რეპუტაცია, რაც წარსულის მანკიერმა პრაქტიკამ და ე.წ. „ჭიბის არბიტრაჟების“ ინსტიტუტის არსებობამ გამოიწვია (ოთხი ინსტიტუტი). ერთი ინსტიტუტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შელახული

რეპუტაცია, თავის მხრივ, გავლენას ახდენს ბიზნესის გადანაცვეტილებზე, თავი შეიკავოს დავის არბიტრაჟის მეშვეობით გადანაცვეტისგან.

ორი საარბიტრაჟო ინსტიტუტის წარმომადგენელმა ახსენა, რომ საარბიტრაჟო ინსტიტუტების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფორმით არსებობა ამ სფეროს ძალიან აფერხებს. მათი აზრით, როდესაც ინსტიტუტი შპს-ს ფორმით საქმიანობს, იგი იმთავითვე მოგებაზეა ორიენტირებული, რაც ინტერესთა კონფლიქტს იწვევს და ეჭვქვეშ აყენებს მიუკერძოებლობასა და სამართლიანობას. სწორედ ესაა ერთ-ერთ მიზეზი იმისა, რომ ბევრი ბიზნესი ჯერ კიდევ ეჭვის თვალთ უყურებს არბიტრაჟს და ვერ გადაულახავს შიში. ერთი რესპონდენტის აზრით, ასევე პრობლემაა საარბიტრაჟო ინსტიტუტის იურიდიული ფირმის ფარგლებში არსებობა და საქმიანობა, რადგან ეს იმთავითვე ინტერესთა კონფლიქტისა და მიკერძოების მაჩვენებელია.

საარბიტრაჟო ინსტიტუტებმა ხელისშემშლელ ფაქტორად მოსამართლეთა კომპეტენციის ნაკლებობაც დაასახელეს. მათი აზრით, სასამართლოს პირველ რიგში არბიტრაჟის განვითარება უნდა აინტერესებდეს და ხელს არ უნდა უშლიდეს საქმეების არბიტრაჟში განსახილველად წასვლას.

ერთმა ინსტიტუტმა ახსენა, რომ ნდობაზე უფრო დიდი პრობლემა დავის გადანაცვეტის ალტერნატიული მეთოდების კულტურის არარსებობაა, რასაც, თავის მხრივ, არბიტრაჟის წარსულ რეპუტაციასთან ერთად, ისევ და ისევ, ინფორმაციის არქონა იწვევს. ბიზნეს წარმომადგენლებს ხშირად არ გაუგიათ, თუ რა არის არბიტრაჟი საერთოდ და რას აკეთებს ის.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, ზოგიერთმა რესპონდენტმა ასევე ახსენა, რომ პრობლემას ქმნის სააპელაციო სასამართლოში საარბიტრაჟო გადანაცვეტილებების ცნობა-აღსრულების პროცედურის გაწელილი ვადები. ერთი რესპონდენტის თქმით, ისინი ცდილობენ, მაქსიმალურად მალე დაასრულონ დავის განხილვა, მაგრამ, სამწუხაროდ, დრო აპელაციაში იწელება. ერთ-ერთი საარბიტრაჟო ინსტიტუტის სასამართლოს თავმჯდომარემ ინტერვიუში აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოში არბიტრაჟთან დაკავშირებული საკითხების განხილვის ვადებს შეამცირებდა.

### **რესპონდენტებმა დასახელებული პრობლემების გადაჭრის შემდეგი ხედვა დააფიქსირეს:**

- თითქმის ყველა რესპონდენტმა ახსენა, რომ აუცილებელია არბიტრაჟის ცნობადობის გაზრდა სხვადასხვა საინფორმაციო შეხვედრის ან ტრენინგის მეშვეობით, რეკლამით თუ საინფორმაციო კამპანიის ჩატარებით. აღინიშნა, რომ ინფორმაცია მედია საშუალებებით მუდმივ რეჟიმში უნდა ვრცელდებოდეს (ორი ინსტიტუტი).



- ხუთმა რესპონდენტმა ყურადღება სახელმწიფოს როლზეც გაამახვილა. მათი აზრით, სფეროს განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული მხარდაჭერა, მაგ.: კერძო ხასიათის ხელშეკრულებებში საარბიტრაჟო დათქმების ჩადების გზით, სახელმწიფო არბიტრაჟს პოპულარიზაციას გაუწევს და ბიზნეს სექტორს არბიტრაჟში წასვლისკენ მოუწოდებს.
- ორმა ინსტიტუტმა ყურადღება უნივერსიტეტებზე გაამახვილა და აღნიშნა, რომ აუცილებელია ახალი თაობის იურისტები თავიდანვე გათვითცნობიერებულები და კომპეტენტურები იყვნენ ამ სფეროში.
- ორმა ინსტიტუტმა ახსენა, რომ უნდა არსებობდეს რაიმე კონტროლის მექანიზმი საარბიტრაჟო ინსტიტუტების შექმნის ეტაპზე - მაგ.: რაიმე სახის ლიცენზიის მოპოვება ან გამოცდების ჩაბარება, როგორც საარბიტრაჟო ინსტიტუტის დაარსების წინაპირობა.
- ერთმა რესპონდენტმა თქვა, რომ კარგი იქნება, საკანონმდებლო მოთხოვნის სახით დაწესდეს საარბიტრაჟო ინსტიტუტების ასოციაციებად (არაკომერციულ იურიდიულ პირებად) დაარსება.
- ორი ინსტიტუტის რჩევა იყო სააპელაციო სასამართლოში განხილვის ვადების შემცირება.
- ერთმა ინსტიტუტმა კი ახსენა, რომ თემატური საარბიტრაჟო ინსტიტუტების ჩამოყალიბება (მაგალითად, საზღვაო/სამშენებლო საკითხებზე მომუშავე ინსტიტუტი და ა.შ.) და განვითარება მეტად შეუწყობს ხელს საქართველოში არბიტრაჟის გაძლიერებასა და დამკვიდრებას.

## 2. ადვოკატები/იურისტები

კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 20 მოქმედი იურისტი. მათთან ჩატარდა ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ (რაოდენობრივი, თვისებრივის ელემენტებით). იურისტებმა შეაფასეს არბიტრაჟის მიმართ ნდობა 1-დან 5-მდე სკალაზე, სადაც 1 ნიშნავდა „საერთოდ არ ვენდობი“, ხოლო 5 – „სრულად ვენდობი“. პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა:

ცხრილი 6: ადვოკატების/იურისტების ნდობა არბიტრაჟის მიმართ

	რამდენად ენდობით არბიტრაჟს?	რესპონდენტთა პასუხების რაოდენობა	პროცენტული მაჩვენებელი
საერთოდ არ ვენდობი	1	1	5%
უფრო არ ვენდობი	2	5	25%
ნეიტრალური ვარ	3	7	35%
უფრო ვენდობი	4	5	25%
სრულად ვენდობი	5	2	10%

როგორც ირკვევა, იურისტთა უმეტესობა შუალედურ პოზიციას იკავებს არბიტრაჟის მიმართ. მათ თავიანთი პასუხები სხვადასხვა საფუძვლით გაამყარეს, რაც რიგ შემთხვევებში მათი ნეგატიური გამოცდილებიდან მომდინარეობდა. **უნდობლობის ძირითად მიზეზად საარბიტრაჟო ინსტიტუტების მიკერძოებულობა და დამოუკიდებლობის არარსებობა დასახელდა** (ექვსი იურისტი). მიზეზებს შორის იყო აგრეთვე: **საარბიტრაჟო გადანყვეტილების გასაჩივრების შეზღუდული მექანიზმი, პროცესის გამჭვირვალობის ნაკლებობა, არბიტრთა არაკვალიფიციურობა და ის ფაქტი, რომ ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, სურვილის შემთხვევაში, გახდეს არბიტრი.**

ამის საპირისპიროდ, არსებული ნდობის საფუძვლად დასახელდა რესპონდენტთა პირადი დადებითი გამოცდილება, არბიტრთა პროფესიონალიზმი და პროცესის კონფიდენციალობა, არბიტრაჟის სისწრაფე და მოქნილობა, ასევე ეთიკის კოდექსი. გარდა ამისა, ორმა რესპონდენტმა ახსენა, რომ ნდობა მთლიანად დამოკიდებულია ყოველ კონკრეტულ ინდივიდსა და საარბიტრაჟო ინსტიტუტზე – თუ ისინი პირადად ენდობიან პიროვნებებს, მაშინ მათ ინსტიტუტის მიმართაც უჩნდებათ ნდობის შეგრძნება. ერთმა რესპონდენტმა ახსენა, რომ მიუხედავად მისი ცუდი გამოცდილებისა, დავას მიუკერძოებელ არბიტრთანაც განიხილავდა. ადვოკატებმა/იურისტებმა საქართველოში არბიტრაჟის ყველაზე დიდ გამოწვევად, საარბიტრაჟო ინსტიტუტების მსგავსად, ამ ინსტიტუტის მიმართ ნდობისა და ინფორმაციის არარსებობა დაასახელეს (11 იურისტი). რამდენიმემ დაბრკოლებად არბიტრთა პროფესიონალიზმისა და კვალიფიკაციის ნაკლებობა მიიჩნია (5 იურისტი). ერთმა მათგანმა ახსენა არბიტრაჟის ცუდი რეპუტაცია ქვეყანაში, წარსული პრაქტიკიდან გამომდინარე. ორმა

მიზეზად ე.წ. „ჯიბის არბიტრაჟების“ კვლავ არსებობა დაასახელა. სამმა რესპონდენტმა კი პრობლემად სასამართლოების მხრიდან არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულება მიიჩნია. ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ საჭიროა ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და არბიტრების ხელფასების გაზრდა.

კითხვაზე, თუ კონკრეტულად რა უნდა შეიცვალოს, რომ არბიტრაჟი დავების გადაწყვეტის სასურველი გზა გახდეს, ექვსმა ადვოკატმა/იურისტმა უპასუხა, რომ უნდა მოხდეს არბიტრაჟის პოპულარიზაცია. ამ ექვსიდან ორმა ახსენა, რომ პოპულარიზაცია განსაკუთრებით ბიზნეს წრეებში უნდა მოხდეს. ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ თავად არბიტრაჟებმა უნდა „გაიკეთონ პიარი“, ხოლო მეორემ თქვა, რომ ეს ყველა მხრიდან უნდა განხორციელდეს – ტელევიზიის, სასამართლოს, სამთავრობო წარმომადგენლების მიერ. გარდა ამისა, რესპონდენტებმა ერთ-ერთ გამოსავლად არბიტრთა პროფესიული დატრენინგება და მათი კვალიფიკაციის გაზრდა დაასახელეს. ასევე აღინიშნა არბიტრთა რაოდენობის გაზრდის საჭიროება. ერთმა ადვოკატმა თქვა, რომ არბიტრების შესახებ ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა იყოს, ისე, როგორც ეს მოსამართლეების შემთხვევაში ხდება. დაფიქსირდა აგრეთვე შედარებით ზოგადი პასუხებიც, როგორცაა ტენდენციურობის შემცირება, პროფესიონალიზმის დონის გაზრდა, მიუკერძოებელი, ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღება არბიტრების მიერ.

### 3. ბიზნეს სექტორი (გარდა საბანკო-მიკროსაფინანსო სექტორისა)

ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ (რაოდენობრივი, თვისებრივის ელემენტებით) ჩატარდა 15 ბიზნეს კომპანიის წარმომადგენელთან. კითხვაზე, თუ რამდენად ენდობიან ისინი არბიტრაჟს, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა:

ცხრილი 7: ბიზნეს კომპანიების წარმომადგენელთა ნდობა არბიტრაჟის მიმართ

	რამდენად ენდობით არბიტრაჟს?	რესპონდენტთა პასუხების რაოდენობა	პროცენტული მაჩვენებელი
საერთოდ არ ვენდობი	1	1	6.7%
უფრო არ ვენდობი	2	0	0%
ნეიტრალური ვარ	3	5	33.3%
უფრო ვენდობი	4	5	33.3%
სრულად ვენდობი	5	4	26.7%

გამოკითხულმა ბიზნესებმა უნდობლობის საფუძვლად სხვადასხვა გარემოებებზე მიუთითეს. გამოკითხულთაგან ოთხი ამის მიზეზად არბიტრთა კვალიფიკაციისა და კომპეტენტურობის ნაკლებობას მიიჩნევს. ამ ოთხიდან ერთმა აღნიშნა რომ ქვეყანაში არ არსებობს არბიტრთა

კვალიფიკაციის სტანდარტები, ხოლო მეორემ პრობლეზურად ის მიიჩნია, რომ იურიდიული განათლება სავალდებულო არ არის. ერთმა რესპონდენტმა თქვა, რომ უნდობლობას არბიტრის დანიშვნის წესი და ფორმა იწვევს. ჩამოთვლილ მიზეზებს შორის დასახელდა საარბიტრაჟო ინსტიტუტების დამოუკიდებლობის მცირე ხარისხი (რადგან, რესპონდენტთა აზრით, ისინი კონკრეტული კერძო კომპანიების ან ბანკების არბიტრაჟებს წარმოადგენენ), საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და სასამართლოს მხრიდან დამოკიდებულება. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით, ერთმა ბიზნესმა აღნიშნა, რომ „საქართველოში [არბიტრაჟი] რატომღაც აღქმულია, როგორც სასამართლოს კონკურენტი და არა სასამართლოს დამხმარე და ესეც აფერხებს მუშაობას.“

გემოხსენებული მიზეზების საპირისპიროდ, ხუთი ბიზნეს კომპანიის წარმომადგენელმა ნდობის საფუძვლად პირადი გამოცდილება დაასახელა. მათ აღნიშნეს, რომ მიმართავენ იმ არბიტრებს/საარბიტრაჟო ინსტიტუტებს, რომლებსაც ენდობიან, იცნობენ და რომლებთანაც შეხება აქვთ. ერთმა რესპონდენტმა ნდობის მიზეზად სწორედ არბიტრთა მაღალი კვალიფიკაცია დააფიქსირა, მეორემ კი – კონკრეტული სპეციალიზაციის არბიტრების მოძებნისა და არჩევის შესაძლებლობა. ასევე, ერთი ბიზნესის აზრით, ნდობას იწვევს სასამართლოს მხრიდან ერთგვარი კონტროლის არსებობა. მისი თქმით, იგი ენდობა არბიტრაჟის ინსტიტუტს, რადგან მათი გადაწყვეტილება უნდა დაამოწმოს სასამართლომ, რაც საჭიროცაა და პრაგმატულიც.

რაც შეეხება დღესდღეობით საქართველოში არბიტრაჟის პრობლემებსა და გამოწვევებს, უმრავლესობამ ნდობის ნაკლებობასთან ერთად (7 ბიზნესი), ინფორმაციისა და ცნობადობის ნაკლებობა დაასახელა (5 ბიზნესი). სამმა ცუდი რეპუტაცია და ავტორიტეტის არქონა მიიჩნია შემაფერხებელ გარემოებად, ერთმა – არბიტრების კომპეტენცია, მეორემ კი – სპეციალისტების ნაკლებობა. ერთმა ბიზნესმა დაბრკოლებად მიიჩნია ის ფაქტი, რომ სასამართლო, არბიტრაჟი და მედიაცაა ერთმანეთის კონკურენტებად აღიქმება. ორმა რესპონდენტმა გამოწვევად დაასახელა არბიტრაჟების მიკუთვნებულობა კონკრეტული ბიზნესისა თუ საბანკო სექტორისადმი. კიდევ ერთმა რესპონდენტმა პრობლემა ცნობა-აღსრულების ეტაპზე დაინახა – შესამცირებელია განხილვის ვადები და გადასახადი. მისი სიტყვებით, „ეს [ცნობა-აღსრულება] უნდა გახდეს უფრო სწრაფი და იაფი“.

როგორც სხვა რესპონდენტების შემთხვევაში, გამოკითხული ბიზნეს კომპანიების წარმომადგენელთა უმრავლესობა გამოსავალს ინფორმაციის უკეთ გავრცელებაში და ცნობადობის ამაღლებაში ხედავს. მათ ინფორმაციის გავრცელების სხვადასხვა გზები დაასახელეს. ერთ-ერთი ბიზნესის წარმომადგენლის სიტყვებით: „სარეკლამო კამპანია უნდა წავიდეს, როგორც რამდენიმე წლის წინ იუსტიციის სამინისტრომ გააპიარა ნოტარიუსთა პალატა“. რეკლამირების საჭიროებას კიდევ ორმა რესპონდენტმა გაუსვა ხაზი. ერთმა მათგანმა ინფორმაციის გავრცელების გზად ბროშურების დარიგება დაასახელა. მეორემ კი აღნიშნა, რომ ხშირად იურიდიულ წრეებშიც ჩაკეტილია ინფორმაცია, ამიტომ საჭიროა არბიტრაჟის ეფექტიანი საქმიანობის წარმოჩენა. ამასთან დაკავშირებით, კიდევ ერთმა ახსენა, რომ

საზოგადოებას უნდა მიენოდოს ინფორმაცია კონკრეტული წარმატებული საქმეებისა და კვალიფიკაციის შესახებ. სამმა რესპონდენტმა ინფორმაციის გამავრცელებელ მთავარ წყაროდ თავად საარბიტრაჟო ინსტიტუტები დაასახელა. ერთ-ერთის თქმით, „თავად არბიტრაჟმა უნდა იზრუნოს, რომ მიაწოდოს ინფორმაცია საკუთარი თავის შესახებ ბიზნესსაც და მოსახლეობასაც, რათა ნდობა ამაღლდეს“. ორმა წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა სახელმწიფოსა და სასამართლოს როლი ინფორმაციის გავრცელების კუთხით. ერთმა ბიზნესმა აღნიშნა, რომ სწორი განვითარებისთვის აუცილებელია ბიზნესის, სახელმწიფოს, სასამართლოს და არბიტრაჟის წარმომადგენლების ერთად მუშაობა და კომპეტენციების განაწილება.

გარდა ზემოხსენებულისა, რესპონდენტებმა უნდობლობის აღმოფხვრის წინაპირობად არბიტრთა კომპეტენციის, კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის დონე დაასახელეს (ხუთი რესპონდენტი). ერთ-ერთმა ამ ხუთიდან ასევე ახსენა, რომ პროფესიონალიზმის დონესთან ერთად მნიშვნელოვანია მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა (მაგ.: ოფისები, სადაც ტარდება სხდომები), „როგორც [ეს] ნოტარიუსებთან არსებობს“. კიდევ ერთმა თქვა, რომ არბიტრაჟები არ უნდა იყოს აფილირებული ბიზნეს ჯგუფებთან. სხვა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ადვოკატების პროფესიაში შესვლისთვის დადგენილი მოთხოვნების მსგავსად, უნდა დაწესდეს არბიტრთა „ლიცენზირების“ ფორმა. გამოკითხულ ბიზნესთაგან ერთ-ერთმა ასევე ცნობა-აღსრულების დაჩქარებაზე ისაუბრა. ერთმა კი თქვა, რომ [არბიტრთა] დანიშვნის წესი უნდა შეიცვალოს ან უფრო მეტი ინფორმაცია უნდა არსებობდეს არბიტრების პროფესიონალიზმის შესახებ. რესპონდენტთაგან ხუთმა ისიც ახსენა, რომ განვითარებასა და ნდობის მოპოვებას გარკვეული დრო დასჭირდება. ერთ-ერთის სიტყვებით: „ამ ყველაფერს დასჭირდება დრო, ნელი ტემპით მოხდება, მაგრამ 5-10 წელიწადში შეიძლება მივიღოთ ძლიერი [არბიტრაჟის] ინსტიტუცია“.

#### **4. საბანკო-მიკროსაფინანსო სექტორი**

კვლევის პროცესში, განსაკუთრებით კი საარბიტრაჟო ინსტიტუტებთან ინტერვიუებისას, გამოიკვეთა არბიტრაჟში საფინანსო ინსტიტუტების დავების აშკარა სიმრავლე. აქედან გამომდინარე, ზემოთ აღწერილი 15 ბიზნეს კომპანიის გარდა, კვლევითმა ჯგუფმა ცალკე, ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუები ჩაატარა 5 საფინანსო დაწესებულებასთანაც – მათგან სამი იყო ბანკი და ორი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია.

ხუთიდან ოთხმა დაწესებულებამ კომერციული დავების გადაწყვეტის საუკეთესო ფორმად არბიტრაჟი დაასახელა, ხოლო ერთმა – მედიაცია. არბიტრაჟის არჩევა განპირობებული იყო მოკლე ვადებით (სამართალწარმოების გრძელვადიანი პროცესის საპირისპიროდ). კითხვაზე, ენდობიან თუ არა არბიტრაჟს საქართველოში, რესპონდენტებმა შემდეგნაირად უპასუხეს:

ცხრილი 8: საბანკო-საფინანსო სექტორის წარმომადგენელთა ნდობა არბიტრაჟის მიმართ

	რამდენად ენდობით არბიტრაჟს?	რესპონდენტთა პასუხების რაოდენობა
საერთოდ არ ვენდობი	1	0
უფრო არ ვენდობი	2	0
ნეიტრალური ვარ	3	0
უფრო ვენდობი	4	2
სრულად ვენდობი	5	2
არ ვიცი		1

მათ, ვინც თქვა, რომ არბიტრაჟს სრულად ენდობა, ნდობის მიზეზად საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების სასამართლოს მიერ აღიარება დაასახელეს რაც ნდობის ფაქტორს ბრდის. რესპონდენტმა, რომელმაც დააფიქსირა პასუხი „არ ვიცი“, აღნიშნა, რომ იგი ენდობა მხოლოდ კონკრეტულ „არბიტრაჟებს“, რომლებსაც კომპეტენტური არბიტრები ჰყავთ, ხოლო სხვათა მიმართ უნდობლობის მიზეზი არაკომპეტენტური და მიკერძოებული არბიტრებია.

კითხვაზე, თუ რამდენად ხშირად იყენებენ ისინი არბიტრაჟს, გამოკითხულთაგან ორმა უპასუხა, რომ არ იყენებს არბიტრაჟს. ერთმა თქვა, რომ ნაწილობრივ გეგმავენ არბიტრაჟზე გადასვლას. კიდევ ერთმა აღნიშნა, რომ რამდენიმე საქმე აქვთ არბიტრაჟში და აპირებენ არბიტრაჟის მეტად გამოყენებას (მიუხედავად იმისა, დავა ფიზიკურ პირთან ექნებათ თუ იურიდიულთან). ხელშეკრულებაში საარბიტრაჟო თუ სასამართლო იურისდიქციის დათქმის გათვალისწინების კრიტერიუმებად ორმა ხარჯების სიმცირე დაასახელა (ხარჯების სიმცირის გამო წერენ სასამართლოს). ერთმა კი თქვა, რომ 3, 000 ლარამდე საქმეებზე სასამართლო აქვთ გათვალისწინებული, უფრო მაღალ თანხებზე კი – არბიტრაჟი. ზოგადად, კითხვაზე, თუ რა არის მათთვის მნიშვნელოვანი დავის გადაწყვეტის მეთოდის არჩევისას, რესპონდენტებმა მიუთითეს სადავო თანხის ოდენობა, პროცესის ხარჯები, პროცესის მოქნილობა და დავის კატეგორია.

იმ ორი რესპონდენტიდან, რომლებმაც განაცხადეს, რომ გამოუყენებიათ არბიტრაჟი, ერთმა დაასახელა კონკრეტული საარბიტრაჟო ინსტიტუტი, რომელსაც იყენებს, ხოლო მეორემ აღნიშნა, რომ მათ არ ჰყავთ ერთი კონკრეტული არბიტრაჟი და აქამდე რამდენიმესთან ურთიერთობენ. თავიანთი არჩევანის განმარტობებელ ფაქტორებად ერთმა არბიტრთა კვალიფიკაცია, არბიტრაჟის სტრუქტურა, მისი მუშაობის წესი და ისტორია დაასახელა, ხოლო მეორემ – მოქნილი სისტემა, ელექტრონული წარმოება და საარბიტრაჟო ინსტიტუტის მხრიდან დამატებული საუბარი, რომ ინსტიტუტი სწრაფად და ეფექტიანად გადაწყვეტდა დავას.

რესპონდენტებმა ისაუბრეს საქართველოში არბიტრაჟის გამონწვევებსა და პრობლემებზე. მათ დამაბრკოლებელ გარემოებებად დაასახელეს სააპელაციო სასამართლოში ცნობა-აღსრულების ვადის პრობლემა; ზოგადად, ცალკე სააპელაციო სასამართლოში საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების საჭიროება და მასთან დაკავშირებული ხარჯი ბაჟის სახით, ცნობა-აღსრულების არაერთგვაროვანი პრაქტიკა სააპელაციო სასამართლოში, ინფორმირებულობის ნაკლებობა და კადრების ნაკლებობა („რადგანაც იურისტების დიდი ნაწილი არ არის დაინტერესებული დაბალი ანაზღაურების ან სხვა მიზეზების გამო, რომ წავიდეს ამ სფეროში“).

რაც შეეხება პრობლემების გამოსწორების გზებს, საფინანსო ინსტიტუტებმა დაასახელეს შემდეგი მოსაზრებები:

- სასამართლოს მხრიდან ცნობა-აღსრულების ვადების შემცირება;
- ქართველი არბიტრების დატრენინგება საერთაშორისო საარბიტრაჟო ინსტიტუტების წარმომადგენლების მიერ;
- ცნობადი და სანდო სახეების ყოფნა ამ სფეროში;
- არბიტრაჟის “პიარი”;
- კანონმდებლობის დონეზე ხარვეზების გამოსწორება (კონკრეტული ხარვეზის მითითების გარეშე);
- ქვეყანაში რამდენიმე (და არა ბევრი) მაღალკვალიფიციური „არბიტრაჟის არსებობა“.

## 5. მოსამართლეები

თვისებრივი ინტერვიუები შედგა სააპელაციო სასამართლოს 4 მოსამართლესა და უზენაესი სასამართლოს ერთ მოსამართლესთან.

ყველა გამოკითხული მოსამართლე არბიტრაჟს მართლმსაჯულების სისტემის მნიშვნელოვან რგოლად მიიჩნევს. ერთმა მოსამართლემ აღნიშნა, რომ „არბიტრაჟი, როგორც დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება, უნდა დამკვიდრდეს ჩვენი ქვეყნის რეალობაში არა იმ მიმართულებით, როგორც ახლა ვითარდება, როცა მხოლოდ საკრედიტო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავები ექვემდებარება საარბიტრაჟო განხილვას, არამედ ე.წ. მსხვილი კომერციული დავები, რაც ერთმნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს სწრაფი მართლმსაჯულების დამკვიდრებას და საერთო სასამართლო სისტემის განტვირთვას.“

თუმცა, დღეს არსებულ მოთხოვნაზე საუბრისას ყველა მოსამართლემ მიუთითა, რომ 5-ქულიანი სისტემიდან, სავარაუდოდ, 2-ქულას მიანიჭებდნენ არბიტრაჟის მოთხოვნადობას დღევანდელ რეალობაში. გამოკითხულ მოსამართლეთა საერთო აზრია, რომ არბიტრაჟში დღეს „ძირითადად სტანდარტულ პირობებზე დარყდნობით დავები“ მიდის და ის „მოთხოვნადია მხოლოდ, ასე ვთქვათ, იმ საფინანსო საკრედიტო დაწესებულებებისათვის, რომლებიც სესხებს გასცემენ.“

მოსამართლეებმა აგრეთვე ერთსულოვნად აღნიშნეს, რომ მთავარი მიზეზი, თუ რატომ არ მიდის ბიზნესი არბიტრაჟში, არის არბიტრაჟისადმი ნდობის პრობლემა. ორმა მოსამართლემ აღნიშნა, რომ უნდობლობა, სხვა მიზეზებს შორის, გამომდინარეობს წლების განმავლობაში დაგროვილი პრაქტიკის საფუძველზე შელახული რეპუტაციით, როდესაც ადგილი ჰქონდა არაკეთილსინდისიერ არბიტრაჟებს და ხშირად არბიტრაჟები მიკერძოებულები იყვნენ მსხვილი კომპანიის მიმართ, რომელიც დავის მხარეს წარმოადგენდა. კიდევ ერთმა მოსამართლემ მოიყვანა შემთხვევა, როდესაც ექსპერიმენტის მიზნით მიმართეს ნ ბანკს და სესხის ხელშეკრულებაში მოითხოვეს სასამართლოს გათვალისწინება. ექვსივე ბანკმა უარი თქვა სასამართლოზე და მოითხოვა არბიტრაჟი, „ოღონდ არა ის არბიტრაჟი, რომელსაც ჩვენ შევარჩევდით, თვითონ რომელი არბიტრაჟიც სურდათ“. ამგვარი მიდგომა, მოსამართლის აზრით, ზეგავლენას ახდენს მხარეთა ნდობაზე და ბადებს ეჭვს, რომ არსებობენ არბიტრაჟები, რომლებიც ამ კონკრეტულ ბანკებთან თანამშრომლობენ.

მოსამართლეებმა დადებითად შეაფასეს 2009 წელს მიღებული კანონი არბიტრაჟის შესახებ და მასში 2015 წელს შესული ცვლილებები. ყველა გამოკითხული მოსამართლე მიიჩნევს, რომ ბოლო წლებში მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია. როგორც ერთმა მოსამართლემ აღნიშნა, *„უკვე ბედმეტი საკომისიოები, გაბევრებული პირგასამტეხლოს ნაირსახეობები აღარ გვხვდება, რასაც ადრე ქონდა ადგილი და ამასთან, უშუალოდ არბიტრაჟის, ასე ვთქვათ, კვალიფიციურობაც სახეზეა დასაბუთებიდან გამომდინარე.“*

პრაქტიკაში არსებულ პრობლემათა შორის, მოსამართლეებმა აღნიშნეს მხარისთვის უწყების ჩაბარების პრობლემა, როდესაც არ იძებნებიან მოპასუხეები. შემდგომ მათ უწევთ საჯარო შეტყობინებისთვის მიმართვა, *„რომელიც ყველაზე ნაკლებად მუშაობს.“* ჩაბარების პრობლემა, მოსამართლეთა თქმით, იწვევს ვადების განწელვას, რის შედეგადაც ირღვევა ცნობა-აღსრულებისთვის გათვალისწინებული 30-დღიანი ვადა.

ერთმა მოსამართლემ ყურადღება გაამახვილა საკანონმდებლო ხარვეზზე, რაც არბიტრაჟის მიერ გამოტანილი უზრუნველყოფის ღონისძიებების სასამართლოს მიერ ცნობასა და აღსრულებას უკავშირდება. მისი თქმით, ის, რომ კანონი ითხოვს მოპასუხის ინფორმირებას უზრუნველყოფის ცნობა-აღსრულების შესახებ, თავისთავად სერიოზული საფრთხის ქვეშ აყენებს უზრუნველყოფის, როგორც საპროცესო ინსტიტუტის არსს. როდესაც სასამართლო მოპასუხეს შეატყობინებს, რომ მის ქონებას, მის ფულად სახსრებს დაყადაღება ემუქრება, ბუნებრივია, მან ეს ქონება განკარგოს მანამ, სანამ სასამართლო ცნობა-აღსრულებაზე იმსჯელებს. ეს კი წინააღმდეგობაში მოდის უზრუნველყოფის, როგორც საპროცესო ინსტიტუტის ზოგად პრინციპებთან.

გამოკითხული მოსამართლეების აზრით, იმისათვის, რომ არბიტრაჟი მეტად გამოყენებადი გახდეს, საჭიროა შემდეგი ზომების მიღება:



- პოპულარიზაცია: საჭიროა „საზოგადოებამდე სწორად მივიტანოთ ის პლიუსები, ის უპირატესობები, რაც გააჩნია საარბიტრაჟო წარმოებას.“ მოსამართლეთა აზრით, პოპულარიზაცია შესაძლებელია სახელმწიფოს და არასამთავრობო დაწესებულებების მხრიდან, თუმცა, ასევე მნიშვნელოვანია თავად არბიტრების როლი. „პირველ რიგში, არბიტრები უნდა იყვნენ მაღალკვალიფიციურები და კეთილსინდისიერები“ და საჭიროა მათ „თავიანთ უპირატესობაში დაარწმუნონ მსხვილი ბიზნეს სუბიექტები.“
- სისტემატური ტრენინგების და შეხვედრების უზრუნველყოფა და ამ პროცესში უცხოელი არბიტრების ჩართვა.
- რეგულაციის დანესება, რომ გამოირიცხოს ეჭვი არბიტრაჟის რომელიმე მხარესთან კავშირის თაობაზე.

## 6. სამთავრობო სტრუქტურის წარმომადგენლები

ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ ჩატარდა 5 სამთავრობო სტრუქტურის წარმომადგენელთან. კითხვაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვნად მიაჩნიათ არბიტრაჟის როლი მართლმსაჯულების სისტემაში, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა:

ცხრილი 9: მართლმსაჯულებაში არბიტრაჟის როლის შეფასება სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენელთა მიერ

	არბიტრაჟის როლი	რესპონდენტთა პასუხების რაოდენობა
ძალიან უმნიშვნელო როლი	1	1
უმნიშვნელო როლი	2	0
ნეიტრალური როლი	3	0
მნიშვნელოვანი როლი	4	3
ძალიან მნიშვნელოვანი როლი	5	1

გამოკითხულ რესპონდენტთაგან 4 მიიჩნევს, რომ არბიტრაჟი უნდა გამოიყენონ წმინდად კომერციულ (business 2 business) დავებში. რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ არბიტრაჟის მეტად გამოყენება ხელს შეუწყობდა სასამართლოს გადატვირთულობის პრობლემის მოგვარებას, გაზრდიდა მოთხოვნას იურიდიულ მომსახურებაზე, შესაბამისად, ხელს შეუწყობდა დასაქმებას; საერთაშორისო არბიტრაჟის განვითარების შემთხვევაში, გაზრდიდა საქართველოს, როგორც დავების გადაწყვეტის ცენტრის, ხილვადობას რეგიონში; ასევე ხელს შეუწყობდა მეწარმეობის განვითარებას, რადგან უზრუნველყოფდა კომერციული დავების მოკლე ვადაში გადაწყვეტას.

რესპონდენტთა ნდობის მაჩვენებელი არბიტრაჟის მიმართ კი შემდეგია:

**ცხრილი 10:** სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენელთა ნდობა არბიტრაჟის მიმართ

	<b>ნდობის ხარისხი არბიტრაჟისადმი</b>	<b>რესპონდენტთა პასუხების რაოდენობა</b>
საერთოდ არ ვენდობი	1	1
უფრო არ ვენდობი	2	2
ნეიტრალური	3	1
უფრო ვენდობი	4	1
სრულად ვენდობი	5	0

უნდობლობის მიზეზებად დასახელდა ნდობის და გამჭვირვალობის არარსებობა, არბიტრთა კვალიფიკაციის და გამოცდილების ნაკლებობა. რესპონდენტებმა არბიტრაჟის მთავარ გამოწვევად მიიჩნიეს მის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა, არბიტრაჟის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა, მისი სანდობა და არბიტრთა კვალიფიკაცია, სასამართლოების მეგობრული განწყობა არბიტრაჟის მიმართ.

თავად სახელმწიფო სტრუქტურების მიერ არბიტრაჟის გამოყენებას არ ადასტურებენ რესპონდენტები. არბიტრაჟში, სახელმწიფო სტრუქტურის, როგორც მხარის მონაწილეობა, გაუღერდა მხოლოდ საინვესტიციო დავების კონტექსტში.

გამოკითხულთაგან არცერთი სამთავრობო სტრუქტურა არ გეგმავს ინიციატივის განხორციელებას არბიტრაჟის მიმართულებით.

**7. საერთაშორისო ორგანიზაციები**

თვისებრივი ინტერვიუ ჩატარდა 5 საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელთან.

გამოკითხული საერთაშორისო ორგანიზაციები არბიტრაჟის განვითარებას ირიბად უკავშირებენ სასამართლო რეფორმას. კერძოდ, ყველა ორგანიზაციამ გაამახვილა ყურადღება სასამართლოების გადატვირთულობაზე და აღნიშნა, რომ არბიტრაჟის განვითარება ხელს შეუწყობს სასამართლოს განტვირთვის და მართლმსაჯულების ეფექტიანობის ზრდას.

ხარვეზებს შორის დასახელდა ნდობის ნაკლებობა, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებაში სასამართლოს ჩარევის აუცილებლობა, ნაკლები ცოდნა და ინფორმაცია არბიტრაჟის შესახებ.

საარბიტრაჟო გარემოს გაუმჯობესების თვალსაზრისით, გაუღერდა შემდეგი წინადადებები:

- არბიტრების სერტიფიცირების საჭიროება. ერთი ორგანიზაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს საკანონმდებლო წესით უნდა დაწესდეს, მეორემ თვითრეგულირების გზა უკეთესად მიიჩნია, როდესაც ამ სფეროში ჩართული ადამიანები თავად დააწესებენ ეთიკის და კვალიფიკაციის სტანდარტებს.
- სამომხმარებლო და შრომით ურთიერთობებში არბიტრაჟის გამოყენების მეტი რეგულირება ან ზედამხედველობა, რათა დაცული იქნას სუსტი მხარე და ძლიერ მხარეს არ მიეცეს არბიტრაჟის მის სასარგებლოდ გამოყენების შესაძლებლობა. აღნიშნა, რომ ამ სფეროების მიღმა არბიტრაჟს არ ესაჭიროება მკაცრი რეგულირება და ეს პროფესია უფრო მეტად დერეგულირებული უნდა იყოს.

გამოკითხული საერთაშორისო ორგანიზაციებიდან ამჟამად არცერთი ითვალისწინებს კონკრეტულად არბიტრაჟის მხარდაჭერის პროგრამას. ერთ-ერთმა ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ მხარს უჭერენ მედიაციას.


## **8. ფიზიკური პირები**

მეთოდოლოგიაში აღვნიშნეთ, რომ საკვლევად ყველაზე რთული გამოდგა ფიზიკური პირების ჯგუფი. უპირველესი პრობლემა გახდა ისეთი ადამიანების მიგნება, ვინც არბიტრაჟით ისარგებლა. შემდეგ, რთული გამოდგა მათი საკონტაქტო ინფორმაციის მოძიება. მაშინაც კი, როცა კონტაქტები ხელმისაწვდომი გახდა საარბიტრაჟო დაწესებულებებისგან, ადვოკატებისგან ან საჯარო შეტყობინებით, მათთან დაკავშირება მაინც გაჭირდა, რადგან ხშირად ინფორმაცია არასწორად იყო მითითებული, ან შეცვლილი. და ბოლო დამაბრკოლებელი ფაქტორი - ფიზიკური პირები, უმეტესად, უარს აცხადებდნენ ინტერვიუ მიეცათ, რადგან არ სურდათ ამ თემაზე საუბარი. ხშირად უარყოფდნენ კიდევ არბიტრაჟში მონაწილეობას. შედეგად, მხოლოდ 5 პირთან მოხერხდა ინტერვიუს ჩანერა. აქედან ერთი არ ყოფილა პირადი მოვალე (მხარე არბიტრაჟში), არამედ -პირადი მოვალის თავდები.

ქვემოთ მოცემულია დიაგრამა, სადაც წარმოდგენილია ყველა ტიპის რესპონდენტის ნდობის მაჩვენებელი, ვინც ამ კითხვას რაოდენობრივ სკალაზე უპასუხა. (შენიშვნა: განსხვავდება რესპონდენტების საერთო რაოდენობა, რაზეც პროცენტული მაჩვენებელია დამოკიდებული. რესპონდენტების რაოდენობები იხილეთ შესაბამის ცხრილებში):

ცხრილი 11: რესპონდენტთა ნდობა არბიტრაჟის მიმართ

რამდენად ენდობით არბიტრაჟს?



უნდობლობის საფუძვლად დასახელდა ზოგადი უნდობლობა ყველა სტრუქტურის მიმართ. რესპონდენტების ნდობა კი განპირობებულია ზოგ შემთხვევაში მიუკერძოებელი არბიტრის ყოლის გამოცდილებით, ზოგ შემთხვევაში მხარის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილებით და ზოგადად ადამიანთა მიმართ ნდობის ფაქტორით.

ნდობის გაზრდის მექანიზმებად მოქალაქეებმა დაასახელეს მეტი ინფორმაციის მიწოდება არბიტრაჟის შესახებ, ისევე, როგორც არბიტრაჟის მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა.

ქონებრივი დავის გადაწყვეტის საუკეთესო ფორმად ფიზიკური პირების უმრავლესობამ (ხუთიდან ოთხმა) მედიაცია მიიჩნია (უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ მათგანს განემარტა, რა არის მედიაცია), ხოლო ერთმა ვერ დააფიქსირა პასუხი.

გამოკითხული ფიზიკური პირების უმრავლესობამ განაცხადა, რომ კმაყოფილია პროცესით და, მისი აზრით, არბიტრაჟმა სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო (ხუთიდან ოთხმა). აქედან ოთხივემ აღნიშნა, რომ არბიტრაჟმა მისთვის სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღო, ხოლო ერთმა თქვა, რომ საქმე ჯერ კიდევ წარმოებაშია.

ხუთი რესპონდენტიდან ოთხმა განაცხადა, რომ არბიტრაჟის გამოყენება ისევე, როგორც კონკრეტული საარბიტრაჟო დაწესებულების არჩევანი, მეორე მხარემ ხელშეკრულებაში წინასწარ გაითვალისწინა, რომელზე უარის თქმის შესაძლებლობაც მათ არ ჰქონიათ. კითხვაზე, შეცვლიდნენ თუ არა არბიტრაჟის არჩევანს, ამის საშუალება რომ ჰქონოდათ, ოთხიდან სამმა განაცხადა, რომ შეცვლიდა, ხოლო ერთმა, რომ არ შეცვლიდა. ერთმა რესპონდენტმა განაცხადა, რომ არბიტრაჟის გამოყენება თავად გადანყვითა მისი იურისტის რჩევით.

ერთი რესპონდენტის თქმით, ხელშეკრულების გაფორმებისას მას ეგონა, რომ მეორე მხარემ ის კონკრეტული არბიტრაჟი „პირადი ინტერესების“ გამო აირჩია, ხოლო კიდევ ერთმა აღნიშნა, რომ იმ პერიოდში ეგონა „ბანკის საარბიტრაჟო დაწესებულება იყო და შეხმატკბილებულები იყვნენ.“

გამოკითხულთაგან, სამმა რესპონდენტმა არ იცოდა, რა გზით შეიძლებოდა საარბიტრაჟო გადანყვეტილებაზე „შედავება/გასაჩივრება“, ორმა იცოდა, თუმცა არ მოუთხოვია, ვინაიდან საარბიტრაჟო გადანყვეტილება მის სასარგებლოდ იყო გამოტანილი.

კითხვაზე, მომავალში დავის არსებობის შემთხვევაში, გადანყვეტის რა გზას მიმართავდნენ, რესპონდენტებმა შემდეგნაირად უპასუხეს:

ცხრილი 12: მომავალში დავის გადანყვეტის გზა

სასამართლოს	2
არბიტრაჟს	1
მოლაპარაკებას	1
არ ვიცი	1

ხოლო კითხვაზე, ურჩევდნენ თუ არა მათ ახლობლებს საჭიროების შემთხვევაში არბიტრაჟის გამოყენებას, სამმა რესპონდენტმა უარყოფითად უპასუხა, ხოლო ორმა – დადებითად. უარყოფითი პასუხების მიზეზებად შემდეგი დასახელდა:

ფუჭი დროის, ჯანმრთელობის და ფინანსების დაკარგვა, არ ვურჩევდი არავის	1
არ ვურჩიე დანარჩენ თანამშრომლებს, რადგან აზრი მაინც არ ჰქონდა არბიტრაჟის გამოყენებას.	1
სასამართლოს ვურჩევდი, მიუხედავად იმისა, რომ ჩემ შემთხვევაში კარგად დამიცვა ადვოკატმა, სხვა შემთხვევაში სასამართლო უფრო მიუკერძოებელი და ნაკლებად ბედაპირული მგონია.	1

დადებითი პასუხის მიზეზი ერთ შემთხვევაში იყო გაუგებარი („არ ვიცი“), ხოლო მეორე შემთხვევაში რესპონდენტის კმაყოფილებით იყო განპირობებული, რაც მისი დადებითი გამოცდილებიდან გამომდინარეობდა.

## VI. დასკვნა და რეკომენდაციები

### 1. ფაქტორები, რომელთაც დადებითი გავლენა იქონიეს არბიტრაჟის გარემოზე საქართველოში

- ▲ **2009 წლის საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“.** პირველადი მიზეზი, რის გამოც არბიტრაჟი გადარჩა და არსებობის მეორე შანსი მიეცა, იყო 2009 წელს მიღებული კანონი არბიტრაჟის შესახებ. მან მოახდინა არსებითი გარდატეხა - დააწესა სასამართლოს კონტროლი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებზე, რამაც განაპირობა არა მხოლოდ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების კანონიერების უზრუნველყოფა, არამედ ნდობის მინიმალური სტანდარტი ამ ინსტიტუტის მიმართ.
- ▲ **2015 წლის ცვლილებები 2009 წლის კანონში,** რომელთა შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა და ფიქსირებული გახდა სახელმწიფო ბაჟი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულებისთვის, რაც არბიტრაჟის მიმზიდველობას (ეკონომიურობის თვალსაზრისით) უწყობს ხელს; აგრეთვე, გამოსწორდა ბევრი საკანონმდებლო ხარვეზი.
- ▲ **არბიტრების გამოცდილების დაგროვებამ** გამოიწვია საარბიტრაჟო პრაქტიკის დახვეწა. მოსამართლეებამდე მისული საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები უკეთ დასაბუთებული და შედგენილია, ვიდრე ეს ადრე იყო.
- ▲ **სასამართლოში არბიტრაჟის შესახებ ცოდნის გაუმჯობესება.** მოსამართლეების თანამშრომლობამ პრაქტიკოსებსა და უცხოელ ექსპერტებთან, არბიტრაჟის საკითხებზე გამოცდილებების გაზიარების მიზნით, განაპირობა სასამართლო პრაქტიკის გაუმჯობესება.<sup>56</sup>

### 2. ფაქტორები, რომლებიც აფერხებენ არბიტრაჟის განვითარებას საქართველოში

შემაფერხებელი ფაქტორები ეხება როგორც არბიტრაჟის მომხმარებლებს, ისე საარბიტრაჟო მომსახურების მიმწოდებლებს - საარბიტრაჟო დანებსებულებებს, და გარე პირებსა და გარემოებს, რომელთაც ზეგავლენა აქვთ არბიტრაჟის სისტემაზე.

- ▲ **არბიტრაჟის განვითარების დამაბრკოლებელი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი არის უნდობლობა ამ სისტემის მიმართ,** რაც გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით:
  - **1997 წლის კანონი**

<sup>56</sup> მაგალითისთვის, კვლევის ფარგლებში მოვიხიეთ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის ნოემბრის განჩინება არბიტრაჟთან დაკავშირებულ ერთ-ერთ საკითხზე ისევე, როგორც იმავე სასამართლოს 2017 წლის ოქტომბრის განჩინება არბიტრაჟთან დაკავშირებულ იმავე საკითხზე. 2016 წლის გადაწყვეტილება სრულად ეფუძნება საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონსა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსს. ხოლო 2017 წლის გადაწყვეტილებაში (ზუსტად იმავე სამართლებრივ საკითხზე), ჩვენ ვხვდებით არბიტრაჟის შესახებ კანონის გამოყენებას და მსჯელობას არბიტრაჟის მარეგულირებელ ჩარჩოზე (მათ შორის, ნიუ იორკის კონვენციასა და მოდელურ კანონზე).

იმისდა მიუხედავად, რომ 2009 წლის კანონი უკვე 7 წელია მოქმედებს, 1997 წლის კანონის კვალი კვლავ შემორჩენილია. არსებობის პირველი 12 წლის განმავლობაში არბიტრაჟი ჩამოყალიბდა, როგორც თვითნებობისა და მანიპულირების მექანიზმი, რომელზეც კონტროლი ფაქტობრივად არ არსებობდა. ნდობის აღდგენას, ისევე როგორც არბიტრაჟის გარდაქმნას სანდო და დავის გადაწყვეტის ღირსეულ მექანიზმად, უფრო მეტი დრო სჭირდება, ვიდრე ბოლო 7 წელიწადია. თუმცა, საჭირო ვადა შესაძლოა იყოს მეტად ან ნაკლებად ხანგრძლივი, გამომდინარე იქიდან, რა ზომები იქნება მიღებული ნდობის ასამაღლებლად.

- **არბიტრაჟის მჭიდრო კავშირი და გაიგივება საფინანსო ინსტიტუტებთან**

ნდობის გაჩენას ხელს უშლის ის მოცემულობა, რომ დღეს არბიტრაჟი აღიქმება, როგორც მექანიზმი, რომელსაც საფინანსო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები იყენებენ მომხმარებლებთან არსებული დავების მათთვის მისაღები წესით გადასაჭრელად.<sup>57</sup> რესპონდენტთა ყველა ჯგუფში გაუღერდა არბიტრაჟების მიკერძოებულობა (მათი ე.წ. „ბანკების არბიტრაჟებად“, ან „ჯიბის არბიტრაჟებად“ აღქმა), როგორც გამონგვევა და რიგ შემთხვევებში მითითება გაკეთდა კონკრეტული საარბიტრაჟო დანესებულების კავშირზე კონკრეტულ საფინანსო დანესებულებასთან. თავად საარბიტრაჟო დანესებულებებიც ხშირად მოიხსენიებენ მიკროსაფინანსო დანესებულებებს „კლიენტებად“ და საუბრობენ მათთან თანამშრომლობაზე.

- **ფიზიკური პირების არაინფორმირებული და გაუცნობიერებელი ჩართვა არბიტრაჟში**

არბიტრაჟისადმი უნდობლობას განაპირობებს ის ფაქტორიც, რომ რეალურად, ფიზიკური პირები, მსესხებლები, არბიტრაჟში აღმოჩნდებიან სტანდარტული ხელშეკრულების დადების შედეგად. უმრავლეს შემთხვევაში მომხმარებლებმა არც კი იციან, რომ მათი ხელშეკრულება ითვალისწინებს არბიტრაჟს, და რომც იცოდნენ, არ აქვთ სავაჭრო ძალაუფლება, რაიმე შეცვალონ.<sup>58</sup> ეს ფაქტორი დიდ გავლენას ახდენს არბიტრაჟების მიკერძოებულად აღქმაზე. ფიზიკური პირების ინტერვიუებიდან ჩანს, რომ იმის მიუხედავად, რომ გამოკითხული 5 რესპონდენტიდან 4 შემთხვევაში ფიზიკური პირის სასარგებლო გადაწყვეტილება გამოიტანა არბიტრაჟმა, კითხვაზე, შეცვლიდნენ თუ არა არბიტრაჟის არჩევანს რომ ჰქონოდათ ამის საშუალება 3-მა განაცხადა, რომ შეცვლიდა. ამასთან, სამომავლო დავების შემთხვევაში მხოლოდ ერთმა რესპონდენტმა განაცხადა, რომ კვლავ მიმართავდა არბიტრაჟს, და მხოლოდ ორმა თქვა, რომ სხვასაც ურჩევდა მას. ეს ყოველივე ნათელყოფს, რაოდენ მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ აღიქვამენ არბიტრაჟს მისი მომხმარებლები. როგორც ლორდმა ჰევარტმა აღნიშნა: „სამართალი არა მხოლოდ უნდა დადგინდეს, არამედ უნდა ჩანდეს, რომ ის დადგინდა.“<sup>59</sup>

<sup>57</sup> გამოკითხულ საარბიტრაჟო ინსტიტუტთა 80%-მა აღნიშნა, რომ მათი საქმეების 90% სწორედ, საფინანსო ინსტიტუტსა და ფიზიკურ პირებს შორის არსებული დავები შეადგენს. თავისთავად ის ფაქტი, რომ ამგვარი დავები არბიტრაჟში მიდის, პრობლემას არ წარმოადგენს. პირიქით, ამგვარად სასამართლო თავისუფლდება ისედაც გადაჭარბებული საქმეების რაოდენობისგან. პრობლემას წარმოადგენს ის, რომ არბიტრაჟი აღიქმება შესაბამის საფინანსო დანესებულებასთან დაკავშირებულ წარმონაქმნად.

<sup>58</sup> ამას ადასტურებს როგორც მოსამართლეთა ინტერვიუები, ისე თავად ფიზიკური პირების ინტერვიუები.

<sup>59</sup> “[...] justice should not only be done, but should manifestly and undoubtedly be seen to be done.”, Lord Chief Justice Hewart საქმეში *R v Sussex Justices, ex p McCarthy* [1924] 1 KB 256, [1923] All ER Rep 233.

- **საარბიტრაჟო ეთიკური სტანდარტების არ არსებობა და საარბიტრაჟო დაწესებულებების და არბიტრების შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალების ნაკლებობა**

საარბიტრაჟო დაწესებულებებს, უმრავლეს შემთხვევაში არ აქვთ ეთიკის წესები, ხშირად, მათი საარბიტრაჟო წარმოების წესები რთულად მოსაპოვებელია, არ აწარმოებენ სტატისტიკას, და მათ შესახებ ეს და სხვა ინფორმაცია არ არის გამჭვირვალე - ეს კიდევ უფრო ამძაფრებს საზოგადოებაში არბიტრაჟის მიმართ არსებულ ეჭვებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ასეთი შემთხვევები: ერთი და იგივე არბიტრი მრავალ საარბიტრაჟო პროცესში მონაწილეობს, სადაც ერთი მხარე არ იცვლება და სულ ერთი და იგივე სუბიექტია.<sup>60</sup> ამგვარი ინფორმაცია ყველა მოწინავე ეთიკური სტანდარტით, სულ მცირე, წინასწარ უნდა გააჟღეროს არბიტრმა, რათა არ წარმოიშვას ეჭვი მის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაში.

- **საარბიტრაჟო დაწესებულებების შპს-ის ფორმით არსებობა**

ნდობის ამალგებას აგრეთვე აფერხებს საარბიტრაჟო დაწესებულებების ორგანიზაციულ-სამართლებრივი წყობა. არაკომერციული იურიდიული პირი იქმნება გარკვეული მიზნის მისაღწევად, რაც არბიტრაჟის შემთხვევაში შეიძლება იყოს კერძო მართლმსაჯულების განხორციელების პროცესის ადმინისტრირება, პროცედურული სამართლიანობის უზრუნველყოფა, ა.შ. სწორედ ამ ფორმით არის ჩამოყალიბებული საარბიტრაჟო ინსტიტუტები უმრავლეს ქვეყანაში, სადაც განვითარებულია არბიტრაჟი. ამის საპირისპიროდ, შპს-ს მთავარი მიზანი, სამეწარმეო კანონმდებლობიდან გამომდინარე, გახლავთ მოგების მიღება. მეტიც, ხშირ შემთხვევაში საარბიტრაჟო დაწესებულებები საკუთარ საქმიანობას განიხილავენ როგორც მცირე ბიზნესს, რომელიც „მუდმივი კლიენტების“ უზრუნველყოფით უქმნის მათ სტაბილურ ფინანსურ წყაროს. ეს არა მხოლოდ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს (რომელიც, თავისი სპეციფიკურობიდან გამომდინარე, არ არის მარტივად დასარეგულირებელი) და ეჭვ ქვეშ აყენებს მიუკერძოებლობასა და სამართლიანობას, როგორც ეს აღნიშნეს თავად საარბიტრაჟო ინსტიტუტებმა, არამედ აკნინებს არბიტრაჟის, როგორც კვაზი-სასამართლოს როლს, ანუ მისი „მართლმსაჯულების“ განხორციელების ფუნქციას.

▲ **დაბალი ცნობადობა არბიტრაჟის შესახებ წმინდად კომერციული (business 2 business) დავების გადაწყვეტის კუთხით**

ბიზნეს საზოგადოებას არ აქვს ინფორმაცია არბიტრაჟზე, როგორც კომერციული დავების გადაწყვეტის მექანიზმზე, მის უპირატესობებზე, არბიტრებზე, ა.შ. დაფიქსირდა შემთხვევები, როცა მხარეს აეჭვებს არბიტრაჟის შესახებ გათვითცნობიერებული მეორე მხარის მიერ დავის გადაწყვეტის არბიტრაჟის გზით გადაჭრის შეთავაზება და კონკრეტული საარბიტრაჟო დაწესებულების ხელშეკრულებაში მითითების ფაქტი. ეს შემთხვევა ეხმიანება საარბიტრაჟო დაწესებულებებისადმი ბოგადი ნდობის

<sup>60</sup> მაგალითად, ერთ-ერთი საარბიტრაჟო ინსტიტუტის მიერ ინტერნეტში გაცხადებული საჯარო შეტყობინებების სულ ოციოდე საქმის გაცნობის შედეგად (10-წუთიანი კვლევის შედეგად), გამოვლინდა რომ ერთი და იგივე არბიტრი დანიშნული იყო 5 საქმეში, სადაც ერთ მხარეს იგივე მიკროსაფინანსო ინსტიტუტი წარმოადგენდა, და 7-ჯერ, სადაც ერთ მხარეს სხვა მიკროსაფინანსო წარმოადგენდა. ეს ციფრები გაცილებით უფრო შთამბეჭდავი იქნება თუკი გავცნობით ამ ინსტიტუტის სრულ სტატისტიკას.



პრობლემასაც. შესაბამისად, ინფორმაციის სიმწირის, ან არბიტრაჟისადმი ნდობის არარსებობის ფონზე, ბიზნესისთვის დავების გადაწყვეტის მექანიზმად რჩება სასამართლო.

▲ **არბიტრთა კვალიფიკაციის ნაკლებობა**

დღეს არ არსებობს განათლების სისტემა, კურსები, რომელთა საშუალებით მოქმედი არბიტრები გაიდრმავებდნენ ცოდნას, გაეცნობოდნენ საერთაშორისო ტენდენციებს და გაუზიარებდნენ ერთმანეთს გამოცდილებებს. ეს მნიშვნელოვანი გარემოებაა, ვინაიდან ნდობა, უმეტესწილად, დამოკიდებულია პირად გამოცდილებაზე. თუკი პირს, რომელიც ირჩევს არბიტრაჟს, შეხება ექნება კვალიფიციურ და პროფესიონალ არბიტრთან, ალბათობა იმისა, რომ იგი დავის გადაწყვეტის ამ საშუალებას კვლავ აირჩევს და/ან სხვებს ურჩევს მას, ბევრად გაიზრდება.

▲ **არათანმიმდევრული სასამართლო პრაქტიკა**

სასამართლოს არაერთგვაროვანი მიდგომაა, ტოვებს ბუნდოვანებას იმასთან დაკავშირებით, თუ რა სტანდარტით შეიძლება გადაიხედოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მისი ცნობა-აღსრულების (ან გაუქმების მოთხოვნის) ეტაპზე, როგორ განიმარტება საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობა (განსაკუთრებით მნიშვნელოვანია *ad hoc* არბიტრაჟის აღიარების საკითხი), ან რა შემთხვევებში ჩაერევა სასამართლო არბიტრაჟის კომპეტენციის დადგენაში. ეს გაურკვევლობა მნიშვნელოვნად აფერხებს მხარეებს/იურისტებს, დავის გადასაწყვეტად არბიტრაჟი არჩიონ. ეს აგრეთვე ნეგატიურ გავლენას ახდენს საქართველოს, როგორც საერთაშორისო/რეგიონული არბიტრაჟის ცენტრად დამკვიდრების პერსპექტივაზე. უცხოელი ბიზნეს/იურისტთა წრეების წარმომადგენლებისთვის არბიტრაჟის ადგილის არჩევისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სასამართლო პრაქტიკას და ამ ადგილის სასამართლოების დამოკიდებულებას არბიტრაჟისადმი.

▲ **ცნობა-აღსრულების ვადების დარღვევა**

ცნობა-აღსრულებისთვის დადგენილი ვადების დარღვევა გამოწვევად დაასახელებს როგორც პრაქტიკოსებმა, ისე მოსამართლეებმა. ვადების დარღვევა ეწინააღმდეგება მოდის მხარეთა მოლოდინს, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მოკლე ვადაში აღსრულდება.

**3. რეკომენდაციები არსებული გამოწვევების გადასაღებად და არბიტრაჟის მეტად გამოყენების ნასახალისებლად საქართველოში**

ქვემოთ მოცემული რეკომენდაციები ეხმიანება იმ გამოწვევებს, რაზეც წინა ნაწილში იყო საუბარი. უმეტესი მათგანი გამიზნულია არბიტრაჟისადმი ნდობის ამაღლების, არბიტრაჟის შესახებ ცნობადობის გაზრდის და საარბიტრაჟო და სასამართლო პრაქტიკის სრულყოფისკენ.

# 1. დანესდეს გარკვეული რეგულირება (საკანონმდებლო, კანონქვემდებარე ან თვითრეგულირების დონეზე) სამომხმარებლო არბიტრაჟის სამართლიანობისა და გამჭვირვალობის მინიმალური სტანდარტის უზრუნველსაყოფად.

დღეს არბიტრაჟი ძირითადად გამოიყენება მცირე ოდენობის დავების გადასაწყვეტად, რომლებშიც უმეტესწილად ერთი მხარე მომხმარებელია<sup>61</sup>. ეს არ არის კლასიკურად ის მოდელი, რისთვისაც არბიტრაჟი შეიქმნა. შესაძლოა, სახელმწიფოს და/ან დონორებს ასევე რიგ საარბიტრაჟო ინსტიტუტებს სურთ, რომ არბიტრაჟმა მეტად დაიმკვიდროს თავი წმინდად კომერციულ დავებში. თუმცა, რეალობა სხვაგვარია. პირველ რიგში საჭიროა სწორედ ამ რეალობაზე ზრუნვა იმისათვის, რომ არბიტრაჟის არსებულმა სისტემამ საზოგადოების ნდობა დაიმსახუროს, რაც ხელს შეუწყობს არბიტრაჟის გავრცელებას სხვა კატეგორიის (business 2 business) დავებზე. აქედან გამომდინარეობს წინამდებარე რეკომენდაცია: სამართლიანობისა და სანდომიანობის მინიმალური სტანდარტის უზრუნველსაყოფად რომ მოწესრიგდეს სამომხმარებლო არბიტრაჟი. როგორ, რა ფორმითა და მოცულობით, ეს უნდა იყოს განხილვისა და არანაჩქარევი განსჯის საგანი. დღესდღეობით სამომხმარებლო არბიტრაჟის მიმართ მიდგომები განსხვავდება. ევროკავშირის უმრავლეს ქვეყანაში მომხმარებლებთან წინასწარ დადებული საარბიტრაჟო ხელშეკრულება საცილოდ ან უცილოდ ბათილია ან ამგვარი დავები არბიტრაჟუნაროდ არის მიჩნეული.<sup>62</sup> ასეთი კატეგორიული მიდგომა სადავოა და არ არის მიზანშეწონილი საქართველოსთვის. ეს იმიტომ, რომ თუ პროცესი სწორად წარიმართა, არბიტრაჟი შეიძლება იყოს უკეთესი ალტერნატივა როგორც კომპანიის, ისე მომხმარებლისთვის.<sup>63</sup> ამასთან, დღევანდელ რეალობაში, როდესაც სასამართლო ისედაც გადატვირთულია საქმეების რაოდენობით, არბიტრაჟის აკრძალვა

<sup>61</sup> გამოკითხულ დანესებულებათა 80% ამბობს, რომ მათი საქმეების 90%-ს სამომხმარებლო დავები შეადგენს.

<sup>62</sup> მაგალითად, შვედეთის აქტი არბიტრაჟის შესახებ, მუხლი 6, გარკვეული გამოწვევების გარდა კრძალავს მომხმარებლებთან დავის წარმოშობამდე დადებულ საარბიტრაჟო დათქმებს: „როდესაც დავა სამენარმეო საზოგადოებასა და მომხმარებელს შორის ეხება ქონებას, მომსახურებას ან ნებისმიერ სხვა ქონებას, რომელიც მიწოდებულია ძირითადად პირადი მოხმარების მიზნით, არ შეიძლება მიეთითოს საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობაზე, თუ იგი დადებულია დავის წარმოშობამდე“; (წყარო: <http://swedisharbitration.se/wp-content/uploads/2011/09/The-Swedish-Arbitration-Act.pdf>); ავსტრიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 617: საარბიტრაჟო შეთანხმება მენარმესა და მომხმარებელს შორის ნამდვილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი დადების მომენტისთვის დავა უკვე წარმოშობილია (წყარო: <https://www.international-arbitration-attorney.com/wp-content/uploads/2016/10/Austria-Arbitration-Law.pdf>); დანიის კანონი არბიტრაჟის შესახებ, მუხლი 7.2: „მომხმარებელთან დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში, თუ საარბიტრაჟო შეთანხმება დავის წარმოშობამდე დადებული, იგი არ არის მოქალაქე მომხმარებლისათვის.“ (წყარო: [http://voldgiftsinstitutet.dk/wp-content/uploads/2015/01/danish\\_arbitration\\_act\\_2005.pdf](http://voldgiftsinstitutet.dk/wp-content/uploads/2015/01/danish_arbitration_act_2005.pdf)); მსგავს დებულებას ითვალისწინებს ნორვეგიის კანონი არბიტრაჟის შესახებ, მუხლი 11: „საარბიტრაჟო შეთანხმება, რომლის მხარესაც მომხმარებელი წარმოადგენს, არ არის მომხმარებლისათვის მოქალაქე, თუ იგი დადებულია დავის წარმოშობამდე.“ (წყარო: [https://www.chamber.no/wp-content/uploads/2014/02/Norwegian\\_Arbitration\\_Act.pdf](https://www.chamber.no/wp-content/uploads/2014/02/Norwegian_Arbitration_Act.pdf)); ლიტვის კანონი კომერციული არბიტრაჟის შესახებ, მუხლი 12: „შრომითი ან სამომხმარებლო ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავები არ შეიძლება გადაეცეს არბიტრაჟს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ საარბიტრაჟო შეთანხმება დაიდო დავის წარმოშობის შემდგომ (წყარო: [https://www.google.com/url?sa=t&rct=j&q=&esrc=s&source=web&cd=1&cad=rja&uact=8&ved=0ahUKEwj148Tfx9XZAhWNIqYKHxyzCCIQFggmMAA&url=http%3A%2F%2Fwww.newyorkconvention.org%2F11165%2Fweb%2Ffiles%2Fdocument%2F2%2F1%2F21090.pdf&usq=AOvVaw1RV8B1Uf1BVRM\\_bWFFTx0Y](https://www.google.com/url?sa=t&rct=j&q=&esrc=s&source=web&cd=1&cad=rja&uact=8&ved=0ahUKEwj148Tfx9XZAhWNIqYKHxyzCCIQFggmMAA&url=http%3A%2F%2Fwww.newyorkconvention.org%2F11165%2Fweb%2Ffiles%2Fdocument%2F2%2F1%2F21090.pdf&usq=AOvVaw1RV8B1Uf1BVRM_bWFFTx0Y)). ყველა ეს წყარო ნანახია 25.11.2017.

<sup>63</sup> სამომხმარებლო დავებში ასევე მედიაციის შემოღება იქნებოდა გამართლებული.

სამომხმარებლო დავებში გამოიწვევდა სასამართლოს გადატვირთვას დამატებითი ნაკადით, რაც გაუმართლებელი იქნებოდა. საჭიროა მოიძებნოს რეგულირების ან თვითრეგულირების იმგვარი მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს სამომხმარებლო არბიტრაჟის სამართლიანობის, კვალიფიციურობისა და გამჭვირვალობის მინიმალურ სტანდარტს, არ გამოორიცხავს სამომხმარებლო დავების არბიტრაჟის წესით განსჯადობას და ამავე დროს არ გამოიწვევს არბიტრაჟის გე-რეგულირებას სახელმწიფოს მხრიდან. შესწავლილ უნდა იქნას სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება და შემუშავდეს საქართველოსთვის მისაღები ფორმატი.

## **2. გაიზარდოს არბიტრაჟის შესახებ ცნობადობა საზოგადოებაში.**

როგორც ერთ-ერთმა მოსამართლემ განაცხადა, საჭიროა „საზოგადოებამდე სწორად მივიტანოთ ის პლუსები, ის უპირატესობები, რაც გააჩნია საარბიტრაჟო წარმოებას.“ საარბიტრაჟო დაწესებულებებმა და/ან პროფესიულმა ასოციაციამ მეტად უნდა იზრუნონ არბიტრაჟის შესახებ ბიზნესის წარმომადგენლების ცნობადობის გაზრდაზე. უნდა ჩატარდეს მიზნობრივი შეხვედრები ბიზნესებთან, განსაკუთრებით კი საინფორმაციო/პროფესიული სესიები კორპორატიულ (ე.წ. in house) იურისტებთან. თანამშრომლობა ბიზნეს ასოციაციასთან, საქართველოს და ამერიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატებთან, საერთაშორისო სავაჭრო პალატის წარმომადგენლობასთან და ა.შ. შესაძლოა კარგი წყარო იყოს კავშირების დასამყარებლად და სამიზნე აუდიტორიისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად. შესაძლოა აგრეთვე დაიგეგმოს მიზნობრივი ცნობადობის ამაღლების კამპანია იმისათვის, რომ ტელევიზიასა თუ გაზეთებში გამოჩნდნენ პროფესიონალი, ნდობით აღჭურვილი არბიტრები. ასევე, უნდა გააქტიურდეს მუშაობა ადვოკატებთან, რათა მათ მიეწოდოთ ინფორმაცია არბიტრაჟის პროცესსა და მის უპირატესობებზე. ამ მხრივ მნიშვნელოვანი იქნება თანამშრომლობა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან და საქართველოს იურიდიულ ფირმათა ასოციაციასთან.

## **3. გაძლიერდეს არბიტრთა პროფესიული გაერთიანება - საქართველოს არბიტრთა ასოციაცია.**

მნიშვნელოვანია, გაიზარდოს თავად არბიტრების ეთიკურობა და პროფესიონალიზმი. ამ მხრივ, გადამწყვეტი როლი ექნება საქართველოს არბიტრთა ასოციაციას.<sup>64</sup> დღეს ასოციაციის ცნობადობა ძალზე დაბალია. გამოკითხული საარბიტრაჟო ინსტიტუტების 80%-ს არ სმენია არსებული არბიტრთა ეთიკის კოდექსისა თუ ზოგადად საქართველოში არსებული არბიტრთა პროფესიული გაერთიანების შესახებ. შესაბამისად, უნდა გაძლიერდეს არბიტრთა ასოციაცია. მან აქტიურად მიაწვდინოს ხმა საქართველოში

<sup>64</sup> მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ წინამდებარე კვლევის მომზადების პერიოდში, კვლევის ავტორი არჩეულ იქნა საქართველოს არბიტრთა ასოციაციის თავმჯდომარედ. ეს ინფორმაცია მუდავნდება იმ მიზნით, რომ მკითხველმა თავად განსაჯოს ამ ფაქტის არსებობა თუ არაარსებობა წინამდებარე ანგარიშის შინაარსის სანდოობიანობის მხრივ.

მოქმედ არბიტრებს და შეიმუშავოს არბიტრთა აკრედიტაციისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა, რაც უზრუნველყოფს მოქმედი არბიტრების ცნობიერების ამაღლებას, პროფესიონალიზმის ზრდას და საერთაშორისო ტენდენციების გაცნობას. კვალიფიკაციასთან ერთად, საჭიროა გაიზარდოს ცნობადობა ეთიკის სტანდარტების შესახებ და ამ სტანდარტების სისრულეში მოსაყვანად ამოქმედდეს არბიტრთა ეთიკის კოდექსი. თუ თავად პროფესიამ, არბიტრებმა არ გადაწყვიტეს, რომ მათ სურთ საკუთარი შესაძლებლობების, საქმიანობის სტანდარტების და შესაბამისად, სისტემის გაუმჯობესება - გარე ფაქტორების მეშვეობით არბიტრაჟი ვერ შეიცვლება.

#### **4. გაგრძელდეს მოსამართლეებთან აქტიური მუშაობა არბიტრაჟის შესახებ ცნობადობის ამაღლების მიზნით.**

ვინაიდან მოსამართლეთა როლი არბიტრაჟის წარმატებით დამკვიდრებაში ძალიან მნიშვნელოვანია აუცილებელია ამ მიმართულებით ტრენინგების ჩატარება, მოსამართლეების მუდმივი ინფორმირება არბიტრაჟში მიმდინარე დადებითი ცვლილებების შესახებ. იმისათვის, რომ სასამართლო პრაქტიკა გახდეს უფრო თანმიმდევრული და არბიტრაჟისადმი მეგობრული, საჭიროა მოსამართლეებთან თანამშრომლობის გაგრძელება. ხშირად, მოსამართლეების არბიტრაჟისადმი „არამეგობრული“ მიდგომა განპირობებულია არბიტრაჟისადმი უნდობლობით და სუსტი მხარის დაცვის სურვილით. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლეები საქმის კურსში იყვნენ არბიტრაჟში მიმდინარე ცვლილებების და წინსვლების შესახებ. აგრეთვე, უნდა გაიზარდოს ქართულ ენაზე პუბლიკაციები არბიტრაჟის თემატიკაზე, რათა საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების ამსახველი ლიტერატურა უფრო ხელმისაწვდომი იყოს მოსამართლეთათვის. აგრეთვე, რეკომენდებულია ტრენინგები ჩაუტარდეთ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელებს, იმისათვის, რომ მომავალი მოსამართლეები თავიდანვე, დანიშვნამდე იყვნენ გათვითცნობიერებულნი ამ საკითხებში; ისევე როგორც მოსამართლეთა თანაშემწეებს, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი შეიძლება ჰქონდეთ მოსამართლეებისთვის არბიტრაჟთან დაკავშირებული დასკვნების მომზადების თუ წყაროების მოძიების პროცესში.

#### **5. გამოსწორდეს საკანონმდებლო ხარვეზები**

2009 წლის კანონში არ არის ისეთი ხარვეზები, რაც ძირეულ ცვლილებებს მოითხოვს. ერთადერთი არსებითი საკითხია *ad hoc* არბიტრაჟის კუთხით სიცხადის შეტანა, რათა კანონის ენიდან ცალსახად გამომდინარეობდეს ის, რაც დღეს ბუნდოვანია და მხოლოდ განმარტებით ბარათშია ნათლად მითითებული. ამას გარდა, კანონში არის უმეტესწილად სტილისტური, ტექნიკური და მთარგნელობითი ხარვეზები. საკანონმდებლო ხარვეზების (და გამოსწორების გზების) ჩამონათვალი მოცემულია დანართ 1-ში.

## **6. დაიხვეწოს რეგულაციები ინტერესთა კონფლიქტის აღმოსაფხვრელად საარბიტრაჟო ინსტიტუტების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ჭრილში.**

არბიტრაჟის ორგანიზაციულ-სამართლებრივ მოწყობასთან დაკავშირებით ერთმნიშვნელოვანი რეკომენდაციის გაცემა რთულია. მართალია, საარბიტრაჟო დაწესებულებების შპს-ს ფორმად არსებობა გარკვეულწილად დისკრედიტაციას უწევს ამ ინსტიტუტს, არ შეიძლება დაზუსტებით იმის თქმა, რომ კანონმდებლობით საარბიტრაჟო დაწესებულებების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლის მოთხოვნა აღმოფხვრის ამ პრობლემას. ნდობის პრობლემა უფრო კომპლექსურია, ვიდრე მხოლოდ ორგანიზაციულ-სამართლებრივი წყობაა. შესაძლოა, საარბიტრაჟო დაწესებულებებისთვის სავალდებულო გახდეს რეგისტრაცია არაკომერციული იურიდიული პირების ფორმით, თუმცა არის ალბათობა იმისა, რომ ამ ფორმასაც „მოერგოს“ დღეს არსებული რეალობა (ანუ რეალობა კი არ შეიცვალოს, არამედ მოერგოს ახალ ფორმას). მაგალითად, ააიპ-ი დაფუძნდეს იგივე შპს-ების ან იგივე ფიზიკური პირების მიერ, ვინც დღეს ფლობს და წარმართავს იმ საარბიტრაჟო დაწესებულებებს, რომლებიც შპს-ს ფორმით არიან დაფუძნებულნი. ამდენად, მიგვაჩნია, რომ რეკომენდაცია ფორმის შეცვლის შესახებ უფრო ტექნიკური ხასიათის იქნებოდა და უცილობლივ შესაძლოა არ გამოეწვია სისტემის დახვეწა. ამდენად, ამ ეტაპზე, უმჯობესია სხვა, ძირეული/არსებითი გამოწვევების გადალახვასა და ზემოთ მითითებული რეკომენდაციების განხორციელებაზე დაფიქრება.

## დანართი 1 – საკანონმდებლო ხაზგეხამი

### **საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, მუხლი 2.2.**

როგორც ზემოთ, IV.3.1. თავში 2.2. მუხლთან მიმართებით აღინიშნა, დღეს არსებული სასამართლო პრაქტიკით საფრთხე ემუქრება *ad hoc* არბიტრაჟის ცნობას საქართველოში. ეს გარკვეულწილად შეიძლება საკანონმდებლო ხარვეზის გამო იყოს. ნებისმიერ შემთხვევაში, ის შეიძლება გამოსწორდეს როგორც შეცვლილი სასამართლო პრაქტიკით, ისე საკანონმდებლო ცვლილების გზით.

მაგალითად, საკანონმდებლო ცვლილების შემთხვევაში, რეკომენდებულია, რომ 2009 წლის კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2<sup>1</sup> მუხლი:

*„2<sup>1</sup> მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ საარბიტრაჟო წარმოებაზე, რომელსაც არ უწევს ადმინისტრირებას კონკრეტული საარბიტრაჟო დაწესებულება (ე.წ. ad hoc არბიტრაჟი).“*

### **საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, მუხლი 8.1.**

კანონის მუხლი 8.1 იძლევა საარბიტრაჟო შეთანხმების ცნებას და ადგენს, რომ „საარბიტრაჟო შეთანხმება არის შეთანხმება, რომლითაც მხარეები თანხმდებიან, განსახილველად გადასცენ არბიტრაჟს ყველა ან ზოგიერთი დავა, რომელიც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას მათ შორის ამა თუ იმ სახელშეკრულებო ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე.“

ნიუ იორკის კონვენცია (მუხლი II) და მოდელური კანონი (მუხლი 7) ადგენენ, რომ მხარეებმა არბიტრაჟს შეიძლება გადასცენ დავა, რომელიც გამომდინარეობს მათ შორის განსაზღვრული სამართლებრივი ურთიერთობიდან.<sup>65</sup> ეს მოთხოვნა ემსახურება მხარეების დაცვას ისეთი შემთხვევებისგან, როდესაც მაგალითად, ისინი წინასწარ შეთანხმდებიან, რომ მათ შორის მომავალში წარმოშობილი ყველა დავა არბიტრაჟის გზით გადაწყდება. ვინაიდან არბიტრაჟზე თანხმობით მხარე კარგავს უფლებას, მიმართოს სასამართლოს, მიჩნეულია, რომ ამ უფლების განხორციელება (შესაბამისად, სახელმწიფო/საჯარო სასამართლოსადმი წვდომაზე უარი) უნდა იყოს გათვითცნობიერებული მეტნაკლებად განსაზღვრული ურთიერთობის ტრილში. მხარეებს მეტნაკლებად უნდა ჰქონდეთ წარმოდგენა, რა სახის (რა ურთიერთობიდან წარმოშობილ) დავას უქვემდებარებენ არბიტრაჟს (და არ იყოს შესაძლებელი ზოგადად ყველა სამომავლო დავის დაქვემდებარება).

<sup>65</sup> ინგლისურად “defined legal relationship”.

ამდენად, რეკომენდებულია საქართველოს კანონის მუხლი 8.1 ჰარმონიაში მოვიდეს ნიუ იორკის კონვენციასა და მოდელურ კანონთან.

მაგალითად, მუხლი 8.1. ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საარბიტრაჟო შეთანხმება არის შეთანხმება, რომლითაც მხარეები თანხმდებიან განსახილველად გადასცენ არბიტრაჟს ყველა ან ზოგიერთი დავა, რომელიც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას მათ შორის ამა თუ იმ სახელშეკრულებო ან სხვა განსაზღვრული სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე.“

### **საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, მუხლი 27**

როგორც ზემოთ, IV.3 თავში 27-ე მუხლთან მიმართებით აღინიშნა, არბიტრაჟის კონტექსტში საჯარო შეტყობინების განხორციელება ბადებს რიგ პრობლემებს. ამასთან, როგორც ერთ-ერთმა მოსამართლემ განაცხადა, საჯარო შეტყობინება არის ფორმალობა, რომელიც რეალურ მიზანს იშვიათად ემსახურება.

მაგალითისთვის, 27-ე მუხლი შესაძლებელია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„27. თუ ამ კანონით ან მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, წერილობითი შეტყობინება მხარეებს ჩაბარდებათ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით სასამართლო შეტყობინებისა და დაბარებისთვის დადგენილი წესებით, გარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლისა.“

### **საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, მუხლი 9.1. და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 272<sup>1</sup>**

2009 წლის კანონის მე-9 მუხლი აღგენს შემდეგს: „1. სასამართლო, რომელშიც შეტანილია სარჩელი იმ დავის არსებით საკითხზე, რომელიც საარბიტრაჟო შეთანხმების საგანია, ვალდებულია მხარის განცხადების საფუძველზე, რომელიც შესაგებლის წარდგენის ვადის გასვლამდე უნდა გაკეთდეს, შეწყვიტოს წარმოება და მიუთითოს მხარეებს არბიტრაჟზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლო დაადგენს, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილია, ძალადაკარგულია ან მისი შესრულება შეუძლებელია.“ ანალოგიურ ნორმას შეიცავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლი მუხლი 272<sup>1</sup>. ამ მუხლის მიზანი გახლავთ ის, რომ მხარემ, რომელსაც სურს დაეყრდნოს საარბიტრაჟო დათქმას, პირველივე შესაძლებლობისთანავე განაცხადოს აღნიშნულის შესახებ სასამართლოში. სხვაგვარად ჩაითვლება, რომ მხარემ უარი თქვა თავის უფლებაზე, დაეყრდნოს საარბიტრაჟო შეთანხმებას და დასთანხმდა სასამართლოს იურისდიქციას. 2009 წლის კანონისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დღეს არსებული რედაქციები შესაძლოა ასე განიმარტოს: მაგალითად, თუკი მხარეს შესაგებლის წარდგენისთვის განესაზღვრა 14-დღიანი ვადა, ხოლო მან შესაგებელი წარადგინა მე-8 დღეს, თუმცა ამ შესაგებელში არ მიუთითა საარბიტრაჟო დათქმაზე, მას მაინც შეუძლია შემდგომ, მე-13 დღეს წარადგინოს განცხადება და მიუთითოს საარბიტრაჟო შეთანხმებაზე, ვინაიდან მისთვის სასამართლოს მიერ შესაგებლის წარდგენის

14-დღიანი ვადა ჯერ არ გასულა... ამგვარი ინტერპრეტაცია, ცხადია, წინააღმდეგობაში მოვიდოდა მუხლის მიზანთან.

შედარებისთვის, მოდელური კანონის მე-8 მუხლი, რომელსაც ეფუძნება 2009 წლის კანონის მე-9 მუხლი, სწორედ ასეთ ნორმას შეიცავს და ადგენს, რომ „სასამართლო, რომელშიც შეტანილია სარჩელი იმ დავის არსებით საკითხზე, რომელიც საარბიტრაჟო შეთანხმების საგანია, ვალდებულია მხარის განცხადების საფუძველზე, რომელიც უნდა გაკეთდეს არაუგვიანეს დავის არსთან დაკავშირებული პირველი განცხადებისა, შეწყვიტოს წარმოება და მიუთითოს მხარეებს არბიტრაჟზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლო დაადგენს, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილია, ძალადაკარგულია ან მისი შესრულება შეუძლებელია.“<sup>66</sup>

იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული იმგვარი განმარტება, რომელიც მხარეს საშუალებას მისცევს პირველი შესაგებლისთანავე არ განაცხადოს საარბიტრაჟო შეთანხმების შესახებ, არამედ მოგვიანებითაც დააყენოს თავისი მოთხოვნა არბიტრაჟში საქმის გადაცემის შესახებ, რეკომენდებულია გამოსწორდეს აღნიშნული ხარვეზი.

მაგალითად, არბიტრაჟის შესახებ კანონის 9.1 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:  
„სასამართლო, რომელშიც შეტანილია სარჩელი იმ დავის არსებით საკითხზე, რომელიც საარბიტრაჟო შეთანხმების საგანია, ვალდებულია, მხარის განცხადების საფუძველზე, რომელიც შესაგებლის წარდგენამდე ან მისი წარდგენისას უნდა გაკეთდეს, შეწყვიტოს წარმოება და მიუთითოს მხარეებს არბიტრაჟზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლო დაადგენს, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილია, ძალადაკარგულია ან მისი შესრულება შეუძლებელია.“

შესაბამისი ცვლილება უნდა შევიდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსშიც, რათა ნათელი იყოს, რომ მხარემ განცხადება საარბიტრაჟო დათქმის (და შესაბამისად არბიტრაჟის კომპეტენციის) შესახებ უნდა გააკეთოს არაუგვიანეს შესაგებლის გაკეთებისა (და არა შესაგებლის წარდგენის ვადის გასვლისა).

### **არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 16**

2009 წლის კანონის მე-16 მუხლის თანახმად: „2. განცხადება იმის შესახებ, რომ არბიტრაჟს არ აქვს კომპეტენცია, შეიძლება გაკეთდეს საარბიტრაჟო შესაგებლის წარდგენამდე. მხარის მიერ არბიტრის დანიშვნა ან არბიტრის დანიშვნაში მონაწილეობა არ ართმევს ამ მხარეს უფლებას, გააკეთოს ასეთი განცხადება.“ ეს დანაწესი იმგვარად შეიძლება იქნეს განმარტებული, რომ შესაგებელთან ერთად გაკეთებული განცხადება არბიტრაჟის

<sup>66</sup> მოდელური კანონი, მუხლი 8.1, ინგლისური რედაქცია: „A court before which an action is brought in a matter which is the subject of an arbitration agreement shall, if a party so requests not later than when submitting his first statement on the substance of the dispute, refer the parties to arbitration unless it finds that the agreement is null and void, inoperative or incapable of being performed.“



არაკომპეტენტურობის შესახებ ჩაითვალოს დაგვიანებულად, ვინაიდან ნორმის თანახმად, ასეთი განცხადება შესაგებლის წარდგენამდე უნდა გაკეთდეს. ამგვარი ინტერპრეტაცია წინააღმდეგობაში მოვიდოდა კანონის მიზანთან, რაც არის ის, რომ არბიტრაჟის კომპეტენტურობის არქონის შესახებ განცხადება გაკეთდეს არაუგვიანეს შესაგებლის წარდგენისა, ე.ი. შესაგებლის წარდგენამდე ან მასთან ერთად. სწორედ ამგვარ დანაწესს ითვალისწინებს მოდელური კანონის მე-16 მუხლიც, რომელსაც ეფუძნება 2009 წლის კანონის მე-16 მუხლი: „განცხადება, რომ არბიტრაჟს არ აქვს კომპეტენცია, უნდა გაკეთდეს არა უგვიანეს პირველი შესაგებლის წარდგენამდე.“<sup>67</sup>

რეკომენდებულია მუხლი 16.2-ის ფორმულირება შეიცვალოს იმგვარად, რომ განცხადების წარდგენის ვადად დაწესდეს „არაუგვიანეს შესაგებლის წარდგენა“, ნაცვლად „შესაგებლის წარდგენამდე.“

მაგალითისთვის, მუხლი 16.2 ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„2. განცხადება იმის შესახებ, რომ არბიტრაჟს არ აქვს კომპეტენცია, შეიძლება გაკეთდეს საარბიტრაჟო შესაგებლის წარდგენამდე ან საარბიტრაჟო შესაგებლის წარდგენასთან ერთად. მხარის მიერ არბიტრის დანიშვნა ან არბიტრის დანიშვნაში მონაწილეობა არ ართმევს ამ მხარეს უფლებას, გააკეთოს ასეთი განცხადება.“

### **არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 35.3. და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 356<sup>19</sup>.1.**

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის თანახმად, სასამართლოსათვის მიმართვა მტკიცებულებათა მოპოვებაში დახმარების თაობაზე შეუძლია არბიტრაჟს ან მხარეს არბიტრაჟის თანხმობით.<sup>68</sup> შესაბამისად, თუკი მხარეს ესაჭიროება დახმარება მტკიცებულებათა მოპოვებაში, მას თავად შეუძლია ამის შესახებ მიმართოს სასამართლოს, თუმცა უნდა მოიპოვოს არბიტრაჟის თანხმობა. განსხვავებულად აწესრიგებს ამ საკითხს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი: „არბიტრაჟის მიერ თავისი ინიციატივით ან მხარის მოთხოვნის საფუძველზე სასამართლოსთვის მტკიცებულებათა მოპოვებაში დახმარების მიზნით მიმართვის შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსის XIV თავით დადგენილი წესები.“<sup>69</sup> კოდექსის აღნიშნული ჩანაწერი შესაძლოა იმგვარად განიმარტოს, რომ მხარემ ჯერ უნდა მიმართოს არბიტრაჟს; არბიტრაჟის თანხმობის შემთხვევაში, ისევ თავად არბიტრაჟი (და არა მხარე) არის უფლებამოსილი მიმართოს სასამართლოს მტკიცებულებათა მოპოვებაში დახმარებისთვის.

<sup>67</sup> მოდელური კანონი, მუხლი 16.2, ინგლისური რედაქცია: „A plea that the arbitral tribunal does not have jurisdiction shall be raised not later than the submission of the statement of defence.“

<sup>68</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 35.3. და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 356<sup>19</sup>.1.

<sup>69</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 356<sup>19</sup>.1.

პროცესუალური სიზუსტისთვის, რეკომენდებულია ამ ხარვეზის საკანონმდებლო წესით აღმოფხვრა. კერძოდ, საპროცესო კოდექსი შესაბამისობაში უნდა მოვიდეს არბიტრაჟის შესახებ კანონთან. შედეგად მხარეს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს, ერთი მხრივ, მიმართოს არბიტრაჟს და მას სთხოვოს სასამართლოსათვის მიმართვა მტკიცებულებათა მოპოვებაში დახმარების მიზნით, ან მოიპოვოს არბიტრაჟის თანხმობა და თავად წარადგინოს სასამართლოში განცხადება მტკიცებულებათა მოპოვებაში დახმარების შესახებ. სწორედ ამ უფლებას ითვალისწინებს მოდელური კანონი, ისევე როგორც მასზე დაფუძნებული არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი.<sup>70</sup>

მაგალითისთვის, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356.<sup>19</sup>:1 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

*„არბიტრაჟის მიერ თავისი ინიციატივით ან მხარის მიერ არბიტრაჟის თანხმობით სასამართლოსთვის მტკიცებულებათა მოპოვებაში დახმარების მიზნით მიმართვის შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსის XIV თავით დადგენილი წესები.“*

### **სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 356<sup>13</sup>**

აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს არბიტრაჟთან დაკავშირებული საქმეების სასამართლოს მიერ განხილვის ფარგლებს. ჩამონათვალში, სხვა საკითხებს გარდა, მითითებულია სასამართლოს მიერ „ამ“ (ანუ არბიტრაჟის მომწესრიგებელ) კარის მიხედვით სააღსრულებო ფურცლის გაცემის შესახებ“ საკითხის განხილვა („ვ“ ქვეპუნქტი). აღსანიშნავია, რომ სააღსრულებო ფურცლის გაცემა არ წარმოადგენს არბიტრაჟთან დაკავშირებულ საკითხს. ამასთან, ჩამონათვალში არ არის მითითება საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ საკითხის განხილვაზე.

რეკომენდებულია, აღნიშნული „ვ“ ქვეპუნქტი „საარბიტრაჟო ფურცლის გაცემის“ ნაცვლად უთითებდეს „საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ“ საკითხის განხილვას.

მაგალითად, 356<sup>13</sup> მუხლის „ვ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

*„ვ“ საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ“.*

<sup>70</sup> მოდელური კანონი, მუხლი 27; იმავს ადგენს, მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 1050.

## დანართი 2 – კვლევის მეთოდოლოგია

საქართველოში არბიტრაჟის მდგომარეობისა და გამოწვევების შესასწავლად CRRC-საქართველომ გამოიყენა კვლევის შერეული დიზაინი: რაოდენობრივი გამოკითხვა და თვისებრივი ინტერვიუები. კვლევა 2017 წლის 17 აგვისტოდან 3 ნოემბრამდე პერიოდში მიმდინარეობდა. ინტერვიუების უმეტესობა სექტემბრის მეორე ნახევარსა და ოქტომბრის პირველ ნახევარში ჩატარდა.

კვლევას რამდენიმე სამიზნე ჯგუფი ჰყავდა და თითოეული ჯგუფი თვისებრივად ან რაოდენობრივად გამოიკითხა. სამიზნე ჯგუფები მოიცავდა როგორც თავად საარბიტრაჟო დანესებულებებს, ასევე არბიტრაჟთან დაკავშირებულ ყველა მხარეს – მოსამართლეებს, იურისტებს, ბიზნეს კომპანიებსა და კერძო პირებს, სამინისტროების წარმომადგენლებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც მართლმსაჯულების საკითხებზე მუშაობენ ან აფინანსებენ პროგრამებს ამ თემებზე.

ცხრილში მოცემულია სამიზნე ჯგუფების ჩამონათვალი, გამოკითხვის მეთოდი, გამოკითხულთა რაოდენობა და კვლევის დიზაინით განსაზღვრული რაოდენობა:

#	სამიზნე ჯგუფი / რესპონდენტის ტიპი	კვლევის მეთოდი	გამოკითხულთა რაოდენობა	კვლევის დიზაინით განსაზღვრული რაოდენობა
1	საარბიტრაჟო დანესებულების ხელმძღვანელი პირები/ არბიტრები	თვისებრივი ინტერვიუები	11	10
2	სამთავრობო სტრუქტურის წარმომადგენლები	ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ	5	5
3	საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები	თვისებრივი ინტერვიუები	5	5
4	მოსამართლეები	თვისებრივი ინტერვიუები	5	5
5	იურისტები, ადვოკატები	ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ	20	20
6	ბიზნეს კომპანიები (მიკროსაფინანსო ინსტიტუტების და ბანკების ჩათვლით)	ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ	20	20
7	კერძო პირები	ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ	5	10

ქვემოთ ცალ-ცალკეა განხილული სავსელე სამუშაოების მიმდინარეობა და სირთულეები სამიზნე ჯგუფების/რესპონდენტის ტიპების მიხედვით.

### **1. საარბიტრაჟო დანესებულებები**

საარბიტრაჟო დანესებულებების შესარჩევად გამოვიყენეთ ინფორმაცია საჯარო რეესტრიდან და სხვა ონლაინ საძიებო წყაროებიდან. რეგისტრირებული არბიტრაჟების ნაწილს არასრული საკონტაქტო ინფორმაცია ჰქონდა მითითებული, ამიტომ მათთან დაკავშირება შეუძლებელი გახდა. საერთო ჯამში, მკვლევრებმა დაკავშირება სცადეს 19 არბიტრაჟთან და ჩატარდა 11 ინტერვიუ. საარბიტრაჟო დანესებულებების შემთხვევაში, ინტერვიუს ვერ შეთანხმების მიზეზი უმეტესად მათთან დაკავშირების სირთულე და მოუცლევლობა ან ნაკლები დაინტერესება იყო.

თვისებრივი ინტერვიუები ჩატარდა შემდეგი არბიტრაჟების წარმომადგენლებთან:

- ა(ა)იპ საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი (GIAC);
- შპს „დავების განმხილველი ცენტრი“;
- შპს „სალაყაია და კობალაძე“-სთან არსებული მუდმივმოქმედი არბიტრაჟი (ყოფილი „მედიატორი-ლ“);
- შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი – მედიატორი“;
- შპს „აჭარის ა/რ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო არბიტრაჟი“;<sup>71</sup>
- შპს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტი“;
- შპს „მუდმივმოქმედი სპორტული არბიტრაჟი“;
- შპს „საქართველოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი ათენა-პალადა „შპს ათენა-პალადა“;
- არგ ჯგუფი/შპს ქართული მუდმივმოქმედი არბიტრაჟი;
- შპს „თბილისის საარბიტრაჟო პალატა“;
- შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა კ.ტ“.

გამოკითხული არბიტრაჟების წარმომადგენლები საკმაოდ კეთილგანწყობილები და დაინტერესებულები იყვნენ და ღიად საუბრობდნენ.

### **2. სამთავრობო სტრუქტურის წარმომადგენლები**

სამთავრობო სტრუქტურების შერჩევა კვლევის კონსულტანტის შეხედულების საფუძველზე მოხდა იმის შესაბამისად, თუ რომელი სტრუქტურა – სამინისტრო – იქნებოდა რელევანტური და ინფორმირებული არბიტრაჟის შესახებ. ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები ჩატარდა შემდეგი სამინისტროების წარმომადგენლებთან:

- იუსტიციის სამინისტრო;
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

<sup>71</sup> ეს ინტერვიუ ბათუმში. ყველა სხვა ინტერვიუ – თბილისში.

- რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;
- საგარეო საქმეთა სამინისტრო;
- ფინანსთა სამინისტროს აკადემია.

სამინისტროების შემთხვევაში ინტერვიუების შეთანხმება საკმაოდ რთული აღმოჩნდა, რადგან სამინისტროს წარმომადგენლები ან ვერ იცლიდნენ შესახვედრად, ან სხვა პირებთან გვამისამართებდნენ. რესპონდენტები საკმაოდ კეთილგანწყობილები იყვნენ და თითქმის ყველა მათგანს პირადად ჰქონდა არბიტრაჟთან ურთიერთობის გამოცდილება.

### **3. საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები**

საერთაშორისო ორგანიზაციების გამოკითხვის ძირითადი მიზანი იყო იმის შესწავლა, თუ როგორ ესახებათ საქართველოში არბიტრაჟის განვითარების პერსპექტივები და რა ძირითად პრობლემებს ხედავენ ამჟამად. გამოკითხული საერთაშორისო ორგანიზაციების დიდი ნაწილი მუშაობს ან აფინანსებს პროექტებს მართლმსაჯულების საკითხებზე და კვლევისთვის საინტერესო იყო მათი მომავალი გეგმები, თუ ჰქონდათ რაიმე დაგეგმილი აქტივობა ან პროგრამა არბიტრაჟის განვითარებაზე საქართველოში.

ინტერვიუები ჩატარდა შემდეგი საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან:

- აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID);
- მმართველობა განვითარებისთვის საქართველოში (G4G);
- აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი – კანონის უზენაესობის მხარდაჭერის პროგრამა (EWMI – PROLoG);
- ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში;
- ევროპის საბჭო.

### **4. მოსამართლეები**

გამოკითხული მოსამართლეების უმეტესობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს წარმომადგენელია და ერთი მოსამართლე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე იყო. მოსამართლეებთან ინტერვიუს შეთანხმება, როგორც წესი, პრობლემატურია, რადგან მოსამართლეების ნაწილთან დაკავშირება ვერ ხერხდება, ნაწილი კი არ თანხმდება ინტერვიუს მოუცლევლობის ან უბრალოდ სურვილის არქონის გამო. არბიტრაჟის შესახებ კვლევისთვის დაუკავშირდით 17 მოსამართლეს, ჩატარდა ხუთი ინტერვიუ, როგორც განსაზღვრული იყო კვლევის დიზაინში. მოსამართლე რესპონდენტები საკმაოდ დაინტერესებულები იყვნენ არბიტრაჟის საკითხებით და კეთილგანწყობით უდგებოდნენ კვლევას.

### **5. იურისტები/ადვოკატები**

იურისტების/ადვოკატების შესარჩევად რამდენიმე ხერხი გამოვიყენეთ. 2012 წელს CRRC-საქართველომ ჩაატარა კვლევა მართლმსაჯულების საკითხებზე, რაც გარკვეულწილად დავების ალტერნატიული გადაჭრის მეთოდებსა და არბიტრაჟს ეხებოდა. იმ კვლევის

რამდენიმე მონაწილე იურისტი ახლაც გამოიკითხა. დანარჩენი რესპონდენტები შეირჩა კვლევის კონსულტანტისა და მკვლევრების მიერ ონლაინ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე – იურიდიული ფირმების წარმომადგენლები და კერძო პრაქტიკოსი ადვოკატები. სასურველი 20 ინტერვიუს ჩასატარებლად დაფუძავშირდით 31 იურისტს/ადვოკატს. არგამოპასუხების ძირითადი მიზეზი იურისტების/ადვოკატების მოუცლელობა იყო. რესპონდენტები საკმაოდ დაინტერესებულები იყვნენ კვლევით და ღიად გვიზიარებდნენ თავის მოსაზრებებს არბიტრაჟის ინსტიტუტის პრობლემებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ.

## **6. ბიზნეს კომპანიები**

ბიზნეს კომპანიების სამიზნე ჯგუფი რამდენიმე ქვეჯგუფისგან შედგებოდა, კვლევისთვის საინტერესო იყო როგორც ის კომპანიები, ვისაც უკვე ჰქონია არბიტრაჟის გამოცდილება, ასევე ამ გამოცდილების არმქონე კომპანიები. კვლევის მიმდინარეობისას, რესპონდენტების მიერ მონოდებული ინფორმაციის საფუძველზე და კვლევის კონსულტანტის რეკომენდაციით, ბიზნეს კომპანიების კატეგორიაში გამოიყო მიკროსაფინანსო ინსტიტუტებისა და ბანკების ქვეკატეგორია, რადგანაც საქართველოს საარბიტრაჟო დანესებულებებში დავების უმეტესობა სესხებს და საფინანსო ინსტიტუტებს ეხებოდა. მიკროსაფინანსო ინსტიტუტებისა და ბანკების წარმომადგენლების ინტერვიუ მცირედით განსხვავებული კითხვარით ჩატარდა. საერთო ჯამში, ინტერვიუს მისაღებად დაფუძავშირდით 33 ბიზნეს კომპანიას და 6 მიკროსაფინანსო ინსტიტუტს/ბანკს. ჩატარდა 20 ინტერვიუ – აქედან 9 ინტერვიუს რესპონდენტს ჰქონდა არბიტრაჟის გამოცდილება და 11-ს ასეთი გამოცდილება არ ჰქონია. გამოვიკითხეთ 5 მიკროსაფინანსო ინსტიტუტი/ბანკი და აქედან ორს ჰქონდა არბიტრაჟის გამოცდილება. გამოკითხული ბიზნეს კომპანიების უმეტესობა მსხვილ ბიზნესს წარმოადგენს.

## **7. კერძო პირები**

კვლევის ჩატარებისას ყველაზე დიდ სირთულეს CRRC-საქართველო კერძო პირების მოძიებისას წააწყდა. კვლევის დიზაინით განსაზღვრული იყო 10 ინტერვიუს ჩატარება კერძო პირებთან, რომლებსაც არბიტრაჟის გამოცდილება ჰქონდათ. ასეთი პირების საპოვნელად CRRC-საქართველომ რამდენიმე ხერხს მიმართა. CRRC-საქართველოს მკვლევრები სთხოვდნენ საარბიტრაჟო დანესებულებებს და იურისტებს, რომ მათ შეეთანხმებინათ კერძო პირებთან ამ კვლევაში მონაწილეობა და მოეწოდებინათ საკონტაქტო ინფორმაცია. ერთი საარბიტრაჟო დანესებულების დახმარებით რამდენიმე კერძო პირთან დაკავშირება და ინტერვიუების ჩატარება მოხერხდა.

კვლევის კონსულტანტმა ინფორმაცია არბიტრაჟის გამოცდილების მქონე კერძო პირების შესახებ ინტერნეტ სივრცეში არსებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებიდანაც მოიპოვა, სადაც არბიტრაჟში დავის მონაწილე კერძო პირების სახელები და საკონტაქტო ინფორმაცია იყო მითითებული.

ასევე, დამატებითი რესპონდენტების მოსაძიებლად CRRC-საქართველომ თავისი ინტერ-

ვიუერი გაგზავნა თიბისი ბანკისა და საქართველოს ბანკის ოფისებთან (ეს ორი ბანკი არბიტრაჟის მსხვილი მომხმარებელია), რომ ბანკის კლიენტებს შორის მოეძებნათ არბიტრაჟის გამოცდილების მქონე კერძო პირები. ინტერვიუერი დაეკონტაქტა დაახლოებით 200 კლიენტს; თუმცა, მათ შორის არცერთი არ აღმოჩნდა არბიტრაჟის გამოცდილების მქონე ან არ ისურვა ამ ინფორმაციის გამხელა.

ზოგადად, ყველა წყაროდან მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, ხშირი იყო ისეთი შემთხვევები, როცა ზუსტი ინფორმაცია არსებობდა კერძო პირების მონაწილეობაზე არბიტრაჟში განხილულ დავებში, თუმცა, ეს კერძო პირები (ამა თუ იმ მიზეზით) არ ადასტურებდნენ ამას. საერთო ჯამში, დავუკავშირდით 33 კერძო პირს, თუმცა, მხოლოდ ხუთი ინტერვიუს ჩატარება მოხერხდა.

